



ՀԵՆՐԻՔԵՆԻ

ARCHEION

XIII



*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ე ნ ი

ARCHAEION

XIII

თბილისი 2017 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი)

Maia Ivanishvili– chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Editorial Board:

Teona Iashvili (Tbilisi), Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს და ტერიტორიული ორგანო არქივების მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

არქივი მუდამ იყო, არის და იქნება უმნიშვნელოვანესი დაწესებულება, **ერის დოკუმენტური მენსიერება**, რომელიც დამაჯერებლად და დასაბუთებულად იძლევა ისტორიული წარსულის შესწავლის შესაძლებლობას. ამიტომაცაა, რომ ამ ფასდაუდებელ სიმდიდრეს მუდმივად ესაჭიროება მოვლა-პატრონობა და მზრუნველობა. ეს ადვილად განხორციელებადია, თუკი არქივის თანამშრომლები, რომლებსაც მინდობილი აქვთ დოკუმენტების დაცვა-პატრონობა, ყოველწლიურად პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვლეობებს.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს არქივში მიმდინარეობს დაუდალავი მუშაობა და ზრუნვა ერის საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის, ნოვაციების დანერგვისათვის, ავბედობის ჟამს მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტული საქმეების მოძიებისა და ჩამოტანისათვის. ანგარიშში, მშრალი ციფრების მიღმა ჩანს არქივისტების უდიდესი შრომა, ენერჯია და სიყვარული, რომლის გარეშეც შეუძლებელია დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება.

წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს და ტერიტორიულ ორგანო არქივების მიერ 2016 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგებს.

2016 წელს შესრულდა:

1. საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო,	10 000	21089	210
2	ქობულეთის არქივი	511	611	119
3	ხელვაჩაურის არქივი	300	310	103
4	ქედის არქივი	581	585	100
5	შუახევის არქივი	568	568	100
6	ხულოს არქივი	300	300	100
	სულ	12260	23463	191

2. საარქივო სამმართველოში მარტივი რესტავრაცია ჩატარდა 12 ფონდის 47167 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 628 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 170%-ით.. სარესტავრაციო სამუშაოების გეგმის მოცულობითი გადაჭარბება შედეგია, სამმართველოში მიმდინარე, ფონდების გაციფრვის (დიგიტალიზაციის) ღონისძიებების გამო. საქმეთა გაციფრვისათვის მომზადებისა და გაციფრვის (სკანირების) დროს საქმეთა დაშლის გამო.

3. განსაკუთრებულად ღირებულების დოკუმენტის გამოვლენა: 2016 წელს სამმართველოში განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოსავლენად გადათვალიერდა: აჭარის ასსრ მინისტოთა საბჭოს 1985-2004 წლების, ფონდი №2-ის 816 ქაღალდსაფუძვლიანი საქმეთა ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 816 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. გამოვლინდა 42 განსაკუთრებულად ღირებული ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტი. შედგა აღწერილობითი სია, რომელიც განხილული იქნა საქსპერტო-შემმოწმებელ კომისიის ახე და მასალები მზადაა მომსახურებისათვის.

ასევე გეგმის მიხედვით გადათვალიერდა და გადაჭარბებით შესრულდა 1050 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 210%-ით. მუშაობის შედეგად გამოვლინდა 161 განსაკუთრებულად ღირებული ფოტოდოკუმენტი, რომლებშიც კუთხის მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებია ასახული.

4. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების ჩატარება: სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩატარდა მმართველობითი ხასიათისა და პირადი შემადგენლობის 45 ფონდს. და გეგმა შესრულდა 105%-ით. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ერთ-ერთი უმთავრესი ღონისძიებაა ფონდების საქმეებში არსებული ნაკლოვანებების, ხარვეზების გამოსასწორებლად და აღმოსაფხვრელად. ასევე იგი არის, მთავარი ღონისძიება, მომავალი წლისათვის საქმეთა დიგიტალიზაციისთვის მოსამზადებლად.

#რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%	ფურცელი
1	სამმართველო,	34727	36095	104	1.741702
2	ქობულეთის არქივი	1737	2578	148	146031
3	ხელვაჩაურის არქივი	2000	1999	100	63481
4	ქედის არქივი	735	743	101	10202
5	შუახევის არქივი	1152	1190	103	7815
6	ხულოს არქივი	1123	1123	100	30639
7	სულ	41474	43728	105	1.999870

5. დოკუმენტების საინფორმაციო საბიებო სისტემის შექმნა და განვითარება.

ა) 2016 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში საბიებო სისტემის გაუმჯობესების მიზნით აღიწერა 4 ფონდის 317 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44 საქმისა და გეგმა შესრულდა 720%-ით. აღწერილობითი სიების გაუმჯობესება გამოწვეულია იმით, რომ ანაწერები იყო ხელთნაწერი, ზოგიერთ ფონდს არ გააჩნდა აღწერილობითი სია, ან ცალკეული საქმეები არ იყო შესული ფონდის აღწერილობით სიაში.

ბ) აღიწერა ასევე სამმართველოს არქივში არსებული აუდიოვიზუალური დოკუმენტები (1890-2003 წ.): 1955 შესანახი ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმიური 750 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 260%-ით.

6. 2016 წელს გადამუშავება-გაუმჯობესება ჩაუტარდა 38 ფონდს.

#რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზომი ერთ.	ფონდის რაოდ.	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო,	საქმე	23	2497	2508	100
2	ქობულეთის არქივი	„	10	1552	1553	100
3	ხელვაჩაურის არქივი	„	-	-	-	-
4	ქედის არქივი	„	-	-	-	-
5	შუახვევის არქივი	„	4	259	259	100
6	ხულოს არქივი	„	1	455	455	100
7	სულ		38	4765	4775	100

ა) ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესების შედეგად, საარქივო სამმართველოში 23 ფონდიდან, გასანადგურებლად გამოიყო 644 საქმე, აღიწერა და ფონდში დარჩა 1694 საქმეთა ერთეული.

ბ) ტერიტორიულ ორგანოების არქივებში ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესების შედეგად, 15 ფონდიდან, გასანადგურებლად გამოიყო 1281 საქმე, აღიწერა და ფონდში დარჩა 920 საქმეთა ერთეული.

გ) გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა სამმართველოში დაცულ 1960-1985 წლების აუდიოვიზუალურ დოკუმენტებს სულ 1500 შ/ერთეულ ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად დაგეგმილი 850 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 176%-ით.

7. მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა წყარო ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან საქმეების რაოდენობის ზრდას და ეროვნული ფონდის შევსებას. უწყებებში დოკუმენტების მოწესრიგებისათვის ორგანიზებული ზომების მიღებამ შედეგი გამოიღო. დროულად ხდებოდა სახელმწიფო შენახვაზე დოკუმენტების მიღება. შემცირდა დადგენილ ვადის ზევით საუწყებო შენახვაზე არსებული საქმეების რაოდენობა.

2016 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში **სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა** მმართველობითი ხასიათის და პირადი შემადგენლობის დოკუმენტები. მმართველობითი 3226 საქმე, პირადი შემადგენლობის 1072 საქმე.

#რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზომი ერთ.	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო,	საქმე	1772	2393	159
2	ქობულეთის არქივი	„	390	439	112
3	ხელვაჩაურის არქივი	„	455	242	53
4	ქედის არქივი	„	110	135	122

5	შუახვევის არქივი	„	200	334	167
6	ხულოს არქივი	„	250	389	155
7	სულ	„	3177	4300	135

8. 2016 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, გეგ-
მით გათვალისწინებული იყო 935 ფოტოდოკუმენტის მიღება, მიღებული იქნა
1994 ფოტოდოკუმენტი, რომლებიც ასახავენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომ-
ხდარ ისტორიულ მოვლენებსა და ჩატარებულ ღონისძიებებს.

2016 წელს სამმართველოს ცენტრალურ არქივში მიღებული იქნა 1860 ფო-
ტოდოკუმენტი, ტერიტორიულ ორგანოს არქივებში კი 134 ფოტოდოკუმენტი.

#რ/გ	სამმართველო, ტერი- ტორიული ორგანოს არქივები	საზომი ერთ.	გეგმა	შესრუ- ლება	%
1	სამმართველო,	ფოტო დოკ	850	1860	218
2	ქობულეთის არქივი	„	20	39	195
3	ხელვაჩაურის არქივი	„	20	29	145
4	ქედის არქივი	„	10	10	100
5	შუახვევის არქივი	„	20	34	170
6	ხულოს არქივი	„	15	22	146
7	სულ	„	935	1994	213

9. სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში შენახული დო-
კუმენტების მიზნობრივი ექსპერტიზის ჩატარებას ყოველთვის წინ უძღვის ფონ-
დების შემადგენლობის და შინაარსის შესწავლა. მიზნობრივი ექსპერტიზის
მეშვეობით ხდება შენახვის ვადაგასული დოკუმენტებისაგან არქივში დაცული
ფონდების განტვირთვა

მიზნობრივი ექსპერტიზა ჩატარდა:

#რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	ფონდის რაოდ.	გეგმა	შესრულე- ბა	გამოიყო მაკ.-ში	აღიწე- რა	%
1	სამმართველო	24	2333	5577	1385	4192	239
2	ქობულეთის არქივი	1	940	940	456	484	100
3	ხელვაჩაურის არქივი	1	1880	1269	1269	-	100
4	ქედის არქივი	1	155	155	12	136	100
5	შუახვევის არქივი	4	192	192	116	76	100
6	ხულოს არქივი	4	791	812	189	623	102
7	სულ	35	9835	8945	3427	5511	90

10. აჭარის არ საარქივო სამმართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს
წარმოადგენს დოკუმენტების **სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება**. თანამშრო-

მელთა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ხარისხობრივად გამართული მეცნიერული ექსპერტიზა. ამ მხრივაც გაუმჯობესდა მუშაობა აჭარის საარქივო სამმართველოში, რაც აისახება მათ ყოველწლიურ შედეგებში.

2016 წელს მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა: 57 ორგანიზაცია-დაწესებულების 21 868 საქმე. მათ შორის: მუდმივად შესანახი, მმართველობითი ხასიათის - 3663 საქმე, პირადი შემადგენლობის 1569 საქმე, დროებითად შესანახი 1229 საქმე, გასანადგურებლად შეირჩა 15 407 საქმეთა ერთეული. აქედან საარქივო სამმართველოს არქივში 38 ორგანიზაცია-დაწესებულების 15 334 საქმე, მმართველობითი 2738 საქმე, პირადი შემადგენლობის 856 საქმე, დროებითი 1205 საქმე, გასანადგურებლად შეირჩა 10 535 საქმე. ტერიტორიულ ორგანოს არქივებში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) დამუშავდა 19 ორგანიზაცია-დაწესებულების 6534 საქმე. მათ შორის მმართველობითი 925 საქმე, პირადი შემადგენლობის 713 საქმე, დროებითი 24 საქმე, გასანადგურებლად შეირჩა 4872 საქმე.

11. საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია.

საარქივო დაწესებულებათა აქტუალური და დარგობრივი საკითხების გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ეკისრება საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიას. 2016 წელს ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიის 5 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა დაწესებულება - ორგანიზაციების 117 საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 6335 საქმე, პირადი შემადგენლობის 2534 საქმე, პირადი წარმოშობის 2 საქმე, 5 888 ფოტოდოკუმენტი, 5 ვიდეო. აქტების მიხედვით გასანადგურებლად დამტკიცდა 22 523 საქმეთა ერთეული. ასევე განხილული იქნა 17 საქმეთა ნომენკლატურა, სხვადა სხვა ინსტრუქციები და დებულებები.

12. დოკუმენტების გამოყენება- მოქალაქეთა მომსახურება.

აჭარის არ საარქივო სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანო - არქივები (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მიწოდება ვალდებულებასთან, შენახვა, აღრიცხვა, დაცვა, მოვლა-პატრონობასთან ერთად მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებენ იურიდიულ და ფიზიკური პირების მომსახურების თვალსაზრისით - არქივებში დაცული საჭირო ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნულ საქმიანობას 2016 წლის სექტემბრიდან დაემატა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ ინფორმაციის მიწოდება. სულ შემოვიდა 2163 განცხადება. ბიუჯეტში ჩაირიცხა 8873 ლარი.

მოქალაქეთა მომსახურების ცხრილი:


#რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	განცხადებები			მომართვები			თანხასულ (ლარებში)
		შემოვიდა სულ	დადებითი	უარყოფითი	შემოვიდა სულ	დადებითი	უარყოფითი	
1	სამმართველო	396	264	132	400	194	206	14057

2	ქობულეთის არქივი	893	839	54	1233	718	515	24958
3	ხელვაჩაურის არქივი	1027	975	32	1700	1455	245	35620
4	ქედის არქივი	422	414	8	348	273	75	10476
5	შუახევის არქივი	305	235	16	269	205	64	7813
6	ხულოს არქივი	504	502	2	380	299	86	8229
7	სულ	3493	3229	264	4335	3144	1191	101153


13. დოკუმენტების გამოყენება და პუბლიკაცია

სამეცნიერო საქმიანობა, საარქივო დოკუმენტების მოძიება და შემოტანა, საარქივო საქმის პოპულარიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მკვლევარებზე მომსახურება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საარქივო სამმართველოში. ამ საქმეს ემსახურება საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილება.

განყოფილების თანამშრომლებმა წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე არსებული ამოცანების შესრულებას. მიღწეული იქნა სერიოზული წარმატებები სამეცნიერო საქმიანობის თვალსაზრისით. საარქივო სამმართველოს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით მომზადდა და გამოიცა ჟურნალ „არხეიონის“ მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრები.



გამოსაცემად მომზადდა ბუკლეტი „აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში“. გამოიცა აგრეთვე საარქივო სამმართველოს მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.



საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ჟურნალ „არხეონსა“ და სხვა გამოცემებში გამოაქვეყნეს 12 სტატია:

1. ელგუჯა ჩაგანავა, აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2015 წელს გა-
წეული მუშაობის ანგარიში, „არხეონი“ N 11,თბ. 2016;
2. თამაზ ფუტყარაძე, პაციფიზმი საქართველოში, არხეონი“ N 11,თბ. 2016;
3. გუგული პატარიძე, რევაზ ბოლქვაძე საარქივო დოკუმენტებში, „არხეონ-
ნი“ N 11,თბ. 2016;
4. თენგიზ პარმაქსიზიში, ღიაკაკის იუბილე სტამბოლის ქართველ კათო-
ლიკეთა სავანეში), „არხეონი“ N 11, თბ. 2016;
5. თამაზ ფუტყარაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი არტაანში, „არხეონი“ N
11,თბ. 2016;
6. ფრ. ქარდავა, როცა ლევენდას ეხები, „არხეონი“ N 11,თბ. 2016;
7. ნ. ქიქავა, თ. ფუტყარაძე, მეგრძოლ უღმერთოთა კავშირის საოლქო საბ-
ჭოს საქმიანობა აჭარაში 1930-1940-იან წლებში. „ჩვენი სულელიერების ბა-
ლაგარი“, VIII, ბათუმი, 2016 წ.;
8. ნ. ქიქავა, თ. ფუტყარაძე, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობები საარქი-
ვო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით, აჭარის საარქივო სამ-
მართველოს მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებ-
ბი, თბ. 2016;
9. თ. ფუტყარაძე, ქართველები საბარძნეთში, არხეონი N 12, თბ. 2016;
10. მ. რურუა, ერთი შენობის ორი ისტორია აჭარის საარქივო სამმართველოს
მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ. 2016;
11. ნ. ბასილაძე, მამია ვარშანიძის ცხოვრება და ღვაწლი (საარქივო სამმარ-
თველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით) აჭარის საარქივო სამმარ-
თველოს მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები,
თბ. 2016;

12. თ. ფუტკარაძე, ძველი ნასოფლარი ჰანაკის რაიონიდან არხეიონი „არხეიონი“ N 12,თბ. 2016.

გამოქვეყნებული პუბლიკაციების გარდა დასაბუჯდად მომზადებულია ექვსი სამეცნიერო სტატია:

1. ნ. ქიქავა, თ. ფუტკარაძე, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით;
2. ე. ჩაგანავა, დიდი შენაძენი;
3. თ. ფუტკარაძე, ბათუმის ქალთა გიმაზიის ისტორიიდან;
4. ელ. ჩაგანავა „პორტ - არტური“ და ინჟინერი კაპიტანი მიხეილ ზედგინიძე;
5. გ. პატარიძე, აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული ვიდეო მასალები
6. ნ. გოგიტიძე, ბათუმის უმაღლესი დაწესებითი სასწავლებელის ისტორიიდან (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით).

სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი შემაჯგენელი ნაწილია სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, ჩატარება და არქივისტთა მონაწილეობა. 2016 წ. სექტემბერში საარქივო სამმართველოში ჩატარდა მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინისა და თურქეთის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, ასევე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნული არქივის, ქუთაისის სახელმწიფო არქივის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის, ილიას თელავის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების, ასევე ბათუმის სხვადასხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლები.



არქივის თანამშრომელთაგან სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა აჭარის საარქივო სამმართველოს 7 წარმომადგენელი (თ. ფუტკარაძე, მ. რურუა, ნ. ქიქავა, გ. პატარიძე, ნ. ბასილაძე, ე. გოგიტიძე, ე. ჩაგანავა). კონფერენციის შემდეგ მოეწყო ექსკურსია სამხრეთ საქართველოში.



საარქივო სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ აგრეთვე გორის სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში (ნ. ქიქავა, თ. ფუტკარაძე).

საარქივო სამმართველოს საქმიანობა პერიოდულად ქვეყნდებოდა პრესაში. მაია ივანიშვილის, მაია რურუას, თამაზ ფუტკარაძის, ფრ. ქარდავას, მადონა ცხადაძის, ნატო ქიქავას, მზექალა გირიხიძის, ციცი ცინცაძის, მზია სურმანიძის მიერ გამოქვეყნდა 10 საგაზეთო პუბლიკაცია. ნიშანდობლივია, რომ საარქივო სამმართველოს არსებობის ისტორიაში პირველად გამოიცა გაზეთ „ჭარის არქივი“-ს პირველი ნომერი (2016 წ. მარტი).

საარქივო სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობენ აგრეთვე სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. თამაზ ფუტკარაძე მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორ საგრანტო პროექტში, რომელთაგან ერთ პროექტს „არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები“ უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

ევროკავშირის 2016 წლის კონკურსში გამარჯვება მოიპოვა საგრანტო პროექტმა **“Knowledge Exchange and Academic Cultures in the Humanities: Europe and the Black Sea Region, late 18th – 21st Centuries”**, რომელშიც მსოფლიოს 12 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს არქივისტი თამაზ ფუტკარაძე.

თემატური ნუსხების შედგენა საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საქმიანობის თანმდევი პროცესია. განყოფილების თანამშრომლების (ფრ. ქარდავა, მ. სურმანიძე, ნ. გოგიტიძე) მიერ მომზადდა სამი თემატური ნუსხა: „ტიპოგრაფია XIX ს. ბოლოსა და XX ს დასაწყისში“, „კინოთეატრები ბათუმში 1950 წლამდე“, „ბათუმის ქუჩები 1950-2000 წლებში“, მეორე ნაწილი. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა **ფონდების მიმოხილვის მიზნით**. თ. ფუტკარაძის, ნ. ქიქავას, ფრ. ქარდავას, მ. სურმანიძისა და ნ. გოგიტიძის მიერ მიმოხილულ იქნა 11 ფონდი,


რომელთა შედეგები აისახა ჟურნალ „არხეონში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

განყოფილების თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით მომზადდა არაერთი დოკუმენტი (მემორანდუმი, დებულებები), დაწესდა **„წლის საუკეთესო ფონდისმცველისა“** და **„წლის საუკეთესო არქივისტის“** წოდებები, შემუშავებული იქნა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულება და ა. შ.

განყოფილებამ გარკვეული მუშაობა გასწვია **ახალი დოკუმენტებით საარქივო ფონდების გამდიდრების** თვალსაზრისითაც, კერძოდ:

1. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის **ელგუჯა მეძმარიაშვილის** ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი მონოგრაფია, ვიდეომასალები (24-25 თებერვალი, 2016), დოკუმენტური მასალები (პირველი ნაწილი, 17-18 ნოემბერი);
2. პეტერბურგიდან შემოტანილი იქნა რუსეთის იმპერიის 1897 წლის პირველი საყოველთაო აღწერის მასალები (ელექტრონული ვერსია), რომელიც ეხება არტაანის ოლქს (აპრილ-მაისი, 2016. თ. ფუტკარაძე);
3. პეტერბურგიდან შემოვიტანეთ 400 გვერდიანი მასალა „რუსეთის კავკასიაში მფლობელობის“ შესახებ - 1836 წლის მონაცემები, თ. ფუტკარაძე
4. პროფ. ამირან კახიძის პირადი ფონდი (აპრილ-მაისი, 2016. თ. ფუტკარაძე);
5. ზვიად გამსახურდიას პირადი ფოტოგრაფის გივი ნახუცრიშვილის მიერ გადაღებული ფოტოდოკუმენტები და ვიდეო ფილმები (პირველი ნაწილი), (ივნისი, 2016. თ. ფუტკარაძე);
6. ივანე ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვა ცნობილ მოღვაწეთა წერილები (მიმოწერები) ჯემალ ნოღაიძელთან (დედნები, 2016 წ. სექტემბერი).

შთამბეჭდავია საარქივო სამმართველოს ურთიერთობები **საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებთან**. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმთან (2016 წ. 12 ივლისი),



მოძიებული იქნა მასალები სხვადასხვა დაწესებულებების მოთხოვნათა საფუძველზე, საკუთრივ პროექტისათვის **„სახლი ბათუმში“**, რომელთა საფუძველზე მომზადდა **სატელევიზიო გადაცემები**. მოძიებულ იქნა მასალები შემდეგ თემებზე: „აფხაზები აჭარაში“, „ბერძნები აჭარაში“, „ახერბაიჯანელები საქარ-

თველოში“ „ქართული დიასპორები უცხოეთში“, „სოფელი ბაზგირეთი“ და ა. შ. სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობას იღებდნენ განყოფილების თანამშრომლები: მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე, ფრიდონ ქარდავა, თამაზ ფუტკარაძე.

საარქივო საქმიანობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით **მოეწყო ექვსი გამოფენა**: „ხელოვნება და კულტურა აჭარაში (1920-2010 წწ)“, მარტი, 2016; „საარქივო სამმართველოს სამეცნიერო გამოცემები“, მარტი, 2016; „საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (მაისი, 2016), „ტრადიციული ყოფა და კულტურა აჭარაში (2016 წ. 3 აგვისტოდან); „აგვისტოს ომში მონაწილეთა გამოფენა“, 2016 წ. 8 აგვისტო; „არქივში დაცული ხელნაწერების გამოფენა“ (04. 08. 2016). გამოფენების პარალელურად მომზადდა რამდენიმე სლაიდშოუ.

საარქივო სამმართველო აქტიურად აღნიშნავს **ღირსსახსოვარ თარიღებს** და ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს. 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა **რვა ღონისძიება**, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების მოსწავლეებსა და სტუდენტებს ჩაუტარდათ **შვიდი ექსკურსია-გაკვეთილი**, მომზადდა **ორი საინიციატივო** წერილი, დაიწყო **ქალაქის მემორიალური მემკვიდრეობის** (სკულპტურა, მამორიალური დაფები, ძველი შენობები...) აღრიცხვა და ფოტოფიქსაცია. აღნიშნული მიმართულებებით მუშაობა გაგრძელდება მიმდინარე წელსაც.

სამკითხველო დარბაზი 2016 წელს მოემსახურა 27 მკვლევარს, რომელთა მიერ გამოყენებული იყო - 341 საქმეთა ერთეული.

14. დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადატანა.

თანამედროვეობის ტექნიკური მიღწევებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად საარქივო სამმართველოში მიმდინარეობს დოკუმენტების გაციფრვის სამუშაოები, ქაღალდფუძიანი საარქივო დოკუმენტების გადარჩენის პროცესი. დოკუმენტების დიგიტალიზაცია აჭარის საარქივო სამმართველოში 2012 წლიდან დაიწყო, ხოლო რაიონულ არქივებში ცოტა მოგვიანებით.

2016 წლის განმავლობაში გაიციფრა **19 ფონდის, 25 431 საქმეთა ერთეული - 2.167 198 ფურცელი**. მიმდინარეობს პროგრამაში აღწერილობითი სიების ატვირთვა ანოტაციებთან ერთად. დაწყებულია საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობისათვის **ფაილების სერვერზე ატვირთვა**.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2016 წელს განხორციელდა **444 248 ლარის ღირებულებების სახელმწიფო შესყიდვა**. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო ფონდსაცავები. დაიგო მეთლახი, გამოიცვალა და დამონტაჟდა ახალი განათებები, შეიცვალა სტელაჟები, შეკეთდა სამუშაო ოთახები, დაიდგა კონდენციონერები.

დასრულდა ტექნიკური, პარტიული, კინო-ფოტო-ფონო საცავების სარეაბილიტაციო სამუშაოები მეექვსე სართულზე, ქობულეთის არქივის შენობის სახურავის წყალსადინი ღარების შეკეთება.



უახლოეს მომავალში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები მესხეთე სართულზე, დაგეგმილია მეშვიდე სართულის დაშენება და შენობის გვერდითა ფასადზე ახალი, შვიდსართულიანი შენობის მიშენება. არქივის შენობის გეოლოგიური და ტექნიკური შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით, შესაბამისი პროექტის საფუძველზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

Elguja Chaganava

Nato Kikava

Eter Mikeladze

*The report of works done by Archives Administration of Ajara and
its territorial bodies in 2016*

Summary

In Ajara Archives Administration is going tireless work and care of the nation's heritage protection and maintenance, introducing innovations, searching of scattered cases. The article presents the report of works done by The Archives Administration in 2016.

ნინო გოგიტიძე

ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა

(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

XX საუკუნის დასაწყისში აგებული, იტალიური რენესანსისა და ბაროკოს სტილში გადაწყვეტილი ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა თვალსაჩინო ურბანული და მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით გამორჩეული ნაგებობაა. ეს შენობა დომინანტურ როლს ასრულებდა უბნის განაშენიანებაში. 2004 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად ექსპერტებმა ნაგებობას ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიანიჭეს.



ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა (1914 წელი)

1914 წლის ბოლოსათვის მარიას პროსპექტის მხრიდან გვერდითი ნაგებობის მიშენების შემდეგ კანტორამ მიიღო სახე, რომლითაც იარსება 2010-იან წლებამდე.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და შედეგად მივიღეთ „არქიტექტურული კურიოზი“, რომელმაც ერთბაშად გადააჭარბა ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორციელებულ ყველა უმასშტაბო დაშენებას.



არქიტექტურული ძეგლი რეკონსტრუქციის შემდეგ

აჭარის საარქივო სამმართველოში ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ისტორიის შესახებ დაცულია მეტად საინტერესო დოკუმენტები. ფონდის ისტორიული ცნობიდან ჩანს, რომ კავკასიის მეფისნაცვალის მთავარ სამმართველოს შეუმუშავებია ბათუმის ოლქის მმართველობის შესახებ დროებითი დებულება. შეუმუშავებული დოკუმენტის შესაბამისად 1878 წლის ნოემბერში ბათუმში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის ანგარანი (კანტორა), რომელიც ექვემდებარებოდა თბილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს.

კანტორა იღებდა და აგზავნიდა სხვადასხვა სახის კორესპოდენციებს, წერილებს, ამანათებს, ფულად გზავნილებს, როგორც საზღვარგარეთ, ასევე სრულიად რუსეთის ტერიტორიაზე.

ფონდში დაცულია: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის სახელზე შემოსული ცირკულარები არალეგარული ლიტერატურის, წიგნების, გაზეთების შემოზიდვის აკრძალვისა და მათი კონფისკაციის, ფასიანი პაკეტების მიღების, ფოსტების გახსნისა და დახურვის, სატელეგრაფო განყოფილებების გახსნისა და მათი დაცვის წესების შესახებ, ცირკულარები წითელი ჯვრის დაწესებულებებისათვის. დაცულია აგრეთვე საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვების მასა-

ლები, რუსულ სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების სააგენტოსთან, აგრეთვე ოდესის რკინიგზის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებები რუსეთსა და საზღვარგარეთ ამანათებისა და კორესპოდენციების გატანის შესახებ, საიდუმლო მიმოწერები სამხედრო ცენზურის, კორესპოდენციების დათვალიერების, საექვო კორესპოდენციების, ამანათების გასნისა და კონფისკაციის საფოსტო ოპერაციების წესების შემოღების შესახებ, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ბრძანებები გ.ი. ფრანჩესკის სახელზე შემოსული კორესპოდენციის კანტორაში წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ. საქმეებში იხსება შეღავათიანი საფოსტო ბარათები, ასიგნების დამდიანი ტალონები, ღია სამთავრობო წერილები, საზღვარგარეთიდან შემოსული ინგლისურენოვანი დეპეშები, საიდუმლო მიმოწერები ბათუმისა და თბილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებს შორის.

ყველაზე ძველი საქმეთა ერთეული დათარიღებულია 1882 წლით, რომელშიც ამავე პერიოდის მხოლოდ ერთი დოკუმენტია დაცული, საქმის გარეკანი გაფორმებულია ჩვეულებრივ თაბახის ფურცელზე. საწყისი წლებიდან შემორჩენილი დოკუმენტების რაოდენობა ძალზე მცირეა, მათგან შეიძლება დავასახელოთ:

1. სრულიად რუსეთის სამთავრობო სენატის 1878 წლის მითითება;
2. პეტერბურგიდან გამოგზავნილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეგრაფის დეპარტამენტის მეოთხე განყოფილების დირექტორის ლიუდერსის მიერ ხელმოწერილი 1881 წლის ცირკულარი;
3. კოსტანტინოპოლიდან ბათუმში გამოგზავნილი 1881 წლის 3 მარტის ინგლისურენოვანი დეპეშის ასლი, რომლის მიღებასა და ასლის სისწორეს ადასტურებს ვინმე ლეონოვი, ხოლო ჩაბარებაზე ხელს აწერს ნანეიშვილი;
4. გუბერნატორ სმეკალოვის 1882 წლის 1 დეკემბრის ხელნაწერი დოკუმენტი საიდუმლო დეპეშის შესახებ;
5. ბათუმიდან გაგზავნილი დეპეშების ასლები, რომელიც დაბეჭდილია საზოგადოება „печатная“-ს ბლანკებზე;
6. თბილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის მიერ გაგზავნილი სრულიად საიდუმლო წერილები, რომელიც ეხება ბათუმიდან თურქეთის კონსულის მიერ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ დაშიფრულ დეპეშებს.

ფონდი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა საქმის წარმოებაში იყენებდა სპეციალურად მისთვის დაბეჭდილ სწრაფჩამკერებს, რომელთაგან ყველაზე ძველი დათარიღებულია 1882 წლით, სამწუხაროდ არ არის აღნიშნული თუ ვის სტამბაში იბეჭდებოდა, მაგრამ შემონახულია შედარებით გვიანდელი პერიოდის ცნობილი ტიპოგრაფების: კილაძის, შმავესკისა და ხვინგიას სტამბებში დაბეჭდილი საქაღალდეები.

ინახება თბილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსის სახელზე ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის ლიზლოვის მიერ გაგზავნილი ანგარიშების ასლები, რომელიც შესრულებულია კანტორის სპეციალურ დამლიან და ტიტულიან ბლანკებზე.

ფონდზე მუშაობის დროს გამოვლინდა საინტერესო დოკუმენტები, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის ბოგუცკის მიერ 1896 წელს გამოგზავნილი ცირკულარი, რომლითაც იგი აფრთხილებდა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებას, რომ უახლოეს დროში იეგემებოდა ლევ ტოლსტოის რელიგიური ხასიათის მოთხრობის „ქრისტიანული სწავლება“ - არაღებარეული გზით, გადაწერითა და ფოსტის საშუალებით გაერცელება, ცირკულარი შეიცავს მითითებებს კონტროლის გამკაცრებაზე, საეჭვო კორესპოდენციების ადრესატის წინაშე გახსნასა და შემოწმებას, ხოლო ეჭვიმტანილ პირებზე კი განსაკუთრებული თვითვალის დაწესებას.

ინახება კიდევ ერთი ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ ბათუმში მარიას პროსპექტისა და თბილისის ქუჩის კუთხეში (დღევანდელი მ. აბაშიძისა და ბარათაშვილის ქუჩების კვეთა) არსებული ძველი, ისტორიული შენობა აგებულია სპეციალურად ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის, ერთის მხრივ პირველი გილდიის ვაჭარ, ქუთაისელ შიმონ იაკობაშვილს, მის ძმებსა და მეორეს მხრივ ქალაქის მმართველობას შორის 12 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შენობას საფუძველი ჩაეყარა 1913 წელს და საბოლოო სახე მიიღო 1914 წლის ბოლოსათვის, მშენებლობას ინჟინერი ბუზ-ოლდი ხელმძღვანელობდა.



საინტერესოა 1887 წლის საიდუმლო დოკუმენტის - ყალბი ხუთმანეთიანი საკრედიტო ბარათის აღწერილობა, მასში დაწვრილებითაა გადმოცემული ყალბი ფულის გამოცნობის სპეციფიკა. ერთ ერთ საქმეთა ერთეულში დაცულია სლობოდა-ხოლოდნაიაში მცხოვრებ კაპიტან აუსტინსა და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს - ლიზლოვს შორის საკუთარ სახელში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გასახსნელად გასაფორმებელი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ასლი.

ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსისადმი 1894 წელს გამოგზავნილი ერთ-ერთი ცირკულარი ეხება მთავრობის საწინააღმდეგო არალეგარული გამოცემების დაკავებისა და კონტროლის დაწესებას. მასში საუბარია იმ გამოცემებზე, რომლებიც შემოდიოდა ლონდონიდან, ჟენევიდან, ბერლინიდან, ჰამბურგიდან, ფრანკფურტიდან, ლაიფციგიდან, ნიუ-იორკიდან, ეს გამოცემები იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა „რუსული თავისუფალი პრესის ფონდის“ მიერ.

სამწუხაროდ, ფონდებში არაა წარმოდგენილი თანამშრომელთა პირადი საქმეები და ფორმულიარული ფურცლები, ინახება მხოლოდ ნაწყვეტი კანტორის უმცროსი მექანიკოსის მატკევი კრიუკოვის ნამსახურობის აღწერილობიდან, რომელიც მოიცავს 1906-1909 წლების ცნობებს. შემორჩენილია 1919 წლის თანამშრომელთა საშტატო განრიგი თანამდებობისა და სახელფასო სარგოს ჩვენებით (სულ 50 კაცის).

ფონდში ინახება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსის, იმ დროისათვის საიდუმლო ცირკულარები და წერილები, რომლებიც განსაიდუმლდა 1957 წელს. აღნიშნულის დასტურად ფონდის პირად საქმეში წარმოდგენილია სპეციალური აქტი.

საქმეებში არსებული დამამოწმებელი ფურცლებიდან ჩანს, რომ დოკუმენტები საარქივო წესებით პირველად დამუშავდა 1938 წელს. ფონდშემქმნელის დოკუმენტაცია გაყოფილი იყო ორ ნაწილად: ისტორიული (რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ნომერი 37 - ხუთი საქმეთა ერთეულით და მოიცავდა 1890-1916 წლებს) და რევოლუციური (მინიჭებული ჰქონდა ნომერი 99, შედგებოდა ერთი საქმეთა ერთეულისაგან და მოიცავდა 1926-1927 წლებს). დამუშავების შემდეგ ფონდს ჩამოშორდა რევოლუციის შემდგომი პერიოდის დოკუმენტები. 1919 წლიდან მასალები წყდება. შემდგომი საქმიანობის შესახებ ცნობები არ არის შემონახული. დღეისათვის ანაწერებში შეტანილია 1881-1919 წლების 14 საქმეთა ერთეული (ასსცსა, ფ. 37, ანაწ. 1; ს. 1-6 და ანაწ. 2; ს. 1-8).

ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ლიკვიდაცია მოხდა 1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფონდი 37; ანაწ. 1; ს. 1,2,3,4,5,6;
2. ასსცსა, ფონდი 37; ანაწ. 2; ს. 1,2,3,4,5,6,7,8.

Nino Gogitidze

Batumi post-telegraph office

Summary

In Archives Administration of Ajara are protected very interesting documents connected with the history of Batumi post-telegraph office. These documents collected in fund № I-37. In accordance with regulation in November 1878 opened The Post-telegraph Office, which was subordinate to Tbilisi District Post Office Department. The article reviews the materials of this fund.

**ეთნიკური იდენტობის გამომხატველი ტერმინები
არტაანელთა ცნობიერებაში**

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (FR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)

არტაანი, ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარე პოლიეთნიკური რეგიონია თანამედროვე თურქეთში. აქ ცხოვრობენ თურქები, ქურთები, თარაქამები, ყარაფაფახელები, ქართველთა შთამომავლები. ზოგადად, „ნათესავით ქართველნი“, თურქეთში შეიძლება დავყოთ რამდენიმე ფენად:

პირველი ფენა - საუკუნეების წინ სტამბოლის ბაზარზე გაყიდული ტყვეები. XVI-XVII სუკუნეთა მიჯნაზე ქართველ ტყვეთა გარკვეული კატეგორია ყალიბდება: ნადავლის ტყვე, ხარკის ტყვე, ნაყიდი ტყვე, ნაჩუქარი ტყვე. სულხან-საბა ორბელიანს თავისი თვალთ უნახავ სქართველი ტყვეები XVIII ს-ის I მეოთხედში. ხშირად, დაკარგულის გამოსახსნელად მთელი ოჯახი დაირაზმებოდა. ამ ძებნაში ზოგჯერ თავადაც “იკარგებოდნენ”.

მეორე ფენა - ავტოქტონური ქართველები, რომლებიც ოსმალეთმა მიწებიანად მიიტაცა (ტაო, კლარჯეთი)

მესამე ფენა - მუჰაჯირები, რომლებიც მე-19 საუკუნის 30-იან და 70-80-იან წლებში ოსმალეთში მუჰაჯირად წავიდნენ. თუმცა მეორე და მესამე ფენის ეთნიკური ქართველები შეიძლება კიდევ ორ ნაწილად გაიყოს: ქართველები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური ცნობიერება და „დაკარგული ნათესავით ქართველნი“. არტაანში ძირითადად ეთნიკური ცნობიერება წაშლილია. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პაპა ან ნათესავი ჰყავდა გურჯი, თავად კი თურქია. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არტაანის-კოლასა და ფოცხოვის სოფლებში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მიგრაცია, რასაც ხშირ შემთხვევაში საფუძვლად ედო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. შესაბამისად აღნიშნული ტერიტორიები თითქმის დაიცალა ეთნიკური ქართველებისგან, მათ ადგილზე დასახლდნენ სხვები. ხოლო, ვინც დარჩა, მოხდა მათი ასიმილაცია. ამიტომ, სრულებით არ არის გასაკვირი, ის ფაქტი, რომ პაპითა და ბებებით „ნათესავით ქართველი“, თავს თურქად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ თურქეთის კონსტიტუციის 66-ე მუხლის მიხედვით, ქვეყნის ყველა მოქალაქე თურქია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი „ცნობიერებით გათურქებული“, „გენეტიკურად ქართველის“ ისტორიულ მესიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ის ფაქტი, რომ არტაან-კოლა-ფოცხოვის ტერიტორიებზე საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ „გურჯები“, რასაც ტოპონიმებითა და შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებით ადასტურებენ. რესპონდენტ **ქიაზიმ არიჯის (91 წლის- სუგოზე-ქვემო ჭინჭრობი)** გადმოცემით მისი მეუღლე მიქელაძის ქალია. ქიაზიმის წინაპრები შირინჯილერების გვარიდან ყოფილან, ახალციხიდან გადმოსულან და ფოსოვში (ფოცხოვში) დასახლებულან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს სრულად წარმოუდგინოთ რესპონდენტის მონათხრობი: „მე თავად ფოცხოვიდან ვარ. ფოცხოვში სკოლაში ვსწავლობდი, მერე მასწავლებელი გავეხდი. და 15 წელი აქ ვიმუშავე, შემდეგ არდაჰანში წავიდი 13 წელი იქ ვი-

მუშავე. ეხლა კი პენსიაში ვარ, მეფუტკრეობას ვეწევი და თაფლს ვყიდი. 1924 წელს დავიბადე. სახლი და კარი აქ მაქვს. ვერ ვცილდები აქაურობას. ბათუმში ადრე ორი თვე დავრჩი, ჩემი ცოლის ნათესავეები არიან იქ სოფელ ბაკოში (სოფელი ხულოს რაიონში, თ. ფ.). ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ბაკოში წავედით, ნათესავეებთან, ყველა ატირებული დაგხვდა მოგვეხვივნენ. აქ ქართული (გურჯული) სოფლები აღარ არის, მაგრამ ჩვენ მათთან ერთად გვიცხოვრია. სახელები იგივეა, მაგალითად **თოროსხევი**. ამ სოფლის პირდაპირ არის, იქ ადრე ძველი ბერძნები სახლობდნენ, მაგრამ მათზე ადრე „გურჯებს“ უცხოვრიათ. შემდეგ ომი მომხდარა და ბერძნები მოსულან ტრაპიზონიდან და აქ დასახლებულან. მაგალითად არის სოფელი „სუსქაპი“ (დღევანდელი Aşıkzülali. აჭარაში იტყვიან „წუნყაპს წავიდაო“, „წუნწყაპს მივალო“), მისი ძველი სახელი **დუბიხევი**. ამ სოფელში სულ გურჯები იყვნენ და ადგილების სახელებიც გურჯულია. ყველა მხარეს გურჯები იყვნენ და გურჯულად საუბრობდნენ. აქ 80 ოჯახი სახლობს, ჩვენ მაგალთად გურჯული ოჯახი გვაქვს, ჩემი მეუღლე გურჯი იყო, მეც გურჯი ვარ. ამ სოფელში მიახლოებით 7 გურჯი ოჯახი სახლობს. ყველა ერთმანეთის ნათესავია. აქ არის ძველი სახელები-სიტყვები, მაგალითად „გობა“, „ჩანჩური“, „ხაჭაპური“, „ჭინჭარი“, „ხინკალი“, „ტემალ“- (ტყემალი), „შავი ყურძენი“, „ხაშილ“ (მზადდება სიმინდის ფქვილისგან, რომელსაც ურევენ ცხიმს და ისე ამზადებენ), „სინორი“, „ერიშტე“, „გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“; სოფლების სახელები - „საგრე“, „ვარხანა“ (ვარხანი სოფელი სამხრეთ საქართველოში. მდინარე ოცხის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1130 მეტრზე, თ. ფ.) „ვახლა“, „აგარა“. მე 1945 აქ დავექორწინდი. ჩემი სიმამრი ბაკოდან იყო (სამი ძმანი ყოფილან) ერთ-ერთი იქიდან წამოსულა და სოფელ ბაღდაშენში დასახლებულა. ჩემი მეუღლე და მისი დები იქ დაიბადნენ, ომის შემდეგ აქაურობა დაიცალა და იქიდან აქ გადმოსულან. ნათესავი ჰყავდათ ხოჯა, და იმან მისცა მათ აქ სახლი. ჩემს ცოლს ვეძახდი „გურჯუ გუზელ“-ს (ქართველ ლამაზმანს) აქ ძველად გურჯი გურჯზე ქორწინდებოდა (მონოეთნიკური ოჯახები თურქეთელ ქართველებში ხშირად გვხვდება. მაგალითად, ინეგოლის და სხვა რეგიონების ქართულ სოფლებში იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მონოეთნიკური ოჯახებია, ნ. ო.). დღეს უკვე ასე აღარ არის, მაგალითად ჩემი შვილიშვილმა ჰოლანდიაში ინგლისელი მოიყვანა ცოლად. დრო გადის და იცვლებიან ადამიანები, მათი აზრები და შეხედულებები.

ამ სოფელში ადრე მაღაკნები (რუსები) ცხოვრობდნენ, **ძველად კი სულ გურჯები იყვნენ. მერე ისინიც სხვადასხვა ადგილებში წასულან და მიუტოვებით აქაურობა. მიზეზი საზღვრის ჩაკეტვა იყო.** რუსებსა და ოსმალებს შორის სამი (ყარსი, არდაჰანი, ბათუმი) დიდი შეტაკება მომხდარა. **ყარსი და არდაჰანი ოსმალებს გადაურჩენიათ, ბათუმი დარჩენილა.** მის გასათავისუფლებლად სტამბოლიდან ოსმალებმა ჯარი გამოაგზავნეს, ხოფადან შევიდა ჯარი და ბათუმის დაკავებას აპირებდნენ, მაგრამ ქართული შენაერთი ძალზედ ძლიერი აღმოჩნდა. ფადიშაჰს შეატყობინეს, რომ თუ ოსმალები ბათუმის აღებისას დამარცხდებოდნენ, მაშინ ყარს და არდაჰანს დაკარგავდნენ. მიუღიათ გადაწყვეტილება ბათუმი ყარსისა და არდაჰანის სანაცვლოდ დაეთმოთ. აქვე ახლოს **ციხესი-მაგრეა „თამარას ციხე“, თამარა გურჯი** იყო. ფოცხოვში სოფელი მერეს ქვევით ციხეა, ისიც თამარისაა. ძველად მანქანა არ იყო, ცხენით დავდიოდით სოფლებ-

ში. არდაჰანიდან კინძოტამალამდე ძველად ჯერ პატარა (ჭ)ჯინ(ჭ)ჯრობს გავივლიდით, შემდეგ დიდ (ჭ)ჯინ(ჭ)ჯრობს, კოდისხარას, შემდეგ გავივლიდით სინდისქომს, შადივან ქოისს, ხასქოის და ბოლოს კი ქინზოტამალას. გოლედან (კოლა) ქინძოტამალამდე კი-ფოლადიქი, ოკამი, სარმე და შემდეგ კოლაა“. რესპონდენტის მონათხრობში ფაქტობრივი უზუსტობების მიუხედავად ნათლად ჩანს რეგიონში ქართველთა ცხოვრების ისტორიული ფაქტი.

ძალზე ნაყოფიერი იყო ექსპედიციის მონაწილეთა შეხვედრა ამავე სოფლის მკვიდრთან. ქიაზიმის ნათესავთან - 73 წლის ქემალ დემირთან. რესპონდენტის ისტორიული მეხსიერება საკმაოდ დამახინჯებულია. მას სჯერა, არტაანი თურქეთის ისტორიული ტერიტორია, თუმცა ვერ ხსნის რატომღა რეგიონში შემორჩენილი ძველი ქართული ტოპონიმები. მისი აზრით ადრე ქართველები ქრისტიანები არ იყვნენ, აჭარა თურქების იყო და მერე მოხდა მათი გაქართველება. „მე აჭარელი ვარ, ხულოდან, მოგვითხრობს რესპონდენტი. ჩემი წინაპრები ხიხაძირიდან და წაბლანიდან იყვნენ. 1919 წელს მოსულა აქ ჩემი პაპა. მამაჩემი 5 წლის ყოფილა მაშინ. ცოტა სიტყვები ვიცი, ბორჩხაში დავედიოდი და იქ ვისწავლე. მამაჩემის სახელი დურსუნია, პაპის დემურალი, პაპის მამის სახელი ფერათი, ფერათის მამის სახელი სელიმი, სელიმის მამის სახელი კი ემირი იყო. აჭარაში, ბათუმში უამრავი ნათესავი მყავს, მაგალითად მიხაილ ბერიძე, მუჰამედ ბერიძე. ჩვენი ძველი გვარი (ჰოჯა) არიფოლლი ბერიძე ყოფილა. ქობულეთში ბიძები (მამის მხრიდან) მყავდა. ჩემი მეუღლე ნახევრად გურჯია. მამამისი ტრაპიზონიდან იყო, დედა კი აჭარელი ყავდა. მეუღლის გვარი აქსუ იყო. როცა ვიქორწინე, 26 წლის ვიყავი. ჩემმა მშობლებმა ორივეს ბეჭედი გაგვიკეთეს. არც გეყავდა ერთმანეთი ნანახი. ხორუმს ვცეკვავდით ქორწილებში. როგორც იყო აჭარაში იგივე იყო ჩვენში“, დაასრულა საუბარი რესპონდენტმა. კოდისწყაროელთა და ჭინჭრობელთა კულტურული მეხსიერების საკითხების კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია არტაანის მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებულმა მეტსახელებმა: **ქორ ისმაილი, დამაჩი, თოხაბერგილი, ობოლი** და ა. შ. ზოგიერთი მეტსახელის ქართული მნიშვნელობა მათთვის უცნობია, თუმცა ადასტურებენ, რომ მეტსახელები „ფოსოვიდანაა წამოღებული“. ჭინჭრობელებს და კოდისწყაროელებს სრულყოფილი წარმოდგენა არ აქვთ თარაქამებზე, რომლებიც არტაანის რამოდენიმე სოფელში ცხოვრობენ. ისინი თვლიან, რომ თარაქამები თურქული მოდგმის ხალხია, ოღონდ „**ცოტა განსხვავებული**“. მთხრობელთა გადმოცემით, აქ ადრე სომხები//ერმენები ცხოვრობდნენ, მაგრამ ვერ ხსნიან მიზეზს, თუ რატომ ჰქვია სოფელს ქართული სახელი. საკუთარ თავს კი მიაკუთვნებენ თურქებს. მთხრობელთა მეორე ნაწილი ადასტურებს ამ სოფლებში ქართველების ცხოვრების ფაქტს. იმასაც აღნიშნავენ, რომ ათათურქის მოსვლამდე გურჯების მიერ აშენებული ეკლესიის ნანგრევებზე ააშენეს დღეს არსებული მეჩეთი. მათი წინაპრები „**ახისკიდან ფოსოვში, ფოსოვიდან კი არტაანში**“ გადასახლებულან. მიზეზად ომებს ასახელებენ. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომებს თან ახლდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა. ქრისტიანების დამკვიდრების შიშით 1828-1829 წლების ომის შემდეგ მოსახლეობა როგორც ჩანს ამ რეგიონში გადასახლდა. აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა **ზემო ჭინჭრობელ (აღზიფექი) რესპონდენტ აიერსოი ათენისთან** საუბარმა. მისი „წინაპრები საქართველოდან იყვნენ. აქ ყველა საქართველოდანაა

მოსული“. მისი თქმით ერთ „ხოჯას“ ეს აღუწერია. საინტერესოა, რომ წინაპრებს ისინი ქართველებად თვლიან, საკუთარ თავს კი არა. სამეურნეო კულტურის მაღალი დონეც ქართველებთან თანაცხოვრებით უნდა იყოს განპირობებული (თუმცა ბევრი თავადაც ქართველი იყო).

ნიშანდობლივია, რომ არტანში და მასზე დაქვემდებარებულ ფოცხოვის სოფლებში, ფიქსირდება ეთნიკური ტერმინები: „**კავკასიელი თურქი**“, „**ახისკელი თურქი**“. გარკვეული ნაწილი იმ მოსახლეობისა, რომლებიც თავს კავკასიიდან, კერძოდ ახალციხიდან გადასახლებულად მიიჩნევენ, თავს **კავკასიელ (ახისკელ) თურქს** უწოდებს. ქვემო ჭინჭრობელი რესპონდენტები ამტკიცებდნენ, რომ აქ ადრე ქართველებს, მოგვიანებით მაღაკენებს („თეთრ რუსებს“) უცხოვრიათ. მაღაკენები 1950-იანი წლებში წავიდნენ, „ქართველები კი არსად არ წასულანო“. კითხვაზე „თუ არსად წასულან, ახლა სად არიან?“ რესპონდენტმა პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა. როგორც ჩანს, ვერ ბედავენ, ან თავს მიიჩნევენ საქართველოდან გადმოსახლებული თურქული მოდგმის ხალხად. აჭარა მათი წარმოდგენით რუსეთის ნაწილია. იქ მცხოვრებთა ნაწილის კულტურულ მესხიერებაში რუსების შესახებ ხსოვნა უფრო გამოკვეთილია, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების. მეტყველებაშიც ზოგჯერ რუსულ სიტყვებს ურევვენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური ტერმინები: „**ახისკელი თურქი**“, „**კავკასიელი თურქი**“ საერთო ქართული სივრციდან თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ჩამოცილებას ემსახურება. აღნიშნული ტენდენციები უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა, რაც ბუნებრივია გავლენას ახდენს თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაზე. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური თვალსაზრისით „**გურჯისა**“ და „**ქართველის**“ ერთმანეთისაგან გამიჯვრებით ცდილობენ მოახდინონ ეთნიკური გათიშვა. მსგავსი ტენდენცია ძველად ლაზებთან მიმართებაშიც შეიმჩნეოდა. ზ. ჭიჭინაძეს მოჰყავს საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით ოსმალებმა ლაზები „გადააკეთეს და დაამხეს“ მათში ვინაობის შეგრძნება. შეაძულეს ქართველთა ნათესაობა და ააფარეს არაბული დამწერლობა, მოსპეს მათში ეროვნულობა და ჩაუნერგეს თურქოფილობა. მკვლევარს ბათუმში უნახავს ლაზები, რომლებიც კარგად ფლობდნენ ლაზურ ენას. ზ. ჭიჭინაძეს მიუწოდებია ინფორმაცია რესპონდენტებისათვის მათი ქართული წარმომავლობის შესახებ, ლაზებს კი მოუთხოვიათ: „წიგნები ქართულ ენაზედ რომ დაბეჭდოთ, მის შემდეგ მოახერხეთ და ოსმალურ ენაზედაც დაბეჭდეთ, რომ ჩვენმა ხალხმაც გაიგოს, რომ ჩვენ ქართველ-მეგრელების ნათესავეები ვართ და არა თურქებისა და ქურთებისა. ამ საქმეში ფულით ჩვენ დაგეხმარებით, თორემ ოსმალებმა ჩვენ ისე გარდაქვმნეს, რომ ჩვენ ჩაგვინერგეს ის ყალბი ცნობები, რომ თქვენ თურქები ხართ, თქვენი ანბანიც არაბულია და არა ქართული“ (ჭიჭინაძე 1927: 6). როგორც ვხედავთ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების საერთო ქართული სივრციდან მოწყვეტის მცდელობები საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც აქტიურად გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ინეგოლის ქართული სოფლების ასაკოვან მოსახლეობაში ტერმინების „გურჯისა“ და „ქართველის“ ადრევა იწვევს საკმაოდ დიდ გაღიზიანებას. „ქართველის“ წოდებაზე მათში უარყოფითი განწყობა შეიმჩნევა. „ქართველები კი არა გურჯები ვართ“. ზოგიერთი კი „ქართველის“ წოდებას შეურაცხყოფის ტოლფასად აღიქვამს.

სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა ფოცხოვი (ფოსოვი), რომელიც მდებარეობს არდაჰანიდან 75 კილომეტრში. ფოცხოვში 2000 მოსახლეა. ჰყავს მერი (ირჩევენ ადგილობრივად) და ქაიმაქამი (ნიშნავს სახელმწიფო, რომელიც უსაფრთხოების საქმეებს განაგებს). ფოცხოვში, როგორც მოსაზღვრე რაიონში გამკაცრებულია უსაფრთხოების ნორმები. აუცილებელია ფოცხოვის ქაიმაქამისგან ნებართვის აღება, რათა კონკრეტულ სოფლებში შესვლისას პრობლემა არ შეიქმნას სოფლის მოსახლეობისა და მუჰთარის (გამგებელი) მხრიდან. სოფლებში შესვლისას თავად მოსახლეობა ინტერესდება უცხო ადამიანების სტუმრობის მიზეზებით.

საინტერესოა, რომ ფოცხოვის სოფლებიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მუჰაჯირად ბევრი წავიდა ინეგოლის სოფლებში, მათ შორის სოფელ-თუფეჩიქონაქში. მსგავსი ტენდენცია დღესაც შეიმჩნევა. უამრავი ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს ინეგოლში. ზაფხულობით კი სტუმრობენ პირველსაცხოვრისს. კითხვაზე თუ რატომ აირჩიეს მაინცდამაინცარტაანიდან საკმაოდ მოშორებული ინეგოლი, როცა უამრავი სხვა სამრეწველო ქალაქია თურქეთში - პასუხი არ აქვთ. მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ იქ მუშაობა ურჩევნიათ. ფოცხოველები ხუმრობითაც კი აღნიშნავენ, რომ ინეგოლში უფრო მეტი ფოცხოველია, ვიდრე თავად ფოცხოვში. ვფიქრობთ, ეს იმით აიხსნება, რომ მათი წინაპრები თუ ნათესავები ინეგოლის სოფლებში მუჰაჯირობის დროს წავიდნენ და მათთან კონტაქტს დღესდღეობითაც ინარჩუნებენ. შესაბამისად უფრო ადვილია იქ დამკვიდრება, სადაც გზა უკვე გაკვალულია და ახლობლები ცხოვრობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინეგოლი „პატარა საქართველოდ“ არის მიჩნეული. აქ 18 ეთნიკური ქართული სოფელია, ქალაქის ცენტრში მდებარეობს 1977 წელს აჰმედ-ოზკან მეღაშვილის მიერ დაარსებული „კავკასიური კულტურისა და ფოლკლორის საზოგადოება“. ინეგოლის მერები 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე წარმოშობით ქართველები არიან. ინეგოლში ქართული მოსახლეობის სიმრავლემ და მუჰაჯირობის პერიოდში ფოცხოვიდან ინეგოლის სოფლებში გადასვლამ, ვფიქრობთ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა თანამედრვე ფოცხოველთა მიგრაციაზე.

ფოცხოვის მოსახლეობა საკმაოდ ფრთხილია, ცდილობს აწონოს ყოველი სიტყვა, ზოგიერთი უარს ამბობს სურათის გადაღებასა და სახელის ანდა გვარის დასახელებაზე. მსგავსი „შიში“ თუ სიფრთხილე იმითაა გამოწვეული, რომ აღნიშნული ტერიტორია საქართველოს საზღვართან 20-25 კილომეტრშია. ამასთან, ეს ტერიტორიული ერთეული ისტორიული საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მსგავსი სიფრთხილე არ შეიმჩნევა ინეგოლის ქართულ სოფლებში, სადაც მუჰაჯირთა შთამომავლები სახლობენ.

არტაანში შემავალი სხა რაიონებისაგან განსხვავებით, ფოცხოვში შედარებით უფრო კარგადაა შემონახული ქართული ტოპონიმები (ობოლი, წურწყაბი, ხილვანა, მერე, შუარტყალი, ბანარხევი, აგარა, გიორგის უბანი, სათლელი და სხვ.). აქაურები ვიზუალური (ანთროპოლოგიური) თვალსაზრისაც განსხვავდებიან არტაანელებისაგან. ამ ფაქტს თავად ფოცხოველებიც აღნიშნავენ. ფოცხოვის მკვიდრი 86 წლის მოხუცი **მუსტაფა ერდერის** თქმით: „აქაურები განსხვავებულები არიან, ადრე დახმარება რომ გეჭირდებოდა არა არდაჰანელებს (რომლებიც ახლოს იყვნენ) არამედ, საქართველოდან აჭარლებს ვეძახ-

დით. ერთხელ აქაურების დასახმარებლად, მასსოვს აჭარიდან 8-9 კაცი ჩამოვიდა, რა იარაღიც იშოვნეს, იმით ჩამოვიდნენ. აჭარლებთან აღებ-მიცომობაც ხშირი გვექონდა და ამანაც განაპირობა ჩვენი მეგობრობა. არდააჰნი რომ მივდივართ დღესაც კი გვიყურებენ რა განსხვავებულები ხართო, მადლები და ღამაზებიო. არდაჰანი ჩვენც არ მოგვწონს“.

ფოცხოვში, ისევე როგორც არტაანში, გაურბიან ეთნიკურ იდენტობის შესახებ საუბარს. ამბობენ რომ არიან თურქები, ხშირ შემთხვევაში ყივჩაღები. თუმცა საინტერესოა, რომ შეგნებით თუ შეუგნებლად, აღნიშნავენ, რომ მათი პაპები ან წინაპრები „გურჯები“ იყვნენ, თავად კი თურქები არიან. მუსტაფა ერდერი აღნიშნავს: „ჩემი პაპა ამბობდა, რომ აქ ბევრი გურჯია. მამაჩემს გამოუკვლევია წარმომავლობა და ამბობდა, რომ მე გურჯი ვარო. მამაჩემის დროს კიდევ ბევრი გურჯი იყო, ესხდა არ ვიცო, ბევრი აღარ დარჩა და არც იცის ბევრმა, რომ გურჯია. გურჯები აქ ვერ გაჩერდნენ, მიზეზი რა იყო არ ვიცო. თუმცა პაპისგან და მამისგან ვიცო, რომ გურჯები ვყოფილვართ. როცა დავიბადე სახლვარი დაიკეტა, ჩემი უფროსი ძმა თხილვანაში ხშირად მიდიოდა, მაშინ ის 7 წლის იყო. 3 თვე რჩებოდა ნათესავეებთან. მამაჩემის ნათესავს აჰმეთ აღას თხილვანაში იარაღი შეუგროვებია, წამოუღია აქ და ვინც უნდა გადაესახლებინათ (ნათესავეები), ისინი გაუთავისუფლებია. მე მყავდა დიდი პაპა არიფი, იმ პერიოდში აქ ერთი ბეი (ბატონი) ცხოვრობდა, ის აქაურებს აწიოკებდა. შეწუხებული მოსახლეობა საჩივრულად პაპაჩემთან მოდიოდა. პაპაჩემი კი ხალხის დაცვის მიზნით, ამ კაცის ასაწიოკებლად მიდიოდა. არავის არჩენდა უსამართლობას“.

ფოცხოვში 49 სოფელია, უმრავლესობას ძველი ქართული სახელწოდებები დღემდე შემორჩათ. სოფლებს სწორედ ძველი სახელებით იხსენიებენ. მკვიდრ მოსახლეობას, ძირითადად ასაკოვნებს კარგად ახსოვთ ეს ტოპონიმები (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთმა ისტორიული ჭანეთში არსებულ რამოდენიმე სოფელს დაუბრუნას ძველი სახელი), თუმცა არ იციან მისი მნიშვნელობა და სადაურობა. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა რესპონდენტი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ფოცხოვსა და მასში შემავალ სოფლებში ქართველების/გურჯების არსებობას. 83 წლის ჯელალ ჩიფჩე მოგვითხრობს: „ადრე ამ ადგილების სახელები გურჯული იყო და აქ გურჯები ცხოვრობდნენ. მაგალითად: აგარა (თურქ. ქალენუ, მისი აზრით, მომდინარეობს სიტყვიდან „აგერ“), ხივჭალა (ხევი ჭალა), ავჭალა, გორის ძირი, ხევათი (ხევი) დერესი, ჯანჯღარი (მდინარე), აბაზარი, სარკინე (მთა), არილე, ჭანჭახი (სოფელი), მერეს ციხე (ადგილობრივების გადმოცემით, მერეს ციხის შესახებ არსებული ლეგენდის მიხედვით ამ ციხის მეპატრონეს ერთი ღამაზი გოგო შეყვარებია და სურდა ცოლად მოყვანა, მაგრამ ქალს მისი ცოლობა არ სურდა. მეპატრონე ციხიდან გადმომხტარა და თავი მოუკლავს, ნ. ო.), (ჭ)ჯუვანთელი (სოფელს ჩამოუღის მდინარე, რომელსაც მოსახლეობა მინგიშლის უწოდებს. მინგიშლი გოგოს სახელი ყოფილა. აქვეა ალთუნ ქალე/ოქროს ციხე, ნ. ო.), ზილა, წანწიფელა (მინდორი), ძველი რაბათი (გორაკი), დიდვაკე, ერეკლე, ღორტემალა, ჰეფჯ(ჭ)ალა, მიხიზირი, ნაკესრავი, ნაფუძარი; ასევე მიწის ნაკვეთის სახელები: ბუნელე, კაკაური, ღორღენე, ნაბახტევი, ჭანჩურ ბაჰჩესი, დედოფალას ჭალა (ერთი პატარძალი მოსულა სოფელ პალადიედან და იქიდან მომდინარეობს ეს სახელწოდებაცო, ნ. ო.). ღამაზ პატარძლებს ჩვენში დედოფლებს ეძახდნენ. სოფლებში უმრავლესო-

ბა აჭარიდან გადმოსულების შთამომავლები არიან. სახელებს არ ვცვლით და მხოლოდ მათ ვიყენებთ“.

სოფელი „გონულაჩანი“-ს (შუვაწყალი/შუარტყალი) მცხოვრები, 73 წლის **ჰუსეინ შაჰსემანის** გადმოცემით მისი პაპა ბათუმში მუშაობდა. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ მეუღლესთან ერთად იქ დარჩენილა და ორივე იქვე გარდაცვლილა. აქ ადრე სულ გურჯები ცხოვრობდნენ, შუვაწყალიც გურჯული სახელიაო. საინტერესოა, რომ რესპონდენტები საუბარში რუსულ სიტყვებსაც ურევენ. მაგალითად, „ტალჩოკ“, „სტაკან“, „სტოლ“ და ა. შ. რაც 1878-1921 წლებში აღნიშნული ტერიტორიის რუსეთის იმპერიის საზღვრებში ყოფნას უკავშირდება. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა იგი თურქეთს გადასცა. შესაბამისად ადგილობრივთა ისტორიულ, კულტურულ მემკვიდრეობაში გასაკვირი არაა რუსული ტერმინების არსებობა.



**ჰუსეინ შაჰსემანი მეუღლესთან ერთად
(სოფელი გონულაჩანი/შუვაწყალი/შუარტყალი, ფოცხოვი)**

სოფელში ქოლქოიელ (სოფელში მდებარეობს ციხის ნანგრევები, რომელიც ადგილობრივების გადმოცემით ბიზანტიელებს აუშენებიათ. მას „ქოლქალესს“//“ქიზქალესს“ ეძახიან. გადმოცემის თანახმად, ბრძოლის დროს გოგო მოუკლავთ და იქვე დაუკრძალებათ, თუმცა კონკრეტულად სად, არავინ იცის. ამიტომ ციხეს „ქიზქალესი“ ანუ „გოგოს ციხე“-ს ეძახიან) უხუცესებს კარგად ახსოვთ უახლესი წარსულის ისტორია. ოთხ უბნად დაყოფილ სოფელში ყველა ერთმანეთის ნათესავია. ნათესაურ კავშირს დღემდე ინარჩუნებენ აჭარის სოფ-

ლებთან. მათივე ინფორმაციით, ადრე ხშირი იყო „გოგოს გათხოვება აჭარაში ანდა იქიდან ქალის წამოყვანა“. ალი ბალიქი მოგვითხრობს: „აჭარის სოფლებში ბევრი ნათესავი გვყავს. ზოგიერთის გოგო იქ გათხოვდა, ზოგმაც აქ გამოათხოვა შვილი. ჩემი დიდი პაპა ყვებოდა, რომ წინაპრებს 1890 წელს აჭარაში უცხოვრიათ. ჩვენი სოფლის სახელი ქოლქოი - არ შეცვლილა, ადრეც ეს სახელი ერქვა. აქ ძველად გურჯები ცხოვრობდნენ. სახელწოდება კი მომდინარეობს „ყველის ერთი კოლი“- დან (თავი). სოფელი 4 უბნად არის დაყოფილი-ორთა (შუა) მაჰალე, ჯამი (მეჩეთი) მაჰალე, იუქარი (ზედა) მაჰალე, აშადი (ქვედა) მაჰალე. არავის არ მიუტოვებია სოფელი. ჩვენი ნათესავები ხიხაძიდან არიან. რესპუბლიკის (ათათურქის) დროს გვარი შეუცვლიათ. არსიანის მთების სახელი შავშეთში ყოფნისას მოვიკითხე და მითხრეს, რომ არსიანი კაცის სახელი იყო, რომელსაც თვითონ ბრძოლით მოუპოვებია ეს მიწა და ამიტომ ეწოდა მთებს არსიანიო“.

ფოცხოველებს არამარტო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ საქართველოსთან, არამედ სავაჭრო ურთიერთობაც ჰქონდათ თბილისთან, ხაშურთან, ბორჯომთან, აბასთუმანსა და აჭარასთან. ძირითადად კი, ახალციხესთან. ალი ბალიქი მოგვითხრობს: „ჩვენ აქ ვეწევით მეცხოველეობას, გვყავს ძროხები (შინაურ ცხოველებს მეტსახელებსაც არქმევდნენ: „ჩინჩავატი“ (შტერი) (აღნიშნული ტერმინი ჯავახეთის სოფლებშიც გვხვდება და ნიშნავს „ცეცხ“, „ჭკუამოკლეს“ (ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, „საუნჯე“, 2014), ფაშა და სხვა. ვამზადებთ ყველს, კარაქს, აირანს, რძეს. მოგვყავს ხორბალი, ლობიო, ქერი, კარტოფილი. ძველად ახალციხესთან გვქონდა ვაჭრობა, იქ მიჰქონდათ და ჰყიდდნენ ნაწარმს. მიღებული ფულით კი ბრინჯს, მერჯიმქს და სხვა სურსათს ვყიდულობდით. ძველად ერთი კაცი ახალციხიდან ფოცხოვში წამოსულა და ოქრო ჩუმად გადმოუტანია, ისე რომ რუსებს არ შეემჩნიათ. მას კამეჩებისთვის პურში ოქრო გაურევია, საზღვარი რომ გადმოუკვეთავს დაუკლია, ოქრო ამოუღია და ბურსაში სიცოცხლის ბოლომდე მდიდრულად ცხოვრობდა. ვალეს სოფლებში ეხლაც უამრავი განძია დარჩენილი/გადამალული“.

ფოცხოვის სოფლებში შემორჩენილია ზომორფული სახელები. 65 წლის ემირ ჩაუშს (სოფელი იალი ალთი//სათლელი) კარგად ახსოვს ბავშვობაში ნასწავლი სიტყვები, რომლის მნიშვნელობასაც უხსნის თავის შვილიშვილებს: **ბოჭოჭია (ობობა), ბუბუ ქუში (ბუ), ბულტი იალი (ლოკოკინა), დოიდუ (მტრედი), კაჩკაჩი (კაჭკაჭი), კოკოშ (კისერ აწეული ხარი), კუდა (უკუდო ძაღლი), მატლი (მატლი), მორია (ჭია მაია), პელეშ (კისერგადაწეული ხარი), პითპითა (პეპელა) და სხვა.**

ამრიგად, არტაანის პროვინციის მოსახლეობის მეხსიერებაში ძირითადად წაშლილია ქართველთა იქ ცხოვრების კვალი. განსხვავებული ვითარებაა ფოცხოვში, სადაც შედარებით უფრო (ნაწილობრივ) შემონახულია ქართული ტოპონიმიკა და ცალკეული სიტყვები. ამავე დროს, ფართოდაა გავრცელებული ეთნიკური ტერმინები: **“ახისკელი თურქი”, „კაგკასიელი თურქი”,** რაც პოლიტიკური იდეოლოგიის შედეგია და საერთო ქართული სივრციდან თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ჩამოცილებას ისახავს მიზნად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭიჭინაძე ზ. -ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანი ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, ტფილისი, 1927;
2. ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, „საუნჯე“, 2014.
3. ნ. ოქროსცვარიძე, საველე ექსპედიცია არტაანში, დღიური, 2016 წლის აგვისტო.

Nino Okrostsvaridze

The terms of ethnic identity in Ardahan people consciousness

Summary

One of the oldest side of historical Georgia - Ardahan is ethnic region of modern Turkey. There are Turks, Kurds, Tarakams, Karaphakhchebi, descendants of Georgians. The inhabitants are mostly erased the memory trace of life there. Different situation is in Photskhovi, where more than (partly) preserved Georgian toponymy and individual words. At the same time, is widely prevalent ethnic terms: "akhiskeli Turk", „Caucasian Turks ", which is the result of a political ideology.

**ბათუმის პუშკინის ვაჟთა სასწავლებელი
(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)**

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის ფონდსაცავში დაცულია ბათუმის პუშკინის დაწესებითი სასწავლებლის არსებობის მანძილზე შექმნილი დოკუმენტაციის ნაწილი. ფონდს მინიჭებული აქვს ინდექსი **ო – 30** და შედგება **20 საქმეთა ერთეულისგან**.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სასწავლებელში მეცადინეობები დაწყებულია 1899 წლის 13 სექტემბერს. იმავე წელს გახსნილა ერთი განყოფილება, რომელიც ითვლიდა 55 მოსწავლეს. მომდევნო წლებში სასწავლებელს დაემატა კიდევ ორი განყოფილება. შესაბამისად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობაც (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 1; ფ. 2).

დაცული მასალებიდან არ ჩანს სასწავლებლის თავდაპირველი ადგილსამყოფელი. მას პირველად ეწოდა „**ვაჟთა ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი**“, ხოლო **1900 წელს**, სახალხო განათლების მინისტრის თანხმობით, ალ. პუშკინის სახელის უკვდავსაყოფად უწოდეს „**ბათუმის პუშკინის ვაჟთა სასწავლებელი**“. ამ სახელით ფუნქციონირებდა იგი ლიკვიდაციამდე (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 2; ფ. 1).

1901 წლის 25 ოქტომბერს ბათუმში გაიხსნა ახალი ერთკლასიანი სასწავლებელი. შესაბამისად, პუშკინის სასწავლებელი გადავიდა სხვა შენობაში, ხოლო სასწავლებელს შეეცვალა სახელი და ეწოდა **ბათუმის მეორე საქალაქო პუშკინის ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი** (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 3; ფ. 15, 18). სასწავლებლის ხელმძღვანელის **ფილიპე მგელაძის** ინსპექტორისადმი შეტყობილებიდან ირკვევა, რომ სასწავლებელმა ბინა დაიდო **პეტერბურგის ქუჩაზე**, ვინმე **კაკაბაძის სახლში**. დოკუმენტიდან ნათელია, რომ სასწავლებელში სწავლობდა **80 მოსწავლე**, მეცადინეობა კი დაწყებულია 20 სექტემბერს (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 3; ფ. 19).

სასწავლებელი ექვემდებარებოდა **ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექციას**. ამავე დროს იგი შედიოდა ქალაქის მმართველობის დაქვემდებარებაში და ფინანსდებოდა როგორც ქალაქის ბიუჯეტიდან, ასევე შემოწირულობებით. აქედან გამომდინარე სასწავლებელი ანგარიშვალდებული იყო ქალაქის მმართველობის წინაშე. სასწავლებლის ხელმძღვანელი ფ. მგელაძე ყოველწლიურად აწვდიდა ინფორმაციას ქალაქის მმართველობას მოსწავლეთა რაოდენობის, აღმსარებლობის, წოდებრივი მდგომარეობის შესახებ (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 4; ფ. 2). სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: **საღმრთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია და ხაზვა**.

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფილიპე მგელაძე, რევოლუციურ ორგანიზაციებთან კავშირის გამო, 1906 წლის 7 თებერვალს გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან და დაუკისრებიათ ადმინისტრაციული სასჯელი. მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა **ირაკლი ნიკიფორეს ძე ღლონტი**. დანიშვნის

ბრძანებას ხელს აწერს ქალაქის თავი თავადი **ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი)**, სათათბიროს წევრები **ქურული და ვოლსკი** (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 8; ფ. 2).

თანამშრომელთა მოთხოვნისა მიუხედავად, ადმინისტრაციული სასჯელის ვადის გახვედის შემდეგ ფილიპე მგელაძე აღარ დააბრუნეს სამსახურში. სასწავლებელს ლიკვიდაციამდე ხელმძღვანელობდა ირაკლი ღლონტი. ფონდში დაცულია ირაკლი ღლონტის ბიოგრაფიული მონაცემებიც (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 11, ფ. 36). ახლადდანიშნულ დირექტორს განათლება მიუღია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში. 1895 წლიდან 1902 წლამდე მუშაობდა დვანზე ერთკლასიანი სოფლის სასწავლებლის მასწავლებლად, რომელიც შემდეგ ორკლასიანად გადაუკეთებიათ და მეთვალყურედ დაუნიშნავეთ. ქორწინებაში იმყოფება ნადეჟდა ელიზბარის ასულ ლოლუასთან, რომლისგანაც შეეძინა ორი ქალიშვილი: ნინა, დაბადებული 1902 წელს და თამარი, დაბადებული 1904 წელს. აღმსარებლობით არიან მართლმადიდებლები (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 13; ფ. 68).

1906 წლის 1 დეკემბრიდან პუშკინის სასწავლებელთან მოეწყო სახელოსნო. მასწავლებლად ინიშნება **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი** (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 8; ფ. 25). ფონდში დაცულია საინტერესო მონაცემები ნ. ნ. გომანის ბიოგრაფიიდან, ირკვევა მისი წვლილი **სასკოლო მუზეუმის დაარსების** საქმეში. დოკუმენტის მიხედვით (ფორმულიარული ფურცელი) 1912 წლისათვის **ნ. გომანი არის ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებლის შრომის მასწავლებელი, რომელიც შეთავსებით ხელმძღვანელობს მუზეუმს**. ასაკი 46 წელი, მართლმადიდებელი, ჯილდოები არ აქვს. მიღებული აქვს საოჯახო განათლება. ხელსაქმე შეისწავლა ოდესასა და მოსკოვში, აგრეთვე სამხარეო ინსტრუქტორ შენეფთან. მუშაობა დაიწყო 1895 წელს.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ნ. გომანი 1909 წლის მარტში ინიშნება ექვსკლასიან საქალაქო დაწყებით სასწავლებელთან არსებული **მუზეუმის და მუზეუმთან არსებული სახელოსნოს ხელმძღვანელად**. მანამდე - 1906 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე - იგი იმყოფებოდა თადარიგში. 1888 წლის 5 მაისს იქორწინა რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის ქალბატონზე - **სევერინა კონსტანტინეს ასულ მერჟევესკიზე**. შეეძინათ შვილი ნიკოლაი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 13; ფ. 64).

საარქივო დოკუმენტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის შესახებაც. 1906 წლისათვის პუშკინის სასწავლებელში მუშაობენ შემდეგი მასწავლებლები: **ირაკლი ღლონტი, ელენა სტროევა, ზაზაროვი, მღვდელი თოთიბაძე**. საგულისხმოა ინფორმაცია აგრეთვე მათი ცენზის შესახებაც. დასახელებულ მასწავლებელთაგან წოდება აქვთ თოთიბაძესა და ზაზაროვს.

1907 წელს სასწავლებელი გადადის ვოზნესენსკის ქუჩაზე საკუთარ შენობაში. იქ ადრე ქალაქის საავადმყოფო იყო განთავსებული. როგორც ჩანს მოხდა მისი ლიკვიდაცია. ეს შენობა სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო ყოფილი ვენერეიული დისპანსერის მიმდებარე ტერიტორიაზე (ახლანდელ მედიქიშვილის ქუჩაზე) (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 5; ფ. 127).

ფონდში დაცულია მასალები კურსდამთავრებულთა **პედაგოგიური პრაქტიკის შესახებ**. მაგ. ქუთაისის გუბერნიის ინსპექტორი წერილობით მიმართავს

ირაკლი ღლონტს, რათა პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული **თემურ შერვაშიძე** წლის ბოლომდე აიყვანოს მსმენელ-პრაქტიკანტად პუშკინის სასწავლებელში. ინსპექტორი სასწავლებლის ხელმძღვანელს თხოვს თემურ შერვაშიძის დახასიათებას - თუ რამდენად შეეფერება იგი სოფლის მასწავლებლის თანამდებობას (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 5; ფ. 108)

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები ძაღლონეს არ იშურებდნენ დამხმარე ლიტერატურის, სწავლების ხარისხის ამაღლების, ტექნიკური საშუალებების გამოწერისა და შეძენის უზრუნველყოფის თვალსაზრისით (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 8; ფ. 44).

ფონდში ფართოდაა წარმოდგენილი სასწავლებლის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. მაგ. მოპატიუების წერილი „აპოლოს„ მეპატრონე ბროვალი-სხირტლადის (ხელნაწერი) საშობაო სპექტაკლზე „ტყის ბინადართა შობა„ საიდანაც ირკვევა თუ სასწავლებელი უზრუნველყოფდა მოსწავლეთა კოლექტიურ დასწრებას, საფასური განახევრდებოდა (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 14; ფ. 1), ასევე, მოსწავლეთათვის უფასო იქნებოდა არტისტ ა. პ. შუისკის მიერ ბუღვარში მოწყობილ ზეიმზე დასწრება (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 16; ფ. 15).

სასწავლებლის თანამშრომლებს, დირექციას და მოსწავლეებს ეპატიუებოდნენ აგრეთვე მარინის ქალთა სასწავლებელში მოწყობილ მოსწავლეთა ნახატების გამოფენაზე (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 14; ფ. 87), ებრაელთა სასწავლებლის პედსაჭოს მიერ ორგანიზებულ „მაკავეების„ დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 14; ფ. 118) და ა. შ.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, იმ დროისთვის საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული **მასწავლებელთა მივლინება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე** (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 13; ფ. 12, 13), ეწყობოდა ექსკურსიები, რომლებშიც მონაწილეობას ხელმძღვანელებიც იღებდნენ (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 13; ფ. 29)

სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა გამომცემლობებთან. გაზეთ **„ჩერნომორსკი ვესტნიკის„** მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის მიხედვით, პუშკინის სასწავლებელი თითქოს გაქურდეს. სტატიას წერილით პასუხობს ირ. ღლონტი, რომელიც უარყოფს გაქურდვის ფაქტს და რედაქტორს სთავაზობს ინფორმაციის გადამოწმებას. წერილის დასასრულს ი. ღლონტი რედაქტორს აწვდის საინტერესო ცნობას, რომელიც საკმაოდ ინფორმაციულია და საინტერესო დღევანდელი გადასახედიდანაც. წერილის მიხედვით, 1907 წლის მონაცემით **ბათუმში ყოფილა ოთხი დაწყებითი სასწავლებელი:**

1. პირველი ქალთა საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც განთავსებული იყო ქალაქის მმართველობის შენობაში;
2. მეორე ქალთა დაწყებითი სასწავლებელი, მდებარე ეობდ ავოზნესენსკის ქუჩაზე, ზია-ბეგ აბაშიძის სახლში;
3. მეორე ვაჟთა საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი, მდებარეობდა კომაროვის ქუჩაზე, ვინმე ხარაბაძის სახლში;
4. პუშკინის ვაჟთა დაწყებითი სასწავლებელი, მდებარეობდა ავოზნესენსკის ქუჩა N 31-ში, სადაც ადრე განთავსებული იყო ქალაქის საავადმყოფო (ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 9; ფ. 1).

როგორც ირკვევა, სასწავლებელი იღებდა შემოწირლობებსაც, სასწავლებლის ხელმძღვანელი ი. ლლონტი თხოვს კპლექტის, პედსაბჭოს სახელით მადლობა გადაუხადონ ვინმე ზოია დიმიტრის ასულ შაბლოვსკას, რომელსაც სასწავლებლისათვის გადუცია სახელმძღვანელოები და სასწავლო საშუალებები (ასსცსა, ფ. ი-30,საქ. 12; ფ. 135).

პუშკინის ვაჟთა საქალაქო დაწესებითი სასწავლებელი ფუნქციონირებდა 1921 წლამდე. ფონდში არ ინახება სასწავლებლის 1915-1918 წლების საქმიანობის ამსახველი ჩათვლით მასალები. შესაბამისად, საარქივო ფონდებში აღნიშნული სასწავლებლის შესახებ არსებული დოკუმენტაცია არაა სრულყოფილი, თუმცა წარმოდგენილი მონაცემებიც იძლევა შთამბეჭდავ ინფორმაციას პუშკინის ვაჟთა საქალაქო დაწესებითი სასწავლებლის მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 1; ფ. 2;
2. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 2; ფ. 1;
3. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 3; ფ. 15, 18;
4. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 4; ფ. 2;
5. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 5; ფ. 108, 127;
6. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 8; ფ. 2, 25, 44, 64;
7. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 9; ფ. 1;
8. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 11, ფ. 36;
9. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 12; ფ. 135;
10. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 13; ფ. 29, 64, 68;
11. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 14; ფ. 1, 87, 118;
12. ასსცსა, ფ. ი-30, საქ. 16; ფ. 15.

Mzia Surmanidze

Pushkin boys' school in Batumi

Summary

In repository of central archives of Ajara Archives Administration is reserved part of documents connected with Batumi Pushkin primary school (fund i - 30). These documents clearly explained the educational activities of the school. The article reviews materials about Batumi Pushkin primary institution.

პრეზიდენტის ველი და თებერვალი

არარეგალურად გაგრძელდა საქართველოში კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი, წინასწარმეტყველის გოდებასავით რომ მოედო თბილისს: "თოვლა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი"... თითქოსდა პირუთვნელად შეეგრძნო პოეტს სიტუაციის ის სიმძაფრე, პოლიტიკოსებიც რომ ვერ აღიქვამდნენ ჯეროვნად. 16 თებერვალს დაწყებულ რუსეთის ინტერვენციას 21-ში ძლივს რომ უწოდეს ნამდვილი სახელი: "ირკვევა რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინა". აცხადებდა ნოე ჟორდანიას 21-ში. ამ დროს კი უკვე ნამდვილად გვიანი იყო, შულავერის საოკუპაციო მთავრობა უკვე ჩასახულიყო, მე-11 არმია თბილისს უახლოვდებოდა, აფხაზეთში რუსები დაქროდნენ, თურქებს ახალციხე დაეპყროთ და 23-ე დივიზია მამისონს



ოკუპანტების შტაბი (მარცხნიდან მეორე სერგო ორჯონიკიძე)

მისდგომოდა თოვლა, ყინავდა, ბურუსი იდგა, მაგრამ რუსს რა გააჩერებდა თუ კი მცირედი შანსი მაინც იყო საქართველოს დაპყრობის? გთავაზობთ ნაწყვეტებს საქართველოს ოკუპაციის მონაწილე ორი ადამიანის მემუარებიდან. ერთი ასახავს რუსების თავდასხმას მამისონის მხრიდან მეორე კი აფხაზეთიდან, ადღერიდან დაწყებულ ოკუპაციას. :

“33 დივიზიის 98 მსროლელი ბრიგადის 292-ე

პოლკის მეთაურის ივანე ნიკიტას ძე ზოლოტოვის მოგონებები:

“... 1921 წლის თებერვალი... ქარაშოტიანი, თოვლიანი, ყინულიანი თებერვალი.

წითელი არმია შეუკავებლად იჭრება წინ, აცამტვერებს რა ყველაფერს გზაზე, მტკიცედ ამაგრებს ოქტომბრის მონაპოვარს.

აჯანყებულებს უჭირდათ, საქართველოს მენშევიკური მთავრობა უკეთეს პირობებში იყო.

წითელ არმიის ერთ-ერთი პოლკი, რომელმაც პირველმა მიაშურა აჯანყებულებს დასახმარებლად იყო 292 წითელი პოლკი, რომელსაც მეგმეთაურობდა.

თერგის წითელი არმიის 98 მსროლელი ბრიგადის 292 პოლკს, ბრძანებით, წილად ხვდა ურთულესი სამხედრო ამოცანა: გადაეღახა მამისონის უღელტეხილი თებერვლის თვეში, ქარიშხლის, ზვავისა და ყინვის პერიოდში.

ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ დიდი ხანია შესწავლილი და დამტკიცებულია, რომ მამისონის უღელტეხილი ამ პერიოდში გადაუღახავია.

ჩვენთვის მაშინ, ადგილობრივთა მთელი გამოცდილება, მთელი მათი მტკიცება არაფერს არ წარმოადგენდა. ტვინის ცენტრში ჩვენ გვექონდა საომარი ბრძანება: დაუყოვნებლივ გაგვეწვდინა ხელი აჯანყებულ ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის.

1921 წლის 19 თებერვალს, 98-ე ბრიგადა ამ სამხედრო დავალების შესასრულებლად დაიძრა მინერალური წყლებისკენ.

მაშ, ასე ჩვენ მივდივართ.

20 თებერვალი. პოლკი უკვე სადგურ დარიკოხთანაა.

22-24 თებერვალი. პოლკი უკვე სადგურ ალაგირსკისთანაა.

25 თებერვალი. პოლკმა უკვე მიაღწია სოფელ ტიბისს, საიდანაც იწყება მზადება მამისონის უღელტეხილის გადასალახავად...

27 თებერვალს 3 საათზე პოლკმა გაიარა ლიპი, კამანჩხუ მამისონის მიმართულებით.

ამინდი იყო თოვლიანი.

ჩვენ გავიარეთ ვიწრო ხეობა მდინარე არდონის მიმართულებით, ჩრდილოეთ ოსეთის სოფლებსა და ხუტორებში, მივადწიეთ წმინდა ნიკოლოზის ხუტორს. იქ დაგებანაკდით ღამის გასათევად, ღია ცის ქვეშ. შენობები არ იყო, ხოლო კარვები არ გვექონდა. 400 –იან ყინულზე ჩაით ვთბებოდით. ასე მივადწიეთ ტიბისს.

სამი დღე ვებრძოდით თოვლსა და ზვავს, ვწმენდით გზას და ასე მივიწვედით.

განსაკუთრებით ძნელი იყო ბუნებრივი მთების გარჩევა, თოვლისგან შექმნილი მთებისგან. თუ შეგეშლებოდა, დროებითი მთა ჩაინგრეოდა და ჩავიტანდა უფრსკულში.

27 თებერვალს ჩვენ მივადწიეთ საშიშ გოლიათს მამისონის უღელტეხილს, ოსეთისა და საქართველოს საზღვარს. ქარბუქი არ წყდებოდა.

პოლკს დაღუპვა ემუქრებოდა. გამოსავალი ერთი იყო: ან დაღუპვა აქ, ქედის მწვერვალზე ან, დაშვება ქვემოთ, უფრსკულსა და წკვარამში.

და მაშინ მე გადავწყვიტე: თავქვე დაშვება სიბნელეში და უფრსკულში. დასახულ მიზანთან როგორღაც ახლოს ვიქნებოდი მაინც. საკითხი გადაწყვეტილია- ბრძანება გაცემული: ავიდეთ შაშხანები, გადავაჯდეთ და დავეშვათ ქვემოთ. პირველად შაშხანა მე ავიდე. ჩემმა მაგალითმა იმოქმედა მეომრებზე და კომშემადგენლობაზე. და აი შაშხანებზე გადამჯდარი პოლკი მიექანება ქვემოთ: წკვარამსა და უფრსკულში."

"შაშხანებზე გადამჯდარი რუსი ჯარისკაცები"- ცოცხებზე შემოსუპებული ზღაპრული ბაბაიაგებივით, კავკასიონის მწვერვალებიდან და უღელტეხილებიდან საქართველოსკენ ყუმბარებივით გამოტყორცნილნი- მართლაცდა ზუსტი სახე იმპერიის მისწრაფებისა, რაღაც არ უნდა დაუჯდეს დაიპყროს საქართველო.



ქართველი ოფიცრობა

ამ მემუარებიდან ირკვევა რომ ჰქონდა რაღაც გამართლება კვენეტაძის გეგმას რომელიც ფიქრობდა რომ თუ თბილისს არ დატოვებდნენ ალყაში მოექცეოდნენ, თუმცა მეორე მხრივ, ეტყობა ვებერთელა იმპერიის ყოფილმა გენერალმა ვერ გაითვალისწინა მაშტაბები: თუ როგორ იმოქმედებდა ქართველ მეზობლებზე თბილისის დაკარგვა, რომ ეს არ იქნებოდა ქართველებისთვის მხოლოდ ჯარის დისლოკაციის ადგილის შეცვლა, თუმცა ალბათ ამ გადასახედიდან ადვილია იმის კიჟინი რატომ ვერ შეინარჩუნე თბილისი როცა რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო ერთდროულად გვეზრძოდა და მთელი მსოფლიოს დიპლომატიასა და ხელისუფლებას დე-ფაქტოცა და დე-იურეც საქართველო დათმობილი ჰქონდათ საბჭოთა ტირანიისთვის.

რაც შეეხება მეორე მოგონებებს ის ეკუთვნის პოლკოვნიკ ლევ ფიოდორის ძე დემინს. მემუარები დათარიღებულია 1966 წლით და ეწოდება

“1921 წლის ომი საქართველოსთან.”:

“1921 წლის ოქტომბერში 31-ე მსროლელი დივიზიის, 271-ე მსროლელი პოლკი განთავსებული იყო ადღერში, შავი ზღვის სიახლოვეს. სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო... მაგრამ ჩვენ მზადყოფნაში უნდა ვყოფილიყავით: აქვე იყო საზღვარი საქართველოსთან - რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები და მათი მხარდამჭერი ინტერვენტები საფრანგეთიდან და ინგლისიდან. შესაძლებელია ყოველნაირი მოულოდნელობანი... მე და ჩემი მეგობრები ვიყავით ახალგაზრდები, ჩვენ არ გვაღელვებდა სიძნელებები, შიმშილობა, ცუდი აღჭურვილობა...”

ულუფა მაშინ იყო ძალიან “თხელი” : დღეში ფუნტი პური, ცოტა ხორბალი ან ოსპი, იშვიათად ხორცი, უფრო იშვიათად შაქარი და წიკო. ჩვენ არასოდეს არ ვბოძებოდით. გვეცვა საზაფხულო ფორმა, შინელის ნაცვლად ზოგს ჯუბა, ზოგს შინელის მაულის ქურთუკი.

ჩემები კი მიუღწევველ ოცნებას წარმოადგენდა.

იანვრის დასაწყისში, ჩვენი პოლკის მესამე ბატალიონი ადღერიდან სოფელ ველიამინოვკაში გადაიყვანეს, მდინარე ძიბადან აღმოსავლეთით, 30 კილომეტრში, რომელიც წარმოადგენდა საქართველოსთან საზღვარს. ასე გაიარა კიდევ ერთმა თვემ. და აი 12 თებერვალს, ყველა წითელარმიელს მიეცა ბრძანება დაბრუნებოდა მწყობრს... 13 თებერვალს ველიამინოვკაში მთელმა პოლკმა მოიყარა თავი. ჩვენ გვეუბნებოდნენ რომ საქართველოში მდგომარეობა არ იყო მშვიდი, თუმცა თუ რა ხდებოდა იქ არავინ იცოდა.

ჩვენ ვიდევით საქართველოს საზღვართან რომლის ხელისუფლების სათავეშიც იდგნენ მენშევიკები ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ეს ნოე ჟორდანიას არის მუშების მტერი; რომ საქართველო თითქოსდა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არის სრული ფიქცია და რომ ქართველ ხალხს არ უნდა დამოუკიდებლობა და ჯიუტად მიიწევს მოძმე რუსი ხალხისკენ. თუმცა ჩვენს მთავრობას დიპლომატიური კავშირი ჰქონდა მასთან და ტიფლისში ჩვენ პოლიტიკურ წარმომადგენელი იყო კიროვი, რომ რუსი ხალხი ყოველთვის ეხმარებოდა ქართველ ხალხს.

მენშევიკი ჯალათებს ეხმარებოდნენ ინგლისელები და ფრანგები. ბათუმში ჩამოსხდა ფრანგული არმიის დესანტი (ნეტა ყოფილიყო! ფ.ქ.). ბათუმის, სოხუმის, ფოთის და გაგრის რეიდზე იდგა ფრანგული და ინგლისური ფლოტი. აჯანყებას მძიმე წუთები უდგა.

... ჩვენ ახლა გამოვალთ და წავალთ ქართულ მიწაზე. მტერი გაგვიწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ მას დავამსხვრევთ და გავანადგურებთ... მოგვიწოდებდა მეთაური...

სოფელი ველიამინოვკა მდინარის გასწვრივ მდებარეობდა და ამიტომ მისი გადალახვა გვიწევდა რათა საქართველოს ტერიტორიაზე შევსულიყავით. ამ ადგილზე საზღვარი საქართველოს მხრიდან თითქმის არ იყო დაცული. ქართული არმიის ძირითადი ძალები თავმოყრილი იყო პილენკოვოს რაიონში, რომელიც წარმოადგენდა ბეტონის ნაგებობებით გამაგრებულ კვანძს, ძლიერი არტილერიით. ამ მიმართულებით ადღერის მხრიდან შავი ზღვის შოსეს გაყოლებაზე უნდა ემოქმედა 272-ე და 273-ე მსროლელთა

პოლკს დამატებითი ნაწილებითურთ. მათ ამოცანას წარმოადგენდა გამაგრებული ხაზის გარღვევა პილენკოვოსთან და ჩქარი სვლა გაგრისკენ.

ჩვენი პოლკი მიემართებოდა მოწინააღმდეგის მთავარი ძალების შემოვლით გაგრის შესასვლელისკენ, დავალებით მოგვეჭრა მისთვის უკანდასახვევი გზა, სხვა პოლკებთან და დივიზიებთან ერთად გაგვენადგურებინა პილენკოვოს დაჯგუფება და შემდეგ ფორსირებული მარშით გვემოძრავა სოხუმისა და ფოთისკენ.

... ჩვენ დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი ათი შეიარაღებულ ადამიანი.. როგორღაც ჩვენთვის უცნობი სამხედრო ფორმით. ესენი იყვნენ ქართველი ჯარისკაცები. რას იზამ, ვერ იტყვი რომ ეს ჯარისკაცები ცუდად გამოიყურებოდნენ. განსხვავებით ჩვენი ჭრელი ტანსაცმლისაგან ქართველი ჯარისკაცების ფორმა ერთნაირი იყო: აქლემის ტყავის ქღალი ქურთუკები ბრწყინვალე ღილებითა და მიწისფერი სამხრეებით; ინგლისური მაუდის მიწისფერი შარვალი და ტოლალები, ყვითელი წაღები, ყვითელი ნაბდის მრგვალი კოკორდიანი ქუდი.

... და აი, ჩვენს წინ იშლება სანაპიროს პანორამა. ჩვენგან მცირედით მარჯვნივ მთებიდან ჩანს ქალაქი, გაჭიმული სანაპიროს ვიწრო ზოლში. ყველაფერი ხელისგულივით ჩანს: სახლები, სასახლეები, ქუჩები, გამზირები. შორს რეიდზე ორთქმავლები იბოლქვებიან. მათი შემხედვარე მიხვდები, რომ ესენი სამხედრო ხომალდებია. შავ ზღვაში ჩვენი ფლოტი არაა. ქართველებს ფლოტი არ ყავთ, ესე იგი ეს გემები ინტერვენტების- ინგლისელებისა და ფრანგებისაა. (კაცი სხვა ქვეყანას იპყრობს და ინტერვენტს სხვას უძახის?! არა მართლაც არაფერი შეცვლილა ასი წლის მანძილზე არც რუსეთის ხელისუფლების ცნობიერებაში და არც დანარჩენი მსოფლიოს მლიქვნელური ისტებლიშმენტისა... ფ.ქ.)

დასახლების ცენტრში ჩვენ დავინახეთ ავტომობილი, რომელთანაც იდგა რომელიღაც მეტაური, თასმაზე მიმაგრებული ჭოგრიტით. ხელი ასწია, დასავლეთისკენ გაიშვირა და იყვირა:

–ჩქარა, ჩქარა ბიჭებო! გონს მოსვლა არ აცალოთ! წინ სოხუმისკენ! ეს იყო ჩვენი დივიზიის მეტაური პასკევიჩი.”

ვერაფერს დაამატებ, მას შემდეგ მოდიან და მოდიან სოხუმისაკენ, ფოთისკენ, თბილისისკენ, “არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დაიწყნიათ”

მოკლედ ასი წლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა, ისევ ქართული ტანსაცმელი, აღჭურვილობა და პირობები უკვირთ რუსებს და ისევ ქართველ მებრძოლებს დასცინიან... თუმცა ეს სხვა თემაა. ახლა კი ისევ ძირითადს რომ დავუბრუნდეთ საოცრად სინქრონულად გვიტევა რუსეთი: 23 თებერვალს ყუბანის არმიამ ჩერნიშევის მეტაურობით აიღო გაგრა, ლიხნი და გუდაუთა, ამავედროულად მოადგნენ მამისონს 23-მე დივიზიის, 98-ე ბრიგადის ჯარისკაცები. 28-ში აიღეს ონი და გაგრა ისევ თავიდან. (არის ერთი საინტერესო ინფორმაცია; თითქოს ფრანგულმა გემმა დაუშინა ჭურვები გაგრას რითაც ისარგებლეს ქართველებმა და გაათავისუფლეს გაგრა, ამიტომაც დასჭირდათ რუსებს ხელახლა გაგრის აღება. თუ გავითვალისწინებთ მემუარებს ალბათ საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე.) 4 მარტს 31-ე მსროლელი ბრიგადის ნაწილებმა აიღეს სოხუმი და გამოაცხა-

დეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. 28 მარტს რუსეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ასე რომ მდევდევ-პუტინის მიერ აფხაზეთის აღიარება რუსეთისთვის არახალია, და თუ საქართველო არ დაუშვებს შეცდომებს ამ მეორე აღიარებასაც იგივე ბედი ეწევა რაც პირველს. იმავე წლის 16 დეკემბერს საინტერესო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ- შორის, რომლითაც აფხაზეთის სსრ შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით. საერთაშორისო გართულებების შეეშინდათ ოკუპანტებს და დაუბრუნეს აფხაზეთი საქართველოს, თუმცა მთელი საქართველო დაიპყრეს და ცალკე აფხაზეთზე არ უღირდათ ტვინის ჭყლეტა. მითუმეტეს რომ ორი თვით ადრე 13 ოქტომბერს უკვე ერთხელ გაძარცვეს საქართველო და ყარსის ხელშეკრულებით მთელი არდაგანი დაათმობინეს. როგორც რომაელები იტყოდნენ, თუ რომაელებს ეტყოდნენ დამპყრობლები : **“ვაი დამარცხებულს!”** ...

და რაოდენ საცნაურიც არ უნდა იყოს “დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,” კაცობრიობასაც დავიწყებოდა საქართველო თითქოს და ღმერთსაც.

**თონე//თანდური და კერა
არტაანის ეთნობრაჟიული მასალების მიხედვით**

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (FR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)

ოჯახისა და საოჯახო ცხოვრების წესებთან დაკავშირებულ მატერიალურ კულტურის ელემენტებს შორის განსაკუთრებულია კერა, როგორც საოჯახო ურთიერთობის ძირითადი მაკოორდინირებელი მრავალფუნქციური ცენტრი. კულტურის ამ ელემენტების შემონახულობით გამოირჩევა ისტორიული საქართველო, საკუთრივ არტაანის რეგიონი.

ლიტერატურაში გამოყოფენ კერის ორ ტიპს: ღია და დახურული კერა (ჩიქოვანი 1989:48). დახურული კერა წარმოდგენილია ძირითადად ბუხრის სახით, ხოლო ღია კერა სხვადასხვა ტიპისაა, კერძოდ: უშუალოდ მიწაზე გამართული ორი ცეცხლგამძლე ქვის ბლოკისაგან შედგენილი კერა (ყველაზე არქაული ფორმა); მრგვალი მოყვანილობის კერამიკული უძირო ჭურჭელი, რომელსაც ტანის შიგნით აქვს პატარა შვერილ-სადგარები (დასტურდება განათხარ მასალებში) და მინიატურული თონის ფორმის მრგვალი მოყვანილობის უძირო კერამიკული ჭურჭელი (გავრცელებულია თრიალეთში, ჯავახეთში, არტაანში) (ჩიქოვანი 1989:48), რომლის არსებობა შეპირობებულია საწვავი მასალის, წივის სპეციფიკურობით. მკვლევარი თ. ტუნაძე გამოყოფს აგრეთვე საქართველოში ფართოდ გავრცელებული მართკუთხა ფორმის ქვისა და ფუნქციურად მის შემცველ რკინის კერას (ტუნაძე, 2000:172).

თონისა თუ კერის მოწყობას არტაანელთა საცხოვრებელ კომპლექსში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. არტაანელთა თონე გამართულია მიწურიატაკიან, ერდოიან ოთხკუთხა ნაგებობაში. მედინე ოჯახის საკარმიდამო კომპლექსში ქვის მასალისაგან აშენებული თონე (სიგრძე 4 მეტრია, სიგანე სამი მეტრი, სიმაღლე 2 მეტრი) წარმოადგენს თავისებურ ჰოლს, რომლის ერთ-ერთ ყრუ კედელთან დაწყობილია თონის გასახურებლად საჭირო წივა.



თანდური მედინე ოჯაქის საკარმიდამო კომპლექსში

თონეებს ფართო გამოყენება აქვს საქართველოშიც. გვიანფეოდალურ ხანამდე ჯავახეთში პურის საცხოვრებლად თონეს იყენებდნენ, რომელიც თანდათანობით შეიცვალა ფურნით. ამჟამად მას ქართულ მოსახლეობაში დომინირებული მდგომარეობა უკავია.

არტანში თანდურის გადახურვაც იმავე კონსტრუქციისაა, როგორც საცხოვრებელი ნაგებობებისა.



გადახურვის კონსტრუქცია

შენობის ცენტრალურ ნაწილში მოწყობილია თონე//თანდური. მისი სიღრმე დაახლოებით 1,5 მ-ია, დიამეტრი-1 მეტრი. თონის მასალად გამოყენებულია

ადგილობრივი წითელი მიწა. თონისათვის საჭირო სხვა მასალა შეაქვთ სხვა რეგიონებიდან.



თონე

თანდურის გასახურებლად ოთხკუთხედად დაწყობილ საქონლის წივას ფსკერზე დააწყობენ, გარდიგარდმო და თონის ძირში მიერთებული საბერავით (ჩაბერავით) ცეცხლს ანთებენ.




საბერავი

თონის გახურებულ კედელზე პურის ცომის მისაკვრელად გამოიყენება რაფატა, ბამბისა და ხის დამტვრეული ტოტებით ამოვსებული ჯინსის ნაჭერით შეკერილი გრძელი, ბალიშისმაგვარი საგანი. რაფატის საშუალებით თონის კედლებზე ამოაკრავენ პურის ცომის გათხელებულ ფენას და თონეს სახურავს დაახურავენ. პურის გამოცხობას სულ რამოდენიმე წუთი სჭირდება.



რაფატა



პურის საცხობი სოფელ ქაიიალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრისში (ნახ. ჯ. მიქელაძისა)


არტანის სოფლებში დღემდეა შემორჩენილი ერთმანეთისაგან განსხვავებული კერის ტიპები. კერისა თუ თონის ტიპები დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე. ზოგადად, იმ რეგიონებში, სადაც საწვავად წივა გამოიყენება, უფრო მეტად ღია ტიპის თონებია გავრცელებული (ასეთ შემთხვევაში წივის არასასიამოვნო სუნი გარეთ გამოდის), ხოლო იმ რეგიონებში, სადაც შეშაა გამოიყენებული საწვავად, ვხვდებით დახურული ტიპის თონებს. თონები ფართოდაა გავრცელებული ჩილდირის რაიონშიც.

ზოგადად, კერა საცხოვრებელი ოჯახის ცენტრში იყო მოწყობილი, რომელმაც თანდათანობით კედლისაკენ გადაინაცვლა. მოგვიანებით მან ბუხრის სახე მიიღო (ჩიქოვანი 1982:63). თონები არ გამოიყენება ჰანაკის რაიონის ცალკეულ სოფლებში. იქ პურს ძირითადად ბუხარში აცხობენ.



სოფელი ბინბაშაქი, ბუხარი

პურის გამოსაცხობად აქაურები რკინის სამფეხის//საჯიადის ქვეშ დაანთებენ ცეცხლს. ზემოდან დაადებენ ე.წ. საჯს - ნახევარსფეროსებრი ფორმის თუნუქის ამობურცულ მრგვალ ნაჭერს, რომელზეც წაუსვამენ ზეთს და დააკრავენ პურს. ხუთიოდე წუთში პური მზადაა.




საჯიადზე გამომცხვარი პური

იგი ბევრად უფრო სქელი და მოცულობით პატარაა, ვიდრე თონეში გამომცხვარი პური. ნიშანდობლივია, რომ პურის ცხობის მსგავსი წესები გამოყენებული იყო მთიან აჭარაშიც.

არტაანის ცალკეულ სოფლებში გავრცელებულია ფურნები//ფურუნები, რომლებიც ძირითადად ბუხრებშია დატანებული.

ზოგადად ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველოში გვიანფეოდალურ ხანამდე პურის საცხობად თონე გამოიყენებოდა. შემდგომში იგი თანდათანობით შეიცვალა ფურნით. პურის გამომცხობის რაოდენობა დამოკიდებული იყო ოჯახის წევრთა რაოდენობაზე.



ბუხარი და ფურუნი კოდისწყაროში

არტანის პროვინციაში, საკუთრივ ფოცხოვში გვხვდება მარტივი კონსტრუქციის კერაც:



კერა (შუარტყალი, ფოცხოვი)

თავისი კონსტრუქციული აგებულებით, პრაქტიკული დანიშნულებით, სპეციფიკურობით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავშეთში, კერძოდ იმერხევის სოფელ ჩაქველთაში დაფიქსირებული ჰორიზონტალური ორთვადიანი ღია კერის ტიპი კვამლის გასასვლელი მილით, რომლის მსგავსი არ შეგვხვედრია არც შავშეთის სხვა დასახლებულ პუნქტში და არც არტანში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შავშური კერის წარმოდგენა.



კერა (ჩაქველთა, შავშეთი)

იგი განთავსებულია საცხოვრებელი სახლის ეზოში. თავისი ფორმით კერის ზედაპირი მრგვალი მოყვანილობისაა. მისი დიამეტრი 62 სმ, სიღრმე კი 38 სმ-ია. კერა აგებულია ცეცხლგამძლე მკვრივი სახეობის კირქვით. ზედაპირი მრგვალადაა შემოლესილი ცეცხლგამძლე თიხით. შემოლესილობის სიგანე 10-15 სმ-ია. ქვების პარალელურ წყობას შორის მანძილი 52 სმ-ია. სწორკუთხა უჯრედი 35-37 სმ. ზომისაა. ყორეთი შემოსაზღვრულ ფართობსა და სწორკუთხა უჯრედებს შორის ტიხარი 12 სმ-ია. კერა ორთვალაა. იგი წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და სიდიდის ორი სადგამით და გათვალისწინებულია განსხვავებული სიდიდის ჭურჭლების დასადგმელად. კერის გვერდითი კიდეები შემოლესილობისაგან წინ არის გამოწეული, რითაც შექმნილია ჭურჭლის სადგამისათვის განკუთვნილი ზედაპირი.



ორთვალა კერა



(ჩაქველთა, შავშეთი)

აღნიშნული კერა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ორი ქვის ბლოკით შედგენილი მარტივი კერისაგან განსხვავდება როგორც ფუნქციონალური დანიშნულებით, ისე აგებულებით. იგი საკმაოდ რთული კონსტრუქციისაა. მსგავსი კერა ჩვენ ვერ დავადასტურეთ საკუთრივ შავშეთის სხვა სოფლებშიც კი. ასეთი კონსტრუქციის კერა ფართოდ გამოიყენება ისეთ რეგიონებში, სადაც სიმბიოზურადაა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. იგი არაა გათვალისწინებული ყოველდღიური სამზარეულო საქმიანობისათვის.



ღია კერა (შავშეთი)

იმერხევის ზემოთ დასახლებულ სოფლებში ორთავალა კერა ეზოში, საოჯახო მეურნეობის მეტად მარტივი, ყავრით დახარული ნახევრად ღია ნაგებობის სახითაა წარმოდენილი, რომელიც შემოდგომაზე სამზადის ფუნქციასაც ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ რკინის ღუმელებმა ზოგადად შეასუსტა როგორც ღია, ისე დახურული კერების მნიშვნელობა, შავშეთსა და არტაანში ცალკეული შემთხვევების გარდა იგი კვლავაც ინარჩუნებს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. საველე მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ სოფლები პრაქტიკულად იცლებოდა მოსახლეობისაგან. მასობრივი ხასიათი მიიღო მიგრაციულმა პროცესებმა. ჩვენებურები მკვიდრდებიან დიდ ქალაქებში, მაგრამ ცდილობენ შეინარჩუნონ პირველსაცხოვრისთან კავშირი. ამიტომაც ზაფხულობით ადიან სოფლებში და მამაპაპისეული ტრადიციებით აგრძელებენ ცხოვრებას. საპენსიო ასაკის ადამიანები სოფლებში რჩებიან ზამთრობითაც. ისტორიული საქართველოს ამ ნაწილში ტექნიკური სიახლეები ძნელად იკაფავს გზას, რაც სოფლის ცხოვრების ნოსტალგიით, ძირძველი ყოფითი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას.

კონსტრუქციული თავისებურებებითა და ლოკალური სპეციფიკით გამოირჩევა დახურული კერებიც. ერთ-ერთი ასეთი კერაა სოფელ ბრილში. იგი საცხოვრებელი სახლის სამხრეთის კედლის გარეთ, გზის მხარეზე ქვით ამოშენებულ ყორეშია ჩატანებული. პრაქტიკულად იგი არის ბუხარი, რომლის გარე კედლის თაღი არის ოვალური ხე. კვამლის გასასვლელი ერთიანი სახურავის ქვეშაა მოქცეული. სახლსა და ბუხრის კედელს შორის მანძილი (რომელიც ასრულებს ეზოს ფუნქციასაც) 2-2,5 მეტრია.



დახურული კერა (სოფელი ბრილი, შავშეთი)

იქვეა მოწყობილი საშეშე და წისქვილი.



წისქვილი (ბრილი, შავშეთი)

ბუხარი, როგორც ყოფის უცხოეთნიკური ელემენტი ღია კერასთან შედარებით მატერიალური კულტურის უფრო მაღალი საფეხურია, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ღია კერის ამოგდება ტრადიციული ყოფიდან. ღია კერა კაცობრიობის ისტორიაში იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც რიტუალური თვალსაზრისით უფრო ფართე სივრცესა და განზომილებას ქმნის, ვიდრე ბუხარი. კერის დახურული ტიპი – ბუხარი თავისთავად მიგვანიშნებს იმ გარკვეულ შეზღუდვებზე, რომელიც მას გააჩნია ღია კერასთან შედარებით (ტუნაძე, 1996:94).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტუნაძე თ. -სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ღია კარები, მესხეთი ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე, 2000
2. ტუნაძე თ.-დახურული კერის კონსტრუქცია და კერასთან დაკავშირებული სამშენებლო ტრადიციები მარეთის ხეობაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი 1996
3. ჩიქოვანი თ.- თრიალეთი, თბილისი, 1976
4. ჩიქოვანი თ. -ეთნო-არქეოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1989

*Tamaz Phutkaradze
Ketevan Phutkaradze*

***Bakery (Tone) and hearth
According to the Ardahan ethnographic materials***

Summary

Between material cultural elements in family and household life, the most remarkable is hearth, as the major co-ordinating multifunctional center in family relations. The article discusses ardahan hearth and the related issues.

გვარიშვილი და დაღუპულიანი

გვარების წარმომავლობას ცარიზმის მმართველობის და კომუნისტური წყობილების დროს არ ექცეოდა ღირსეული ყურადღება, რადგანაც იგი არ პასუხობდა ხელისუფლების ინტერესებს.

გვარების წარმომავლობა, როგორც ერის ისტორიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, აქტიური მსჯელობის საგნად ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივიქცევ ერთ ძველ გვარზე, **გვარიშვილზე**, რომლის ეტიმოლოგიას და ისტორიას რამდენიმე ავტორის ნაშრომი მიეძღვნა (სტეფანე ქემსაძე, ილია მაისურაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ღლონტი, იოსებ ბექურიშვილი, ოსიკო გვარიშვილი, თემურ ამყოლაძე, რამაზ სურმანიძე და სხვ.).

„გვარ“ – ფუძის მქონე გვარები საქართველოში ბევრია: გვარიკიძე, გვარიძე, გვარიძიშვილი, გვარალია, გვარამაშვილი, გვარლიანი, გვარაშვილი, გვარიშვილი, გვარამიანი და სხვ. ქედის რაიონის სოფელ უჩხითში ცხოვრობენ და ოდითგანვე თავადებად ითვლებიან **გვარელასშვილი-გვარელოლი-ნაკაშიძეები**. გვარელასშვილი გვხვდება ტბეთის „სულთა მატიანე“-ს მე-14 საუკუნის ერთ-ერთ საბუთში, სადაც ნათქვამია: „სულსა გვარელასშვილისა გიორგისა და მისა მეუღლისა თინასა შეუნდვენ“ (ტბეთის სულთა მატიანე, 1977:34).

მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ გვარელასშვილი და გვარიშვილი ერთიდაიგივეა. **ზაქარია ჭიჭინაძე** ამ გვარის წარმომავლობას უკავშირებს მაჭახლის ხეობის სოფელ გვარას (ზაქარია ჭიჭინაძე 1913:188, 191, 195).

ამ მოსაზრებაში მართლაც არის ჭეშმარიტების კვალი. დასაწყისში გაჩნდა სადაურობის აღმნიშვნელი გვარელი (სოფელ გვარადან), ხოლო შემდეგ მას დაემატა ქართულისთვის ჩვეულებრივი ბოლოსართი – „შვილი“ და უნდა მიგველო გვარელიშვილი, თუმცა „სულთა მატიანეში“ გვარელასშვილია.

გარდა ამისა, ერთ სოფელს ქობულეთის რაიონშიც გვარა ჰქვია, მაგრამ ჯერჯერობით არავის უთქვამს, რომ ამ სოფლის სახელი გვარის ფუძეაო და მართლაც ასეა. ამგვარად, ჩვენი ვარაუდი განსხვავდება ცნობილი მწიგნობრის მოსაზრებებისგან. ჩვენი აზრით, გვარელასშვილი ნაწარმოებია საკუთარი სახელისგან – გვარელა, რომლის მსგავსი სახელებიც გვხვდება: გვარისა, გვარულა (ალექსანდრე ღლონტი, 1986:101, 206).

ამგვარად, გვარელასშვილი დამოუკიდებელი გვარია და არაფერი აქვს საერთო ზემოთდასახელებულ გვარ-ფუძის მქონე სხვა გვარებთან, მათ შორის გვარიშვილთან.

გვარელასშვილი მამაკაცის საკუთარი სახელის, თუ გეოგრაფიული სახელისგან წარმოიშვა, ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს საქმე გვაქვს გვარელასშვილთან თუ გვარიშვილთან.

ეს საკითხი საკმაოდ ღრმად შეისწავლა ცნობილმა ქართველმა მწერალმა და მრავალი ისტორიული ქრონიკის ავტორმა, **თემურ ამყოლაძემ**,

რომელმაც გააკეთა ლაკონური დასკვნა: „გვარელისშვილი და გვარიშვილი ერთი და იგივე გვარი არ უნდა იყოს... გვარიშვილი სრულიად დამოუკიდებლად გაჩენილი გვარი ჩანს (თემურ ამყოლაძე, 2015:100, 103).

ჩვენც ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ საიდან წარმოიშვა „გვარიშვილი?“ ეს ისტორია ძალზე საინტერესო, მე ვიტყვოდი რომანტიკულია. პირველად ამ თემას საუბურის წინ შეეხო მეფის რუსეთის დროს ზემო აჭარაში მწერლად ნამყოფი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **სტეფანე ქემხაძე** (1881-1966). მან 1918 წელს ვრცლად ჩაიწერა 80 წლის მოხუცის ნაამბობი და მას „საუბარი უცნობთან“ უწოდა. ამ „საუბრის“ ხელნაწერი ს. ქემხაძეს ცნობილი სამეურნეო მოღვაწის ალექსანდრე გვარიშვილისთვის გადაუცია, შემდეგ შემოკლებით დაიბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ (ლიტერატურული აჭარა, № 2. 1966).

ხოლო მისი სრული ვარიანტი ინახებოდა მწერლის და მთარგმნელის **ოსიკო გვარიშვილის** ოჯახში. მათი შედარებით გაირკვა, რომ ჟურნალში, შემოკლების გარდა, ზოგი პრინციპული საკითხები გამოტოვებულია (აღბათ კომუნისტური კონიუნქტურის გამო), ხოლო ზოგი რამ თვითნებურად დამატებულია.

2002 წელს ოსიკო გვარიშვილმა სტეფანე ქემხაძის „საუბარი უცნობთან“ მთლიანად, შესწორება-შემოკლების გარეშე გამოაქვეყნა გაზეთ „გვარიშვილობა“-ში („გვარიშვილობა“, № 1 (9) 2002 წ.).

წერილი ძალზე ვრცელია (გაზეთის ორნახევარი გვერდი უკავია), მასში მოტანილია მრავალი ისტორიული ამბავი და იგი შესაძლოა მივაკუთვნოთ საკმაოდ საინტერესო პროზაულ ქრონიკას, თუმცა ჩვენ ამ „საუბრიდან“ მკითხველს ძალზე მოკლედ მივაწვდით იმ ადგილებს, რომლებიც „გვარიშვილის“ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ქობულეთში მუშაობის დროს 1918 წელს სტეფანე ქემხაძეს კანცელარიაში ესტუმრა, ქართულ ჩაქვურაში მდიდრულად ჩაცმული, 80 წლის მოხუცი, რომელსაც მკერდზე მრავალი ჯილდო მოუჩანდა. იგი ძველი ლამაზი ქართულით მეტყველებდა. დასაწყისში მან მასპინძელს თხოვა ძველი ისტორიული წიგნები ეთხოვებინა. ისაუბრეს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზეც და შეთანხმდნენ, რომ სტეფანე წიგნებს შეუგროვებდა, ხოლო მოხუცი ერთი კვირის შემდეგ კვლავ ესტუმრებოდა წიგნების წასაღებად, თან თავის ვინაობაზეც მოუთხრობდა.

დათქმულ დროს იგი მართლაც მივიდა. სტეფანემ სახლში მიიწვია და გახანგრძლივებული სადილობის დროს სტუმარმა თავისი თავგადასავალიც უამბო. საუბრის მოკლე შინაარსი ასეთია:

მამაჩემიდან გამიგონია, რომ წარმოშობით სვანეთიდან ვყოფილვართ, გვარად **დადეშქელიანები**. ჩემი წინაპარი მეტად მკაცრი ყოფილა და გლეხებს მოუკლავთ ისიც და მისი ერთგული პირებიც. ორი ვაჟიშვილი 19 და 17 წლისანები გადარჩენილან და ქუთაისში ჩამოსულან. მდეურის მოლოდინში აქედანაც აყრილან, უფროსი კახეთისკენ, მეორე აჭარისკენ გაქეცულა. ჩემს ბაბუას, მაშინ 17 წლის ყმაწვილს, ტყე-ტყე უვლია, დიდი გაჭირვებით ჩაქვში ჩაუღწევია და იქ ხალვაშის ოჯახში უშოვნია საიმედო თავშესაფარი. მასპინძელს ვინაობა გამოუკითხავს, მაგრამ ჭაბუკს ნამდვილი გვარი დაუმაღლავს და „გვარიშვილი“, ე. ი. მაღალი წოდების, კარგი გვარის შვილი ვარო, უთქვამს.

ხალაში 2-3 წლით ცხოვრების შემდეგ სტუმარი თავისი ზრდილობით, აღზრდით, სიტყვა-პასუხით და სიბეჯითით იმდენად მოეწონათ, რომ ხალვაშია ერთად-ერთი ქალიშვილი ნათელა (ი. ბექირიშვილის ვერსია) მას მიათხოვა. ახალგაზრდას ვაჟკაცობით და სიმამაცითაც გამოუჩენია თავი და საბოლოოდ ჩაქვში დამკვიდრებულა. თუმცა მისი ნამდვილი გვარი კვლავ საიდუმლოდ დარჩენილა და იგი მისივე შეთხზულ „გვარიშვილს“ ატარებდა (ი. ბექირიშვილის აზრით სახელად იუსუფი ერქვა). ჩაქვში ისინი საკმაოდ გამრავლებულან.

ამ ჭაბუკის, სტეფანეს სტუმრის ბაბუას შვილი და ჩვენი მოსაუბრის მამა ერთ დიდ ვაჭარს მოსწონებია და სტამბოლში წაუყვანია. აქ მას 40 წლისას საკუთარი სავაჭრო მოუწვია და ამ საქმით სახელიც გაუქტვამს. მას **გურჯ სულეიმან გვარიოღლის** ეძახდნენო, დიახ, გვარიოღლის და არა გვარელოღლის. თხუთმეტი წლის შემდეგ სულეიმანს ცოლ-შვილიც წაუყვანია სტამბოლს. ცოლი ბათუმელი **აბაშიძის** ქალი ყოფილა, კეთილი, მწიგნობარი, ქმარ-შვილთან მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე. შვილს, ე. ი. ჩვენს მთხრობელს საფრანგეთის სამხედრო აკადემიაში მიუღია განათლება, 60 წელი ოსმალეთის არმიაში უმსახურია, რასაც ს. ქემხაძესთან მორიდებით ყვებოდა და გენერლის ჩინით პენსიაზე გასულა: „... ვინ მოსოვლის რამდენი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ცხოვრება დამთავრებულა უნდობლობით. უნდობლობის უჩინარი ატმოსფერო კი ისე მოხერხებულად იყო გახვეული ჯილდოებსა და გარეგანი პატივისცემის სამოსელში, რომ ასე ადვილად მისი შემჩნევა, ცხადია, არავის შეეძლო“ – უთქვამს სტუმარს სტეფანესთვის და აშკარა იყო, რომ ქართველ მოღვაწეებში სტუმარი გულისხმობდა თავის თავსაც, მრავალი ჯილდოს, სიგელის და სამხედრო წოდების მფლობელს; საუბარში იგრძნობოდა აგრეთვე სინანული უცხო ქვეყნის სამსახურში ყოფნის გამო.

სტეფანე ქემხაძისთვის სხვა ბევრი საინტერესო ამბებიც მოუყოლია მოხუცს, მაგრამ მე მხოლოდ ერთს შევეხები. ერთ-ერთი ბრძოლის დროს სამი სპარსელი გენერალი ოსმალებს ტყვედ ჩაუგდიათ. ერთ-ერთი მათგანი ჩვენს სტუმარს ძალზე მოსწონებია და ფარულად სახლში მიუწვევია. საუბრის დროს ტყვე გენერალს, რომელიც თავისი პრინციპულობითაც გამოირჩეოდა, მისთვის უთქვამს: „თქვენთან ტყვეობას და საძრახ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო“: სტეფანე წერს: „მე მომაგონდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ და ვკითხე, საიდან იცით ეს აფორიზმი-მეთქი... ჩემმა დედამ მასწავლაო... კი, მაგრამ თქვენ რა ეროვნებას ეკუთვნით-მეთქი, მან მიპასუხა: მე ირანელი ვარ, ტომით ფერეიდნელი ქართველი ფეიზულა, გვარად დავითაშვილი.“ ამის შემდეგ მასპინძელს ქართული საუბარი გაუბამს და თავისი ვინაობის საიდუმლოც პირველად მისთვის გაუმხელა: „დადეშქელიანი გახლავარო.“ შემდეგ მათი მახლობლობა გაგრძელებულა, ერთხელ დავითაშვილს დადეშქელიანი ბრძოლაშიც გადაურჩენია. დამოყვრებულან კიდევ: „მისი ქალიშვილი ლეილა ჩემი ნანატრი რძალიაო“, უთქვამს მასპინძლისთვის დადეშქელიანს.

საუბრის დროს სტეფანე უქებდა სტუმარს გულახდილობას, რომელმაც მასზე ძალზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მას მასპინძლის შექების ნაკლებად სჯეროდა: – მე ხომ თურქეთის გენერალი ვარო – უთქვამს დადეშქელიანს.

– თქვენ თურქეთის გენერალი ხართ და არა თურქი გენერალი.
– კი, მაგრამ მე ხომ მუსლიმანი ვარ და რჯული მაერთიანებს თურქეთთან.

– მართლია, რჯული თურქეთთან გაერთიანებს, ეროვნული წარმოშობა, ეროვნული სული კი ქართველობასთან.

– სწორი ბრძანდებით. ეროვნება ყველა ჩვეულებაზე მაღლა დგას და მაშასადამე ერის ძახილი უფრო ძლიერია რჯულის ძახილზე, თუმცა ამას ზოგჯერ გამონაკლისიც აქვს.

ასეთი მამულიშვილური გრძნობებით დამთავრებულა სტეფანე ქემხაძის და მისი იღუმალი სტუმრის დადემქელიანის გულახდილი საუბარი. პირობა დაუდვიათ კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე აჭარაში ოკუპანტები შემოსულან და ეს პირობა აღარ ასრულებულა. თვით სტეფანეს კი მეხსიერებაში ჩარჩა სვანეთის დიდი მთავრის დადემქელიანის შთამომავლის სახე, რომლის სახელიც კი არ იცოდა. სტეფანე ბრძენი კაცი იყო, მაგრამ ნაცნობ გვარიშვილებში ამ ამბების დახუსტება არ უცდია, რადგანაც საბჭოთა წყობილების დროს დიდგვაროვანთა შესახებ ისტორიის ჩხრეკა სახიფათო იყო. „უცნობი სტუმარი“ მან დაწერა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, როცა რეჟიმი ერთგვარად შერბილებული იყო.

მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს პატარა ისტორია მართლაც საინტერესოა, თუმცა ყველას გვეუფლება საიდუმლოს ბოლომდე გარკვევის უკმარისობის გრძნობა. მეც ეს თემა ვერ მივატოვე და გადავწყვიტე მეგობარი გვარიშვილების მეშვეობით ამ მიმზიდველ ამბებს ბოლომდე გავყოლოდი. ვეწვიე მათ, მაგრამ ყველა მათგანი იმეორებდა იმას, რაც ჩემს წერილში ზემოთ არის მოთხრობილი. ერთად-ერთი, რაც მათგან დამატებით მოვისმინე, ეს იყო ერთ-ერთი ჩაქველის სახელი პაატა, თუმცა ის იყო გვარელას-შვილი და არა გვარიშვილი. მით უმეტეს, რომ ეს პიროვნება იხსენიება მე-17 საუკუნის დოკუმენტებში, ხოლო ჩვენთვის საინტერესო სვანეთიდან ლტოლვილი პიროვნება, ვინც ხალაში პირველად ჩამოვიდა (1838 წელს დაბადებული, 80 წლის მოხრობელის ბაბუა), დამკვიდრებული ტრადიციული წესით თუ ვიმსჯელებთ, დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1778 წელს, ამიტომ გვარელას-შვილს ამ საქმესთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს და უბრალო შემთხვევითობას მიეწერება. სახელი პაატა კი ადვილად შეიძლება ბოდა გვარიშვილთა წინაპარსაც რქმეოდა.

ჩემთვის და ყველა ჩემი წინამორბედი ავტორებისთვის უცნობი იყო თვით დადემქელიანების აზრი (არც არავის უცდია მისი მოსმენა), რომლებიც საბედნიეროდ ახლაც მრავლად ცხოვრობენ სვანეთში. მათ გვარში დარჩენილ ხსოვნას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შევარჩიე გვარიშვილთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, ენერგიული და თავისი გვარის დიდი პატივისმცემელი, ჩოხოსანი, **გიორგი გვარიშვილი**, რომელსაც ვთხოვე გამგზავრებულიყო სვანეთში.

და, აი გასული წლის ივლისში მან ბენოდან (ერთ დროს ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი იყო) ჩამომიტანა ორი საბუთი, რომელიც შეუდგენია **გელა შაქროს (ბექირბის) ძე დადემქელიანს** და რომელსაც ხელს აწერს 11 დადემქელიანი, მათ შორის სამი უხუცესი: **ოთარ (კონსტანტინე), თენგიზ**

და თემური, აგრეთვე გელა, ამირან, ოთარ, ჯანსუღ, თენგიზ, ალექსანდრე, ლევან და ზურაბ დადემქელიანები,

ამ საბუთებში ვკითხულობთ: „ვადასტურებთ, რომ გვარად გვარიშვილები ნამდვილად ჩვენი სისხლით ნათესავეები და იგივე დადემქელიანები არიან. მათ უფლება აქვთ სურვილის შემთხვევაში ატარონ, როგორც გვარიშვილის, ისევე დადემქელიანის გვარი.

გვარიშვილები, იგივე დადემქელიანები ცხოვრობენ: ჩაქვში, ხალაში, ბათუმში, ქედაში, ქობულეთსა და თბილისში.“

მეორე საბუთში გელა ბეჭირბის ძე დადემქელიანი კიდევ უფრო აზუსტებს ამ მოსაზრებას და ამბობს: „ჩვენ დადემქელიანების გვარის წარმომადგენლებს წაგვიკითხავს და გვსმენია უხუცესებისგან, რომ გვარიშვილების წარმომავლობა მოდის დადემქელიანთა გვარისგან.. ვესწრებოდი გვარის უხუცეს კონსტანტინე დადემქელიანის საუბარს მის შვილთან ლევანთან, როცა მან თქვა, რომ აჭარაში ჩვენი სისხლით ნათესავეები, დადემქელიანთა შთამომავლები ცხოვრობენო, რომლებიც ახლა გვარიშვილის გვარით იწერებიანო. ეს გადმოცემით და დაბეჯებით ვიცი გვარის უხუცესის ბინაგვერ გელას ძე დადემქელიანის ნათქვამით, რომელსაც 2016 წელს შეუსრულდებოდა 100 წელი და რომელიც იყო „დიდი“ და „კარგი“ „ხოჩა“-ს ოთარის (1730-1750 წწ სვანეთის მმართველი) შტამომავალი (წერილების დედანი ავტორთან ინახება).

ჩაქვსა და ხალაში ჩემს მეგობარ ბეჟანიძეებთან, ფალავანდიშვილებთან, ლორთქიფანიძეებთან, გვარიშვილებთან და სხვა დიდგვაროვნებთან სტუმრობის დროს მაინტერესებდა ამ სოფლების ადგილთა სახელები (ტოპონიმები). ჩემს ყურადღებას ყოველთვის იქცევდა ხალაში მდებარე ტოპონიმი *სვანეური*, მაგრამ მაშინ ამისთვის სათანადო ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა გვარიშვილებთან საგანგებო საუბრის დროს გაირკვა, რომ *სვანეური მათი ტყვა, მას სხვა ვერ მიეკარება*. ჩემი ღრმა რწმენით ამ გეოგრაფიულ სახელსაც კავშირი აქვს ხალაში სვანების ცხოვრებასთან. თუ ამაში ვინმეს ეჭვი შეეპარება, ვთხოვ ამიხსნას, შუაგულ ზღვისპირა აჭარის სოფელში საიდან და როგორ გაჩნდა სვანეური.

ჩვენ სხვა არგუმენტებიც გაგვაჩნია, მაგრამ ვთვლით, რომ სტატიისთვის ესეც საკმარისია. უფრო ვრცლად მონოგრაფიაში ვისაუბრებთ.

აღბათ მკითხველიც დარწმუნდა, რომ ეს საოცრად მიმზიდველი ამბები არ ჰგავს ზოგიერთის სურვილს, ძალად მიისაკუთროს დიდგვაროვანის სახელი. აქ ყველაფერი ნათელია და გვარიშვილებსაც ისღა დარჩენიათ მიმართონ „სადაც ჯერ არს“ და დაიბრუნონ ისტორიული გვარი დადემქელიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თემურ ამყლაძე. დადგენილებების ამბავი. ქუთაისი. 2015;
2. გაზეთი „გვარიშვილობა“ № 1 (9) 2002 წ. ივნისი;
3. „ლიტერატურული აჭარა“, № 2. 1966 წ.
4. ტბეთის სულთა მატყანე. გამოსაცემად მოამზადა თინა ენუქიძემ. თბილისი, 1977;
5. ზაქარია ჭიჭინაძე. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913;
6. ალექსანდრე დლონტი. ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი, 1986.

Ramaz surmanidze

Gvarishvili or Dadeshkeliani?

Summary

The author argumentally prove that in Georgia, mainly in district of Kobuleti common surname is old and its original form was Dadeshkeliani. For this, there are as an earlier, so new scientific historical literature and narrative sources.

**დიდი სახელმწიფოების კათუმის ოლქით დაინტერესება
პირველი მსოფლიო ომის წინ**

1914 წელს ავგისტოში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ერთის მხრივ: გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი და თურქეთი და მეორე მხარეს კი ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი. ამ ომში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კავკასიის რეგიონს, განსაკუთრებით კი ბათუმის ოლქს. 1914 წლის წინა პერიოდის თითქმის ყველა მიმოწერა იმპერიის ცენტრიდან კავკასიაში შეეხებოდა ბათუმის ოლქს და იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ჩვენ, რუსეთის, კერძოდ პეტერბურგისა და მოსკოვის, თბილისისა და ბათუმის არქივებში ხანგრძლივი მუსაობის შედეგად გამოვაველინეთ არა ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეეხება სწორედ ზემოთ თქმულს. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფართო საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა არა ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ააშკარავებს მეფის რუსეთისა და სულტანის თურქეთის მგლურ, ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ეს საინტერესოა იმდენად რამდენადაც დღეს საქართველო იმყოფება, ცოტა განსხვავებულ მაგრამ მსგავსს სიტუაციაში. ამიტომ სიფრთხილე ყოველთვის იყო ის მთავარი საშუალება, რომელიც იძლეოდა თავის გადარჩენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უდიდეს შანსს. სწორედ რომ ეს სიფრთხილე გვმართებს დღეს.

1913 წლის 27 სექტემბერს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან საიდუმლო წერილები მიუვიდა კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარიას, სადაც ეწერა: „თურქეთში მიმდინარეობს აშკარა საომარი მზადება და სულ არ არის გამორიცხებული გაახშირონ პროვოკაციები ჩვენს წინააღმდეგ. იქ ჩამოყალიბდებოდა „ახალგაზრდა თურქთა“ ორგანიზაციამ გააძლიერეს პანისლამისტური პროპაგანდა თურქეთის საზღვრებს გარეთ. მათი სურვილია ისლამის აღორძინება სხვა ქვეყნებში. ამ მიზნი მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს რუსეთის იმპერიას, სადაც ცხოვრობს მრავალრიცხოვანი მუსლიმანური მოსახლეობა და მათ შორის ისლამის აღორძინება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს თურქეთისათვის, მისი ურთიერთობის გასამწვავებლად რუსეთთან. ამ მიზნით თურქების მიერ რუსეთში გაგზავნილ იქნა ვაჭრებისა და ხოჯების სახით „ახალგაზრდა თურქების“ მომხრე ხალხი. ემისრები გაიგზავნა ვოლგაზე, ყირიმში, შუა აზიასა და კავკასიაში. გამომდინარე აქედან მიიღეს გადამჭრელი ზომები, რათა კავკასიაში, ჩვენი სტრატეგიულად ამ მნიშვნელოვან მხარეში, მტრებმა ვერ აწარმოონ ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამის დიდი სურვილი ექნებათ, რადგან ისინი დიდი ხანია ოცნებობენ ჩვენს გამოძევებას კავკასიიდან და იქ გაბატონებას. გეგალებათ; 1) დააწესეთ ემისრებზე განსაკუთრებული ყურადღება 2) ყურადღება გაამხვილეთ პანისლამური იდეების გავრცელებაზე და სასტიკად წინ აღუდექით მას ყოველი საშუალებებით, 3) დააწესეთ ტვალთვალა ყველა უცხოელზე, განსაკუთრებით მაჰმადიანებით დასახლებულ ადგილებში, 4) განსაკუთრებით კონტროლზე აიყვანეთ ის ხოჯები, რომლებმაც განათლება მიიღო უცხოეთის სასულიერო ცენტრებში“ (ასსცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 123, ფურც. 21).

ასეთი წერილები მეტროპოლიტიდან არა ერთი გამოიგზავნა. თავის მხრივ კავკასიის მეფისნაცვალს ავალებდა ბათუმის ოლქის გუბერნატორს, რადგან ეს ოლქი განსაკუთრებით ახლოს მდებარეობდა თრქეთთან და ცენტრიდან გამოგზავნილ ყველა წერილში მოხსენიებულია ეს ოლქი. 1913 წლის 30 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან წერდნენ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს: „შეისწავლეთ და წარმოადგინეთ ყველა იმ უცხოელის ვინაობა, რომელიც ბათუმში ცხოვრობს“. ქუთაისის ჟარდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში აცნობებდა სამხედრო გუბერნატორს 1913 წლის 2 ოქტომბერს „განსაკუთრების აღსანიშნავია მეჩეთი „აზიზიე“, რომელიც ხდება ბათუმის ოლქის პანისლამისტური იდეების გავრცელების ცენტრი. ისიც აღსანიშნავია, რომ იქ ხშირად დადიან თურქეთიდან ემისრები და იქვე ოტახში აქვთ რაღაც საიდუმლო შეხვედრები. ამ მეჩეთში ხშირად შეიმჩნევიან „ახალგაზრდა თურქთა“ წარმომადგენლები. რაც შეეხება პოლიციას, სადაც უმრავლესობა მაჰმადიანი „ტუზემცები“ არიან, ძნელია მათდამი ნდობა, რადგან ისინი იოლად მოექცევიან პანისლამისტური გავლენის ქვეშ. მიზანშეწონილია პოლიციის გაძლიერება რუსული ელემენტებით“ (ასსცსა,ფ.1, აღწ. 1, საქ. 123, ფურც. 35)

მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. მიუხედავად მეფის რუსეთის მხრიდან გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა, 1913 წლიდან ბათუმის ოლქში თურქეთი, გერმანია დიდი რაოდენობით გზავნიდა აგენტებს მოსახლეობის ასაბუნტებლად. 1913 წლის 17 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია შემფოთებით წერდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს: „მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, თქვენ ოლქში შეიმჩნევა ოსმალური სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება. თქვენ ვერ შექმნით რუსული გავლენის ისე გაძლიერება, რომ მტრების ვერავიტარი პროპაგანდა ვერ შეგვაშინებდა (ხაზგასმა ჩვენია -ო.გ). ამ მიმართულებით თქვენი ადმინისტრაციის საქმიანობა საესებით არადაამაყოფილებელია“ (ასსცსა,ფ.1, აღწ. 1, საქ. 123, ფურც. 48-49). ჩვენი აზრით უადრესად საინტერესოა ბათუმის ოლქის გუბერნატორის 1913 20 ოქტომბრის საპასუხო წერილი, სადაც გაშიშვლებულია ის ვერაგული პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ატარებდა ამ მხარეში: „თქვენო უდიდებულესობაჲ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმართ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტები ბათუმის ოლქში. მაგრამ სანამ ამას გავაკეთებდით ჩვენ ვცდილობდით ერთმანეთისთვის წაგვეკიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვეცადეთ მოგვესყიდა არა ერთი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანი, შევაძლიეთ დიდძალი ტანხა, შევადგინეთ მოქმედების გეგმა. სამწუხაროდ, ყველა მოქმედება წარუმატებელი იყო. პირველად შევეცადეთ აბაშიძეების ამხედრება, ვინ არ მივუგზავნეთ მათ, მაგრამ ისინი რატომღაც ყველაფრისგან შორს იჭერდნენ ტავს. ვცადეთ ხიმშიაშვილების გამოყენება, მაგრამ მიზანი აქაც მიუღწეველი გახდა. მაშინ გადავწყვიტეთ თურქი ეროვნების ხალხის დაპირისპირება ქრისტიანებთან, ამისათვის, მოვაწყეთ ატასი პროვოკაცია, მაგრამ შედეგი არაფერი. რაც შეეხება რუსებს, ამ საქმეში ისინი პირდაპირ ვერ ჩავაბით, რადგან სააგიტაციო მანქანა ამ შემთხვევაში მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. როგორც ჩანს დაწყველილი მხარეა ამ მიმართულებით. საჭიროა სხვა მეთოდების გამოყენება, შემუშავება

ისეთი პროგრამისა, რომელიც ფრთებს შეასხამს ჩვენს შორსმდევალ ამოცანებს“ (ასსცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 126, ფურც. 57). აქ შესანიშნავად არის ანჩვენები ის პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი ატარებდა ამ კუთხეში. ტავის მხრივ არც თურქეთის მხარე უღებდა ტოლს ვერაგულ განზრახვაში მის მოწინააღმდეგეებს. მაგ. 1913 წლის 29 ნოემბერს ერთ-ერთი თურქ ემისარს ჩამოართვეს პროკლამაცია, რომელიც მა გაუფრცველებია ზემო აჭარაში, ართვინში და ცდილობდა მის გაფრცველებას ბათუმის მუსულმან მოსახლეობას შორის. პოლიციმეისტერის პატალკიდან ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისადმი ვკითხულობთ: „ამა წლის (1913- ო.გ.) 21 ნოემბერს დავაკავეთ თურქეთის ქვეშევრდომი, რომლის სახელია ახმედ ყადი ოღლი. დაკავებისას მან წინააღმდეგობა გავიწია. აღმოაჩნდა პროკლამაციები, სადაც ეწერა: „დღეში ხუთჯერ უნდა ვილოცოთ თურქეთის სასარგებლოდ და რუსეთის საზიანოდ, უნდა შევევედროთ ღმერთს, რატა რუსეთი აღიგავოს პირისაგან მიწისა, შევევედროთ ღმერთს რომ თურქეთმა დაიბრუნოს ყველა ის ტერიტორია რომელიც რუსეთმა წაართვა... მოერიდეთ ქრისტიანებთან თანამშრომლობას ისინიც გადამწყვეტ მომენტში რუსებს მიუღებებიან... პროკლამაციები აუცილებლად გააცანით ხალხს, გამოაკარით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.“ (ასსცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 126, ფურც. 69). აქაც ჩანს ის პოლიტიკა, რომლის გატარებასაც ცდილობდა ოსმალეთის იმპერია კავკასიაში და მათ შორის ბათუმის ოლქშიც.

რაც უფრო ახლოვდებოდა მსოფლიო ომი მით უფრო იძაბებოდა ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის და 1914 წლის ოქტომბერში დაპირისპირება კიდევაც გადაიზარდა საომარ მოქმედებაში. ასეთია მოკლედ, იმ მიმოწერების შინაარსი, რომელიც თვალნათლივ ააშკარავენს ორი სახელმწიფოს საქმიანობას კავკასიის მხარეში.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდგომში: ასსცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 123, ფურც. 21, 35, 48, 49;
2. ასსცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 126, ფურც. 57, 69

Otar Gogolishvili

Great interest in Batumi district before the First World War


Summary

The First World War started in August, 1914. In this war against each other standing on the one hand: Germany, Austria, Bulgaria and Turkey, and on the other side of England, France, and Russia. In this war, important place has the Caucasia region, in particular Batumi.

თამაზ ფუტკარაძე

საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები (1921)

დოკუმენტური წყაროების პუბლიკაცია და სამეცნიერო ბრუნვაში მოქცევა საარქივო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. მისასაღმებელია, რომ ამ ამოცანას წამატებით ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელმაც ბოლო წლებში არაერთი გამოცემით გაანებივრა მკითხველი საზოგადოება. დღეს ჩვენს წინაშეა შესანიშნავი გამოცემა - „საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები (1921)“, რომელიც 2017 წელს გამოიცა.



შესავალშივე საზგასმულია დოკუმენტების პუბლიკაციის აუცილებლობა, მიუხედავად იმისა, გამაღიზიანებელი იქნება თუ არა იგი თანამედროვე მკითხველისათვის. თუმცა საბჭოური დოკუმენტების პუბლიკაცია არც უნდა იყოს გასაკვირი. იგი ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, წიგნში წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები კონკრეტული სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური სისტემის პირობებში შეიქმნა და ნათლად წარმოაჩენს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შინაგან ბუნებას.

წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად აჩვენებს იმ განწყობას, რომელიც ახასიათებდათ კავკასიის მოსახლეობას საბჭოთა ოკუპაციის მიმართ.

წინამდებარე წიგნი მოგვითხრობს იმის შესახებაც, თუ რა როლი მიუძღოდათ საბჭოთა ჩექისტებს საქართველოს გასაბჭოების საქმეში, წარმოდგენილია ის განწყობა და ფანატიკური შეუპოვრობა, რომლითაც პროფესიონალი ბოლშევიკები ასრულებდნენ ოპერატიულ დავალებებს. ეს განწყობა, გადაჭარბებული თუ არ იქნება, გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება შევადაროთ ვაჰაბისტური იდეოლოგიით შეიარაღებული ე.წ. ისლამური სახემწიფოს მებრძოლთა საბრძოლო სულისკვეთებას.

დოკუმენტების ავტორები (მიხეილ შრეიდერი - ბელორუსიის საგანგებო კომისიის ოპერატიული კომისარი, რუსი ჯარისკაცი, ქართველი წითელარმიელი სერგო ბერაძე, პოლკის მეთაური ივანე ზოლოტოვი და ა. შ.) გასაბჭოების ისტორიას თავს გადახდენილი ამბების მეშვეობით მოგვითხრობენ. მათ გადასერეს კავკასიის გადმოსასვლელები, რათა მოეხდინათ თავისუფლებისმოყვარე ერების დამონება-დამორჩილება. ეს მოგონებები, მემუარები თუ ავტობიოგრაფიები თანამედროვე გადასახედიდან უახლესი წარსულის გააზრების საშუალებას იძლევა, რაც ავტორთა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაშვებული შეცდომების გაანალიზებისა და უკეთესი მომავლის პერსპექტიული დაგეგმვის საუკეთესო თეორიულ პლაცდარმს წარმოადგენს.

მართალია, მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობათა განხილვა ამ წიგნის უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ დაინტერესებული მკითხველი ამ კუთხითაც ბევრს გაიგებს. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო **ზოლოტოვის** მოგონებები აღმოჩნდა, რომელშიც საუბარია ბოლშევიკების მიერ ბათუმის აღების საკითხებზე. განსხვავებული მრწამსისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, ავტორი ვერ მალავს სიმპათიას **გენერალ გიორგი მაზნიაშვილის** მიმართ (გამოხატავს ირიბად), **რომელმაც თურქების ხელში ბათუმის გადასვლას ბოლშევიკები არჩია და ქიაზიმ ბეის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მზადყოფნა გამოხატა.**

წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები მკითხველს საშუალებას აძლევს გაიგოს, თუ რა ტაქტიკით, მორალითა და ზნეობით ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები პატარა მეზობელი ქვეყნების დაპყრობის დროს და როგორ ნიღბადნენ ამ მიზანს ეკონომიკური, ჰუმანიტარული თუ თავდაცვითი მოტივებით.

გასაოცარია, რომ მაშინდელი ბოლშევიური მთავრობისა და დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის არგუმენტები პრაქტიკულად იდენტურია. ზოგად მნიშვნელობას რაც შეეხება, უნდა ითქვას რომ წიგნი ფასდაუდებელ ისტორიულ ცნობებს გვაწვდის მე-20 საუკუნის 20-იანი წლების სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესახებ.


საბჭოთა ისტორიასა და გეოპოლიტიკაში დაინტერესებული ადამიანებისთვის, ეს აუცილებლად წასაკითხი წიგნების სიაში უნდა იყოს. თუმცა, წიგნს ასევე შეუძლია იმ ადამიანებსაც გაუღვივოს ამ თემისადმი ინტერესი, რომლებიც ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ ამ რეგიონსა და ეპოქაზე.

Грузины

Рецензия

(отв. ред. Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили,
Л.Т. Соловьева. М.: Наука, 2015. 814 с.)

Предлагаемая вниманию читателей монография «Грузины» вышла в свет в 2015 г. в издательстве «Наука» при финансовой поддержке Российского гуманитарного научного фонда, который ежегодно выпускает книги этой серии, продолжая традицию энциклопедизма 1950-х – начала 60-х годов, когда Институтом этнографии АН СССР (прежнее название института) была предпринята попытка систематического отображения мировой этнической картины.



В серии «Народы мира» в те годы было выпущено 18 томов, в которых публиковались небольшие очерки о конкретных народах. В частности, во второй том – «Народы Кавказа» (1962) – вошла глава «Грузинская Советская Социалистическая республика», в которой отдельными блоками были представлены

материалы по истории и этнографии грузин, абхазов, греков. С 1997 г. Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая РАН совместно с профильными научными центрами автономий Российской Федерации и академическими центрами бывших союзных республик в рамках большого исследовательского проекта готовит более содержательные и энциклопедичные издания, чаще всего посвященные конкретному народу. Том «Грузины» стал 25-м томом серии «Народы и культуры», имеющим цель опубликовать фундаментальные работы, посвященные народам современной Российской Федерации и ближнего зарубежья.

Рецензируемый труд посвящен исследованиям истории и этнологии грузин, одного из древнейших автохтонных народов Кавказа, внесшего огромный вклад в сокровищницу мировой культуры. Прочитав этот труд, который стал результатом многолетних исследований 69 ученых, из которых 57 докторов наук, можно определить масштабность поставленных задач и глубину исследований грузинских авторов, многие десятилетия изучавших ту или иную проблему в разных регионах Грузии. Значительная часть авторского коллектива – сотрудники Института истории, археологии и этнографии АН Грузии, Музея Грузии, Батумского НИИ и других научных учреждений республики.

Нужно отметить большую работу, проделанную при подготовке издания ответственными редакторами книги – Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьевой, которые контактировали с авторами, давали им соответствующие рекомендации и вносили правки в тексты (95 статей, разбитых по 11 главам), посвященные самым разным темам. Профессиональная подготовка ответственных редакторов и их огромный труд подтверждается тем, что авторские тексты читаются так же легко, как если бы они были написаны гораздо меньшим количеством авторов.

Серия «Народы и культуры» особенно привлекательна для исследователей конкретных народов и очень востребована, так как этнолокальные исследования интересны возможностью выхода на новые исследовательские рубежи, которые могут стать возможными на основе детального анализа особенностей формирования традиционной культуры этноса. К тому же региональный подход как методологическая позиция исследования народов Российской Федерации и ближнего зарубежья до настоящего времени, имеет неравномерное освещение. В этом плане грузиноведение существенно продвинулось вперед по сравнению с изучением других регионов Кавказа. Во многом этому способствовали научные интересы грузинской элиты, которая начала развивать историко-этнографическую науку значительно раньше других. Известно, что царевич Теймураз Багратиони — ученый-кавказовед, сын последнего грузинского царя Георгия XII — является автором первой критической истории Грузии и популяризатором интереса к истории и культуре Грузии, первый грузин-академик, почетный член Петербургской академии наук; Вахушти Багратиони — грузинский царевич, историк и географ; Дмитрий Захарович Бакрадзе — историк, археолог, этнограф, член-корреспондент Петербургской академии наук; Иван Александрович Джавахишвили — историк, академик АН СССР (1939), основатель Тбилисского университета; Симон Николаевич Джанашиа — историк и общественный деятель, один из учредителей и

академиков Академии наук Грузии, лауреат Сталинской премии (1942, 1947); Платон Игнатъевич Иоселиани — историк, исследователь истории Грузии; Георгий Александрович Меликишвили — историк, академик Академии наук Грузинской ССР, автор трудов по истории государства Урарту и др. Благодаря их исследованиям в грузиноведении почти нет белых пятен, труды этих ученых легли в основу многих статей рецензируемого издания, свидетельствуя об их актуальности и важности для современников поныне.

Монография построена по типу предыдущих изданий этой серии, включающих несколько основных тематических блоков. Чтобы отразить охват представленных тем этого огромного тома из 814 страниц, отметим, что рецензируемая монография состоит из 11 глав, глоссария, библиографии и списка архивных источников.

Глава I — «Этническая и политическая история» — рассматривает этнополитические процессы, демографию и антропологию народов, населяющих страну. Глава II — «Письменная культура» — посвящена изучению грузинского языка, рукописной культуре, эпиграфике, богословско-литературным и просветительским центрам. Глава III — «Материальная культура» — охватывает широкий спектр исследовательских направлений: поселения, жилища, одежда, оружие, система питания, мосты и дороги, транспорт и мореходство. Глава IV — «Хозяйство» — отражает практики традиционного лесопользования, пчеловодства, охоты, рыболовства, земледелия и скотоводства. Глава V — «Промыслы и ремесла» — посвящена организации ремесленного производства, обработке металла, дерева, камня, ткачеству и шелководству. Глава VI — «Семья и семейный быт» — рассматривает семейный быт, системы родства, обряды жизненного цикла. Глава VII — «Общественный быт и экономические отношения» — показывает сложные механизмы территориальной общины, социально-религиозные институты, аманатство, обычное право, мужские сходы, формы взаимопомощи, гостеприимство, застолье и торговые отношения. Глава VIII — «Религиозные представления» — отражает народные верования, историю Грузинской православной церкви, христианские конфессии и ислам в Грузии. Глава IX — «Духовная культура» — рассматривает традиционный праздничный календарь, астральную символику в орнаменте, фольклор, народную и инструментальную музыку, хореографию, традиционные виды спорта, народную медицину и гигиену. Глава X — «Профессиональная культура» — посвящена литературе, изобразительному искусству, театру и кино. Глава XI — «Грузинские диаспоры» — рассматривает грузинскую эмиграцию и диаспоры в Турции, Иране, России.

Беглый обзор содержания монографии позволяет отметить масштабность указанного научного труда, его новизну и практическую значимость не только для грузинской этнологической науки, но и для кавказоведения в целом. Профессиональная подача такого объемного материала позволяет под различным углом зрения рассмотреть разнообразные тематические блоки, представленные в данном издании.

Данный труд подготовлен большим коллективом ученых, проделавшим поистине титаническую работу по выявлению, систематизации и освещению

собранного материала. Несомненным достоинством данного издания является то, что авторскому коллективу удалось избежать идеологической ангажированности, свойственной не только многим историографическим работам недавнего прошлого, но и некоторым исследованиям 1990-х годов. В монографии корректно и объективно освещены наиболее сложные темы (в первую очередь вопросы этнической истории, а также современные политические процессы), касающиеся осетино-грузинского и абхазского конфликта.

Значительным достоинством рецензируемого издания можно назвать то, что в нем нашли отражение оригинальные материалы, собранные авторами в период полевых исследований в различных уголках Грузии, наряду с внушительным корпусом научной литературы, включающей общетеоретические культурологические труды, статьи в периодических и печатных изданиях и нарративные публикации ученых дореволюционного, советского и современного периодов, архивные документы, данные по грузинской истории, археологии, антропологии, лингвистике, топонимике и культуре. Такая солидная источниковая база позволила документально проанализировать и проследить этапы развития этнической истории и культуры грузинского народа, показать высокий уровень историко-этнографических знаний грузинских авторов по различным областям знаний.

Наличие сильной научной школы позволило грузинским ученым продвинуться далеко вперед в изучении этносов, проживающих на территории Грузии. Этому в значительной степени способствовали широкие научные контакты, сложившиеся между учеными Грузии и России. Обращаясь к историческому прошлому науки, хочется отметить большую роль советского кавказоведения в формировании научной школы, легшей в основу историко-этнографического изучения народов, населявших огромную державу. Москва и Петербург, являясь традиционными центрами отечественного кавказоведения, наладили постоянные и плодотворные контакты столичных специалистов с исследователями и научными центрами Кавказа. Еще в 1917 г. в Тбилиси по инициативе Н.Я. Марра был организован Кавказский институт археологии и истории Академии наук Союза Советских Социалистических Республик, в работе которого активно участвовали ученые Грузии, всего Кавказа, Ленинграда и Москвы, что позволило установить тесные творческие контакты с научной элитой грузинского народа [Страницы отечественного кавказоведения 1992: 19].

В различные годы в стенах Института этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая представляли к защите свои научные изыскания грузинские ученые С.И. Макалатия (1948), Р.Л. Харадзе (1955), М.Г. Абдушелишвили (1964), Г.В. Цулая (1989), Н.М. Абдушелишвили (1990) и др. [Страницы отечественного кавказоведения 1992: 206–208]

Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая и Музей антропологии и этнографии РАН регулярно организовывали научные экспедиции, экспедиционные отряды в различные регионы Кавказа для сбора полевых материалов, которые легли в основу научного архива и широко используются современниками. Хочется отметить весомый вклад в изучение социально-бытового и культурного уклада грузинского народа, внесенный участниками Грузинского

отряда Н.Г. Волковой, Г.Н. Джавахишвили, В.Д. Итонишвили, Л.Т. Соловьевой и др. [Страницы отечественного кавказоведения 1992: 203]. Примечательно, что после распада СССР научные исследования в Грузии продолжает старший научный сотрудник ИЭА РАН, один из ответственных редакторов тома «Грузины» Л.Т. Соловьева. Она единственная среди авторов этой монографии представляет научное сообщество РФ и приглашена к написанию статьи и подготовке книги.

Исследования названных выше авторов нашли широкое освещение в библиографическом списке, что ярко иллюстрирует актуальность их научных достижений и в настоящее время.

Нельзя не отметить и богатый видеоряд книги (более 300 цветных и черно-белых фотографий). Наряду с фотографиями из архивохранилищ и частных собраний Грузии в монографии достойно представлены экспедиционные фотоматериалы из коллекционных собраний Российского этнографического музея и Музея антропологии и этнографии, привезенные из экспедиционных поездок по различным районам Грузии. Ценные, а порой и уникальные снимки принадлежат Л.Б. Панек и Е.М. Шиллингу. Оба ученых провели достаточно много времени, изучая грузинский народ. Так, Е.М. Шиллинг специально занимался этнографией народов Кавказа начиная с 1916 г. и вел систематическое изучение отдельных этнических групп, в особенности Северного Кавказа, а также Грузии (преимущественно в горных регионах) [Махмудова 2015: 87]. В 1928 г. Е.М. Шиллинг и художник С.И. Фомин совершили поездку в Верхнюю и Нижнюю Сванети и Аджарию, откуда была привезена фотоиллюстративная коллекция МАЭ РАН [Захарова 2015: 67]. Объектом исследований Л.Б. Панек стали районы Грузии – Мтиулети, Хеви, Хевсурети. В отчете за 1927 г. говорится, что ею сделаны 15 планов жилищ, привезены 70 фотографий и 12 рисунков [Страницы биографии 2015: 13]. Некоторые фотографии этих авторов заняли достойное место в видеоряде монографии «Грузины». В книге имеются фотографии и из коллекции известного российского фотографа С.М. Прокудина-Горского (начало XX в.).

Исследование сопровождается богатым картографическим материалом, охватывающим период с VI в. до н.э. до конца XX в. Помещенные в монографии карты (авторы Д. Мухелишвили и М. Сулханишвили) позволяют наглядно представить расселение грузинских племен в глубокой древности, расположение государственных образований грузин в разные периоды истории, а также те народы и государства, которые находились на сопредельных территориях. Отметим также весьма информативную карту современного расселения грузин по регионам Российской Федерации, составленную ведущим научным сотрудником ИЭА РАН В.В. Степановым.

Большим достоинством монографии следует считать и то, что сводные характеристики тех или иных явлений и обрядов культуры грузин дополнены терминологией на грузинском и русском языке. Весь терминологический аппарат вынесен в отдельный блок в виде обширного глоссария, что является несомненным подспорьем для русскоязычных читателей, желающих лучше узнать специальные термины грузинского языка.

Как и любое многоаспектное научное исследование, монография имеет отдельные недостатки. К одним из существенных относится отсутствие во многих разделах книги материалов по современности, позволяющих рассмотреть происходящие в Грузии процессы в исторической динамике, а также недостаточное освещение многообразных этнокультурных контактов грузин с соседними народами. Однако указанные замечания не меняют общей высокой оценки рецензируемой работы, тем более что рассмотрение этих вопросов потребовало бы значительного увеличения объема книги.

В заключение необходимо отметить: ценность этого научного труда состоит еще и в том, что после распада СССР в издательствах Российской Федерации не так уж часто публиковались материалы, касающиеся кавказских народов, некогда объединенных общей историей и культурой. Выход рецензируемой коллективной монографии позволит всем заинтересованным исследователям получить достоверные и разнообразные сведения о этнографии грузинского народа. Монографию «Грузины», опубликованную на русском языке и в силу этого доступную достаточно широкому кругу ученых, можно считать ценным научным вкладом в российское кавказоведение и в мировую этнологическую науку.

ფილიანტები

(მოამზადა ფრ. ქარდავამ)



1223 წლის 18 იანვარს
ბარდაიცივალა საქართველოს მეფე

გიორგი IV ლაშა

31 წლის ასაკში, პონოლოვთან
ბრძოლაში მიყვანული შრილოვის ბაჰო.

1207 წელს თამარმა ლაშა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. თამარის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ერთპიროვნული მმართველი გახდა, მისი სურვილი იყო განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მთლიანობა და შემოემტკიცებინა ყმადნაფიცი ქვეყნები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს ვასალობისაგან გათავისუფლებას. 1220 ან 1221 გიორგი IV დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა იერუსალიმის სელჩუკთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად მონღოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაიშალა. გიორგი IV მონღოლებთან ბრძოლაში 1221 ან 1223 დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა.



საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი



ოპიზა. ფილა აშოტ I კურაპალატის გამოსახულებით

826 წლის 29 იანვარს არაბმა დამპყრობლებმა დოლისქანაში ეკლესიის საკურთხეველში მოკლეს აშოტ I დიდი კურაპალატი

“შემდგომად ამისა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწ-გა იხილვების ვითარცა ახალი.”

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მამამთავარი და მეფე 809-826 წლებში, მანამდე, დაახლოებით 786-809 წლებში იგი იყო ქართლის ერისმთავარი. პაპამისი, ისევე, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს დიდი ნაწილი, იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციიდან. სპერიდან (ამჟამად ისპირი, თურქეთის ტერიტორიაზე) და იგი 730-იანი წლებიდან ჩანს კლარჯეთში. აშოტი სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. აშოტ I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტიის ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი, აღადგინა ფაშტანგ გორგასლის მიერ აშენებული და შემდეგ მურვან ყრუს მიერ აოხრებული არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა, აქვე ააშენა წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია; მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. ამ დროიდან ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მთლიანად სამხრეთში გადაინაცვლა. საქართველოს ისტორიაში ამ ხანას ტაო-კლარჯეთის ან „ქართველთა სამეფოს“ პერიოდი ეწოდება. ამდენად, 809 წელი მიჩნეულია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დაფუძნების წლად, თუმცა, ეს საგვარეულო ქართლს განაგებდა ჯერ კიდევ 575 წლიდან, როდესაც ქართლის ერისმთავარი გახდა გურამ I კურაპალატი. აშოტ I მოკლულ იქნა შინაგამცემლობის შედეგად.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს წმინდა თეოდორე აჭარელის ხსენების დღე

მღვდელმთავრად თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX) – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანი, ხსენების დღე ახალი სტილით 1 მარტი (17 თებერვალი). წმინდა თეოდორე აჭარელი ეკუთვნის საქართველოს უძველესი კუთხის აჭარის მკვიდრთა იმ მრავალთაგანს, რომლებმაც მოწამა თავი დასს, რომელნიც ქრისტიანობისთვის ეწამნენ ოსმალთაგან. წმინდა თეოდორე დაიბადა XVIII სს 70-80-იან წლებში. ეს ის პერიოდი, როდესაც ოსმალურმა უკვე თითქმის დაასრულეს საქართველოს ამ კუთხის ძალიან გამუსულმანების პროცესი, თითქმის მთლიანად ამოხოცეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უარი თქვეს მამუდიანობის მიღებაზე და დაიწყეს იმ ოჯახების გადასახლება, რომლებიც მიუხედავად მუსულმანური სარწმუნოების გარეგნული აღიარებისა, მაინც საეჭვოდ ითვლებოდნენ დამპყრობლების თვალში. ზოგმა თვითონ დატოვა მშობლიური კუთხე და სულის გადარჩენის მიზნით უცხოეთში არწია ცხოვრება. ერთ-ერთ ასეთ ოჯახში დაიბადა წმინდა თეოდორეც. ის თვალწინააღმდეგ ხედავდა ძალიან გამუსულმანებული ქართველი მოსახლეობის მუსულმანური ტრადიციების იძულებით მორჩილებასა და მათ ფარულ ქრისტიანულ ცხოვრებას. მან მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და რადგანაც ეს ძალიან საშიში იყო, წმინდა თეოდორემ თავი შეაფარა ქალაქ სმირნაში (იზმირი) არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერს, იქვე აღიკვეცა მონაზვნად და მისი მშის შვილიც მოაქცია ქრისტიანობაზე. მალე წმინდა თეოდორე ამ მონასტრის პრიორადიანიც გახდა. 1822 წელს წმინდა თეოდორემ ათონზე ქართველთა მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. ოსმალთა ჯარებით იყო გარშემორტყმული ათონის წმინდა მთაც, სწორედ მათ შეუპყრიათ ათონს მიმავალი ბერი და მრავალფერი ტანჯვისა და წამების შემდეგ მოუკლავთ, მოწამის გვამი ზღვაში გადაუგდიათ.



დღეს, გამორჩეული ქართველი დრამატურგის, პოლიკარპე კაკაბაძის დაბადების დღეა

ყვარვარე თუთაბერი- მის მიერ შექმნილი, ყველა დროის მედროვეობისა და არასახელმწიფოებრივი არსებობის სახე, რითაც გენიალურმა დრამატურგმა ნიღბი ჩამოხსნა ბოროტებას, თან თვალწარმოვლით დავაჯანსა რომ ეს პროცესი უწყვეტია, ან უნდა იყოს...

მან 1911 წელს დაასრულა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. მისი პირველი ნივთი "ბრძენი მოქანდაკე" დაიბეჭდა 1915 წელს "საბჭოთაო" "თეატრი და ცხოვრება" (N 48).

კაკაბაძის პირველი მნიშვნელოვანი დრამატული ნაწარმოებია პიესა "გზაუვარდინზე" (1917), რომელიც წარმატებით დაიდგა ბაქოს სცენაზე 1918 წელს (რეჟისორი ალ. წულუაბაძე). 1919 წელს კაკაბაძის მიერ დაარსებულ ჟურნალში მკვიდრი მნათობი დაიბეჭდა მისი პიესები "სისხლი სინათლეზე" (N 1) და "სამი ასული" (N 2). 1925 წელს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა მისი დრამა "ლისაონის ტუსაღები" (რეჟისორი დანიაშვილი).


კაკაბაძის კომედია "ყვარვარე თუთაბერი" (1923), რომელიც ქართული საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლად ჩამოეშალა დრამა შიშვენილი და კლასიკური სოციალური გამოთქმა მხარე ისტორიის ქართველობის ფონზე შემთხვევითი ამბობებიერიული გაიმყარა მედროვის ყვარვარეს მხატვრული სახე ქართული ფოლკლორის გმირის ნაგარქუძის ნიღბით აღჭურვილი ყვარვარე ზოგადსაკუთრო ტიპიკ არის. პიესა პირველად დადგა გამარჯანიძემ 1922 წელს, ახლანდელი იყო რ. სტურუა 1974 წლის დადგმა (რუსთაველის სახ. თეატრი). 1938 წელს მარჯანიძის სახ. თეატრში დაიდგა კაკაბაძის კომედია "კოლმურის ქორწინება" (1937), რომელიც მეტყველად აისახა ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი. პიესა დრამატურგის ახალ გამარჯვებად იქცა.

40-იან წლებში შექმნილია მისი პიესები: "შეხვედრა მშენებლობაზე", "მედიკური სამკვდილი", "ციცინათლა", "პაქობა", რომელთა გადამუშავების საფუძველზე დრამატურგმა 1964 წელს ახალი პიესა "ცხოვრების ჯარი" შექმნა. კაკაბაძის იატორიული პიესის (კომედია) "კახაბრის ხმალი" ("დავით მერვე", 1954) უხვად ასახრდილებს ქართულ ფოლკლორული სახეები. პიესა პირველად დაიდგა 1957 წელს ქუთაისში (რეჟისორი თამაზლაშვილი). 1965 წელს კი - თბილისში (მარჯანიძის სახ. თეატრი, რეჟისორი გლორიკოვსკი).

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობდა ისტორიულ დრამისა და ტრაგედიის განხრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამატული პოემები "მეფე ვახტანგ პირველი გიორგისა" (1968), "მეფე ბაგრატ მეფე" (1967), ტრაგედია "მეფე დიმიტრი თავდადებული" (1971).



საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



9 მარტი
სისხლიანის სხელითა შეხული
საქართველოს ისტორიაში.

1956 წელს საბჭოთა რუსეთის ჭაბუბებმა ახჩეხე ქართველობა თბილისში აშ დღეს, სისხლში აზნავეს თბილისი.


მართალია ქართველობა იმ დღეს თვითიდენფობას წარმოშობით ქართველ ჭაბუბს უკებშირებდა მზერამ ში ხანიცა ღბ თვითმეგრებზეც სწორედც რომ თბილისელებისაქენ სწრაფებს გემოხვებდა.

ეს 1956- ში, მზნაშდე კი, დიდი სნით ზდრე 1226 წელს, სწორედც რომ 9 მარტს ბილო საბჭოთა ლირანების სულიერმა წინაპარმა, ჭაბუბური ხელის პურრონმა ჭაბუბუდინმა თბილისი ღბ ასევე სისხლში აზნავე ქართველობა...

ამთააღწერელი შემრწუნებული მოგვითხრობს: "ესოდენ მზნავერედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩვლინიცა მუშუთგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დანარგვიან, და რომელსამე თუალნი წახვევდიან და რომელსამე ტვნი დავთხიოს, და უკანის დედანი მოიკვლიდიან"[33]. ქალაქის ქუჩებში "სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვნი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვლთა თმა და სისხლი, თავი მჭართაგან განშორებული, ნაწლეფნი ცხენთა მიერ დათრგუნვილი ურთიერთას აღრეულ იყო"[34]



საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ლევან გოგობერიძის
სამუშაოთა ფოტო

10 მარტი ბრწყინვალე მწერლის,
ქართველი დიხილენის "კმირთა
ვარაზის" ზეგორის

ლევან გოთუას

ღაბღაბების დღე

ლევან გოთუა, ქართული მწერლობის,
ლიტერატურისა და ეროვნული
მოძრაობის სინდისი...



სამუშაოთა ფოტო
სამუშაოთა ფოტო

25 მარტი

ქართველთა დიდებული გაბრუნებები მარცხოვანი ბრძოლაში

1625 წლის 25 მარტი (ახ. სტ. 4 აპრილი) გარიგარაზე, ხარება დღე რომ თენდებოდა, მარცხოვანი ველზე დაბნელებულ მტრის ჯარს ქართველ ვაჟკაცთა რაზმები მოუახლოვდნენ. ხმაურზე გუმბაგმა განგაში დასცეს. ირანელთა ჯარის სარდლობამ სასწრაფოდ მოიყარა თავი ყარინა-ხანთან და სააკაძეს უხმო. გიორგი და მისი მხლებლები მზად იყვნენ ამ მომენტისათვის, ხმლები იშინველეს და მტრის ჯარის მეთაურები იქვე გაღლიტეს. უსარდლოდ დარჩენილ ლაშქარს ქართველებმა მუსრი გაავლეს. მუსტაფა ნაიბს ცნობით, მტრის ნაჰკიდანს, რომელშიც 30 ათასამდე ყოზლბაში იყო, მხოლოდ სამი ათასმა უშველა თავს გაქცევით. დანარჩენები აჯანყებულებმა აკურეს. ქართველებს დიდძალი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ ხელში.

მოურავმა სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მტერს თბილისს დეცა, ციხეს ალყა შემორტყდა. სიმონ-ხანმა თბილისის ციხეში შექვლა ვერ მოასწრო, ყარაბაღის ბეგლარბეგ მოამბედ ყული ხანთან ერთად ალყაყალის ციხეში შეკრდა და იქ გამბერდა. სააკაძე შემდეგ ზურბა ერისთავთან ერთად კახეთში გადავიდა და უკვე ბაქველ დეიქარ-ხანს დაედგინა. მაგრამ ამ უკანასკნელმა მცირე პლასტი მტკვარი გადალახა და ბარდავს მიამურა. ყოზლბაშია დიდი უაღუეი ქართველებს ჩაეგარა ტყვედ შემდეგ აიღეს ხორნაბუჯის ციხე, რომელიც დეიქარ-ხანის რეზიდენციის წარმოადგენდა. მცირე საშუადასივ და მოურავმა განჯა-ყარაბაღის სახანოებზე გაილაშქრა, იქ მყოფ ყოზლბაშია ჯარებს დაერია. მრავალი გაწვიციტეს და მრავალიც ტყვედ იყდეს. გაქცეულებს მდ. არაქსამდე სდიეს და დიდძალი ქონება დაატოვებინეს. სააკაძე და მისი ჯარი, ალაფთა და ტყვეებით დატვირთულნი, ქარაღში მობრუნდნენ.

აჯანყებულებმა რამდენიმე დღში ქართლ-კახეთი თითქმის მთლიანად გაწმინდეს ყოზლბაშია ჯარებისაგან. თეიმურაზი, რომელიც იმ დროს ოსმალეთის საზღვრებში, გოჩიოს ციხეში, იმყოფებოდა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად გამზადებულიყო, ქართლ-კახეთში მოიწვიეს და გურიანბეგული სამეფოს ტახტზე დასვეს. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სატარაველის გაერთიანების მოღვაწეთა იცნებას ურთობი ესმებოდა.

ძველი აზიზა

დონა ანა მილანა ბათუმში

ასოციატიო წლის წინ, ეტყობა, ძალიან გაუმართლათ ბათუმელებს: ქალაქში გავლით, მაგრამ მაინც ჩამოვიდა და სასტუმრო „კოლხიდაში“ დაიგანა ბრწყინვალე ნათელმხილველმა დონა ანა მილანამ. თქვენ წარმოიდგინეთ სულ რაღაც ერთ მანეთად მომავალს განუსაზღვრავდა ადამიანებს. არ ვიცით რამე თუ უთხრა დონა ანამ იმდროინდელ ბათუმელებს ამ დროინდელ ბათუმზე, მის მომავალზე და განვითარებაზე, მაგრამ აფიშა ნამდვილად გვამცნობს რომ „საოცრად გეპულობს კაცის ბედსა და უბედობას, და აგრეთვე წარსულს, აწმყო და მომავალ კაცის ცხოვრებას.“ როგორც ჩანს კარგი PR თანამშრომლები იყვნენ მაშინ: აბა დაუდგებოდა ადამიანი წინ ასეთ ცთუნებას?

ჩვენ საინტერესოდ ჩავთვალეთ ამ ასწლოვანი დოკუმენტის წარმოდგენა თანამედროვეთათვის, შეიძლება კეთილი იუმორით მაგრამ მაინც ჩანს ძველი ბათუმური ყოფის ორიოდე დღე, მითუმეტეს რომ, როგორც მიიხნევენ საგრძნობ ტექნიკურ პროგრეს დიდად არ გამოუწვევია ადამიანის სულიერი განვითარება.



Во время своего пребывания будетъ давать Электро-
магнитнымъ научнымъ аппаратомъ

СЕАНСЫ

„ПО МЕТОДУ МАДАМЪ ЛЕКОРМАНЪ.“

РАЗЪЯСНЕНИЕ:

Эта дама, вслѣдствіе своего дарованія, знанія френологіи и посредствомъ своего электрическо-магнетическо-астрономическаго аппарата, сообщаетъ всякому свѣдѣнія о случаяхъ бывшихъ въ жизни человѣка, а именно: женатъ-ли онъ, давно-ли женатъ, имѣеть-ли дѣтей, въ какомъ количествѣ и сколько имъ лѣтъ и такъ далѣе.

Такую древнюю науку, распространенную персами, эта дама успѣла основательно усвоить себѣ, благодаря многолѣтнему обращенію съ аппаратомъ, а именно:

въ Швейцаріи, Австріи, Италіи и Германіи, гдѣ удивляла почтеннѣйшую публику своими свѣдѣніями.

НА ВСЯКІЙ ВОПРОСЪ ПОЛУЧАЕТСЯ ОТВѢТЪ.

Примѣчаніе: Г-жа АННА МИЛАНА съ блистательнымъ успѣхомъ защищалась противъ нападковъ и доказала свое громадное человѣкознаніе и что она можетъ исключительно математическими комбинаціями и многостороннею опытностію давать отвѣты на всѣ вопросы обращенные къ ней.

СООБЩЕНІЕ СВѢДѢНІЙ КАЖДОМУ ПОСѢТИТЕЛЮ ОТДѢЛЬНО.

ЦѢНА СЕАНСУ 1 р. съ ПЕРСОНЫ.

ПРИЕМЪ ЕЖЕДНЕВНО СЪ 9-ТИ ЧАС. УТРА ДО 9-ТИ ЧАС. ВЕЧЕРА.

ქ. ათენის სასახლე „კოლეონის“ № 10 და 11 ბოქალის ხეობით იხილვება

გესანიშნავი პკითხავი (მარჩიელი)

ლონსა ანსა პილანა.

საოკრატო გებულობს კაცის ბედს და უბედობას, და აგრეთვე წარსულს, აწმყო და მომავალს კაცის ცხოვრებას.

პკითხავთ პილანის ილანს კაცზედ თუ ქალზედ თითო განათს.

Печ. разр. Полиціймейстеръ Подп. Егоровъ. Типо-Литографія А. Н. Махарадзе. Ватумъ.

НА КОРОТКОЕ ВРЕМЯ

ქორონიკონი

(მოამზადა ფრიდონ ქარდავამ)

ნოე ჟორდანიას

14 იანვარს დაიბადა ნოე ჟორდანიას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-21 წწ), ნოე რამიშვილის შემდეგ.

საქართველოს ოკუპაციის შემდგომ საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას მიპატიჟება ჰქონდა საფრანგეთისა და იტალიისგან. ჟორდანიას სტამბულში შეხვდა ამ ქვეყნების ელჩებს და საფრანგეთის მიპატიჟება მიიღო. მიუხედავად ამისა, 1921 წლის აპრილში საფრანგეთში ელჩი შევალიეს თანხლებით ჩასულ ჟორდანიას ოფიციალური დელეგაცია არ დახვედრია.

„ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატყევე მათ არ სტყევა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს — იყოს თავისთვის წყნარათ, უდარდელათ... ეს იყო მთავარი, თუ ერთი არ გატყდება, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოდ შეიძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს“.



თავდაპირველად ჟორდანიას ცხოვრობდა პარიზში, ხოლო შემდეგ ლევილში, საიდანაც მონაწილეობდა საქართველოში 1924 წლის ამბოხების მომზადებაში. აჯანყების შემდეგ ჟორდანიას დედა და უფროსი ქალიშვილი ასმათი, რომლებსაც არ დაუტოვებიათ საქართველო 1921 წელს, დაიჭირეს და ბათუმის ციხეში ჩასვეს. ერთი კვირის შემდეგ მათ სერგო ქავთარაძემ ემიგრაციაში წასვლა შესთავაზა, მაგრამ ჟორდანიას დედამ უარი უთხრა. ჟორდანიას წერდა წიგნებს, სადაც აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს, როგორც "იმპერიალიზმს რევოლუ-

ციის ნიღაბქვეშ”. პარიზში ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და რუსულ ენებზე აქვეყნებდა წიგნებს. გარდა პოლიტიკური შინაარსის წიგნებისა, ჟორდანიამ 1930 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. 1933 წლამდე ჟორდანიამ 12 წიგნი გამოსცა: „ბრძოლის საკითხები“, „ჩვენ და ისინი“, „საბჭოთა წყობილება“, „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, „პოლიტიკა“, „ბოლშევიზმი“, „ჩვენი უთანხმოება“, „დემოკრატია“ და სხვ. პარიზშივე მან დააარსა ქართული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალი „ბრძოლა“, შემდეგ გაზეთი „ბრძოლის ხმა“. პარიზში 1990-იანი წლებამდე გამოდიოდა ჟორდანიას დაარსებული ჟურნალი „ჩვენი დროშა“, რომელსაც რედაქტორობდა ჟორდანიას სიძე ლევან ფალავა.

ნოე ჟორდანია გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, 1953 წლის 11 იანვარს. დაკრძალეს ლევილის სათემო სასაფლაოზე.

აღექსანდრე ფრონელი

13 იანვარი, ქართველი ისტორიკოსის, პუბლიცისტის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ფრონელის-აღექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძის-დაბადების დღეა (დ. 13 იანვარი, 1862, სოფ. წვერი, დღევანდელი ქარელის მუნიციპალიტეტი — გ. 29 ივნისი, 1916, თბილისი)



მოკლე ბიოგრაფია:

1888 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა სახაზინო პალატაში, საგუბერნიო საქმეთა სამმართველოში, საგლეხკაცო საქმეთა საკრებულოში, ახალციხის მომრიგებელ მოსამართლედ და სხვ. 1905-1907 რევოლუციის დროს ქართული საზოგადოების

მხარდაჭერით დაინიშნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად, მაგრამ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, მალე მოხსნეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1906 წელს იყო თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოსთან არსებული საადგილმამულო კომისიის მმართველი. დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის. იყო გაზეთ "საქართველოს" ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

აღ. ყიფშიძე იკვლევდა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებს. აღსანიშნავია ნაშრომები: "მთიულეთი 1804 წ." (ტფილისი, 1896), "ამბოხება კახეთისა (1812)" (ტფილისი, 1907), "დიდებული მესხეთი" (გორი, 1914), "მთის არწივი, შამილი" (ტფილისი, 1914) და სხვ.

აღექსანდრე ყიფშიძე ერთერთი პირველთაგანი იკვლევდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველი ხალხის ანტიკოლონიალურ და ანტიფეოდალური ბრძოლის ისტორიას. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.

დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

საარქივო დოკუმენტები

თურქეთში გადასახლებულთა (მიგრანტთა, მუჰაჯირთა) უძრავი ქონება შეძენილი არტანუჯისა და სოფელ ტანზინის (არტანუჯის უბანი) მკვიდრთა მიერ

აღწერა

(დოკუმენტი მოგვაწოდა ქუთაისის ცენტრალური არქივის უფროსმა სპეციალისტმა - ინგა ელიაგამ. თარგმნა - აჭარის საარქივო სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა - მზია სურმანიძემ)

N	მყიდველთა სახელი და გვარი	შეძენილი უძრავი ქონება	მუჰაჯირთა სახელი და გვარი
1	აკოპ კონდიანი	სოფ. სხა ერთსართულიანი ქვის სახლი, ხილის ბაღით. ფართობი 1 დეს.	ალი ეფენდი სულეიმან ეფენდი ოღლი
2	პაპო შიმიშირიანი	სოფ. უნუსხევი ხილის ბაღი. 1 დეს.	შუქრი მუსა ოღლი
3	პეტროს აზოიანი	სოფ. იშკინარი ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით. 2 დეს.	მედეტ ალი ოღლი
4	კაზარ ან(პ)არჟანიანი	სოფ. სახრე ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით	ოსმან ახმედ ოღლი
5	სტეპან ლევანდიან	სოფ. მეცვილი ორსართულიანი ხის სახლი,....ხილის ბაღით, ფართობი 1 დეს.	მახმუდ მუსტაფა ოღლი
6	პეტროს კარტჩიან	სოფ. შავგულიარი ერთსართულიანი ხის სახლი, ხილისა და ყურძნის ბაღით, ფართობი ¼ დეს.	სულეიმან ჰუსეინ ოღლი
7	ანტონ მამაჯანოვი	სოფ. კაშუხტი(არ იკითხება) ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით, ფართ. ¼ დეს (არ იკითხება)	მუჰამედ მუსტაფა ოღლი
8	გაპრელ ბჟიკიან	სოფ. უნუსხევი ორსართულიანი ხის სახლი, ხილისა და ყურძნის ბაღით, ფართ. ¼ დეს (არ იკითხება)	მუსტაფა დედე ოღლი
9	კრიკორ კომსოკანიანი	ორსართულიანი სახლი, ხილისა და ყურძნის ბა-	ალი დედე ოღლი

		ლით, ფართ. 1 ½ დეს. (არ იკითხება)	
10	მიკირტ გუკოსიანი ართვინის მცხოვ.	ორსართულიანი სახი ხილისა და ყურძნის ბა-ლით, ფართ. 1 ½ დეს (არ იკითხება) ხილის-ყურძნის ბაღი (არ იკითხება) ფართ. ½ დეს.	იბრაიმ დედე ოღლი
11	მიხირ სარუხანიან	სოფ. არ იკითხება ორსართულიანი სახლი, ხილისა და ყურძნის ბა-ლით, ფართ. 2 დეს (არ იკითხება) ხილისა და ყურძნის ბა-ღი „კარშ-ბაღია,, ფართ. 1 დეს.	იაყუფ მამედ ოღლი
12	კაზარ ზაკორტიან	ორსართულიანი სახლი, ხილისა და ყურძნის ბა-ლით, ფართ. ¼ დეს (არ იკითხება) ხილისა და ყურძნის ბა-ღი „არკ-ღიბა,, ფართ. ½ დეს.	ქამილ არიფ რლი
13	ვართან კულუკიან	ორსართულიანი ხის სახლი, ხილისა და ყურ-ძნის ბაღით, ფართ. 1 ½ დეს. სათივე და ნალია (არ იკითხება)	გენჯალ არიფ რლი
14	მარკოს მილიდჟიან	სოფ. სხა ორსართული-ანი სახლი, ხილის ბა-ლით, ფართ. 2 დეს. სათი-ვე (არ იკითხება), ხის წისქვილი	არტანუჯის მცხოვრები ისმაილ ეფენდი ჰაჯი მუსტაფა რლი
15	პაპო მაზმანიანი	ხილის ბაღი, ფართ. 2 დეს.	ბინაზ ქესკინ ბეგ კიზ
16	კარაპეტ სარუხანიან	სოფ. უნუსხევი ხილის-ყურძნის ბაღი,, არხ(კ)-ბოინ,, ფართ. ½ დეს	ბინაზ ქესკინ კიზ
17	აღექსანდრე ბეკცა-ტუროვი	ორსართულიანი ხის სახლი, ცალკე ცხენ-სადგომით, სათივე, ნა-ლია, ხილისა და ყურ-ძნის ბაღით,, კანიოლი,, ფართ. 3 დეს.	ზაბით არიფ რლი
18	არუთუნ მინდონიან	ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით,	ბექირ იბრაიმ ოღლი

		ფართ. 2 დეს. სათივე, ნალია (არ იკითხება)	
19	მილაზიმ სულეიმან მამედოღლი	სოფ. სსა ორსართულიანი სახლი, ხილის ბაღით, ფართ. 2 დეს. სათივე, ნალია სოფ. ხარაული ერთსართულიანი ხის სახლი, ცალკე ხის სათავსოთი, ხილის ბაღით, ფართ. ½ დეს.	არიფ ოსმან ოღლი ამიდ აგნი ოღლი
20	პეტროს ბიულბიულიანი	სოფ. ხერთვისი ერთსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართ. ½ დეს.	მახმედ ოღლი (არ იკითხება)
21	ოვანე და მესპორ კურდარუთინიანები	სოფ. არ ჩანს ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით, ფართ. ¼ დეს. სათივე	იუსუფ ალი ოღლი
22	მარტიროს გაპრელიანი	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართ. ¼ დეს. სათივე და ნალია (არ იკითხება)	იბრაიმ ჰუსეინ ოღლი
23	არუთუნ ოსეპიანი	ორსართულიანი ხის სახლი, ცალკე ცხენის სადგომით, ნალია, სათივე ორსართულიანი ხის სახლი, ზეჟერიას უბანში, ნალია, სათივე	იუსიფ მამედ ოღლი
24	ზადიკ ქურთარუთინიან	ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით, ფართობი 1დეს. ნალია ,სათივე, პიტუტყვის სადგომი	რეჯებ იბრაიმ ოღლი
25	ტატის კურდარუთინიანი	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით. ¼ დეს. ნალია, სათივე, აგრეთვე ხილის ბაღი ½ დეს.(დენუმი ან დონუმი (არ იკითხება)	იდრის იბრაიმ ოღლი
26	ურმულიანი	ოსართულიანი ხის სახლი სათივეთი	მუხამედ ხუსეინ ოღლი
27	გადჯი აკან მახჟეან(?)	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართობი ½ დეს.და სათივე	მუხამედ ხუსეინ ოღლი
28	მიკირტ ანჟინიან(?)	ორსართულიანი ხის სახლი, ნალია, პირუტყვის სადგომი	მუხამედ ხუსეინ ოღლი

29	აკოპ ჩიპლაგიან	ერთსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით. ფართობი ¼ დეს. და სათივე	მუსხამედ ხუსეინ ოღლი
30	სააკ ტერ-კრიკორიან	ხის ცხენის სადგომი, სათივე. ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართობი ½ დეს. სათივე და პირუტყვის სადგომი	იუსუფ მამი ოღლი
31	პაპო მაკოიან	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართობი ½ დეს. სათივე და პირუტყვის სადგომი	ჰუსეინ ოსმან ოღლი
32	ავეტის აკოპიან	ორსართულიანი ხის სახლი, სათივე და პირუტყვის სადგომი	ალი იბრაიმ ოღლი
33	ოვანეს მარკოსიან	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართობი ½ დეს. სათივე და პირუტყვის სადგომი. ხილის ბაღი ფართ. 1 დეს.	ჰუსეინ მემედ ოღლი
34	გაჯი კრიკორ კაზარიან	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ¼ დეს. სათივე და ნალია ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ½ დეს. სათივე და პირუტყვის სადგომით	ასლი მამედ ოღლი
35	ოვანეს ესაელიან	ერთსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით, ფართ. 1 დეს.	ხალილ მამედ ოღლი
36	ნერსეს ნურიჯანიან	ორსართულიანი ხის სახლი, ხილის ბაღით, ფართ. 1 დეს. სათივე და პირუტყვის სადგომი	ალი ეფენდი მუდერის ოღლი
37	ვართან მუქლიან	ორსართულიანი ხის სახლი ხილის ბაღით, ფართ. ½ დეს. პირუტყვის სადგომითა და სათივეთი	სანი ახმედ ოღლი
38	კარაპეტ ოვანესიან	ორსართულიანი ხის სახლი, პირუტყვის სადგომითა და სათივეთი	მოლლა მუსტაფა საქიბ ოღლი

**ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ქუთაისის გუბერნიის
ვიწათმომხმედებისა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს
ფონდი №18**

ალექსანდრე ბუჭუას ძე მგელაძე
(1885-1925)

(საარქივო დოკუმენტი მოგვაწოდა ნაზი ნაგერვაძემ)

„მძიმეა ის ტვირთი, რომელიც კისრად უდვია საზოგადო მოღვაწეს და უკანასკნელთა შორის კი თავის დანიშნულებითა და პასუხისმგებლობით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პედაგოგიურ ასპარაზზე მუშაობის და კერძოთ სახალხო მასწავლებლობა.

თუ ეს უნდა ითქვას განათლების მუშაკზე დღეს, წარსულში ხომ ყველასათვის ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა სახალხო მასწავლებელმა ხალხის გათვითცნობიერებაში. ნარ-ეკლიანი იყო ის გზა მუშაობისა. ასწავლებელი გამოდიოდა მშრომელ გლეხთა შვილების აღმზრდელათ მაშინ, როცა გლეხის ოჯახიდან არც ისე ხალისით უშვედენ ბავშვებს სკოლაში და უკანასკნელ შემთხვევაში მასწავლებელი იძულებული ხდებოდა პედაგოგიური სახარება ეკითხა ურწმუნო მშობლებისათვის, რათა დაეჯერებია ისინი განათლების საჭიროებაში.

მასწავლებელი ერთ და იმავე დროს ბავშვთა ამღზრდელიც იყო და სოფლის ჭირისუფალი და მოსარჩლეც, როცა ბიუროკრატიული მთავრობის მოხელენი მუხრუჭს მოუჭერდენ დაბეჩავებულ ხალხს.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, რომელშიც უხდებოდა მასწავლებებს მუშაობა სოფლად, ის მაინც ცარ უდრებოდა არავითარ დაბრკოლებებს და პირნათლად ასრულებდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობას.

და დღეს, როდესაც კაცობრიობის ერთი დიდი ნაწილი მოწმე გახდა საკაცობრიო უდიდესი იდეების განხორციელებისა, არ უნდა დავივიწყოთ ის, ვინც აქეთკენ მიუნათებდა გზას მშრომელ ხალხს; ეს იყო მასწავლებელი, რომელიც ფარვანასავით თავს დატრიალებდა მშრომელ ხალხს; კერძოდ ქართველი მასწავლებელი, თუ პირველ ადგილზე არა, მთავარ რიგებში იდგა, - არ ეპუებოდა შავრაზმელ დირექტორ - ინსპექტორთა მათრახებს და მკვეთრად მიაპობდა გზას ბნელ სოფელსა თუ ქალაქში. - და თუ რომელიმე მასწავლებელს რაიმე გაუკეთებია ამ მხრივ, ერთი პირველთაგანი **ალექსანდრე ბუჭუას ძე მგელაძეა**, რომელმაც ორმოცი წელი ებრძოლა ამ საბიელზე ქვეყნის უკუღმართობას.



ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული – წვითა და დაგვიტ აღზრდილი 20 წლის ალექსანდრე – გორის სამასწავლებლო სემინარია დამთავრებული, ღრმად დარწმუნებული, რომ მასწავლებლობა ვერ გაუძლებდა კუჭს, 1885 წელს მასწავლებლის ემბაზში ინათლება სოფ. ვაბზუში (გურია).

აქედგან ოთხი წლის შემდეგ ხვარბეთში (გურია) გადადის და უკანასკნელიდან კი თავისივე სოფელ ბახვში (გურია) იმ სკოლაში, სადაც მან მიიღო პირველ დაწეებითი სწავლა. ამ დროიდან იწყება გურიის მასწავლებლობის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა და ალექსანდრეც მათ შორის ერთი პირველთაგანი ხდება. ალექსანდრე თავიდანვე რევოლუციონერი იყო სულით და ამას კარგად ხედავდნენ რა მაშინდელი შავრაზმელი დირექტორინსპექტორები, არ აჩერებდნენ ერთ ადგილს და გადაყავ-გადმოყავდათ.

ამ მიზეზით მოაცილეს ის გურიას და „მოსარჯულებლად“ აჭარაში სოფ. ხულოში გადაიყვანეს, სადაც ის იმავე სიყვარულით დაეწაფა ფუხარა ხალხის გათვინოებებერებას. მაგრამ ვერც აქ დაიმაღლა მისი „არასაიმედო“ საქმიანობა და გამოაძევეს კიდევ აქედან, საიდანაც ის გადმოვიდა ქალაქ ბათომში, დაიწყო მაცადინობა კერძო მოწაფეებთან და იმავე დროს საკვირაო სკოლაში მუშებთან. ამ დროს უკვე ანთებული იყო რევოლუციონური ჩირადღანი და ალექსანდრეც საკვირაო სკოლაში მუშებს აქეთკენ მოუწოდებს. 1903 წლიდან ალექსანდრე ბათომში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში იკიდებდა ფეხს. ეს სკოლა მაშინ ბინა და თავშესაფარი იყო ყველა რევოლუციონერთა და პოლიტიკურათ დევნილთა. ამ სკოლაში წყდებოდა ყველა საკითხი, რომელიც ეხებო-

და რევოლუციის შემზადებას. აქ იმართებოდა ფარული სხდომები პოლიტიკურ მოღვაწეთა – მაშინ მესამე დასვლთა. აქ იწერებოდა ფურცლები და დაბეჭდვის შემდეგ აქედანვე ვრცელდებოდა საკვირაო სკოლაში თავმოყრილ მუშების ხელით. აქ გამოტანილი დადგენილებები სწრაფად ვრცელდებოდა ქარხნის მუშებში. გურიის მოძრაობის პირველ ხანებში ბათუმი უხელმძღვანელებდა და მისი შტაბი სწორეთ ეს სკოლა იყო. დღესაც ცოცხალნი არიან აქ გამობრძმედილი პოლიტიკური მუშაკნი. ბევრი მათგანი დღეს ხელისუფლების მეთაურნი არიან. ვლადპარაკობთ რა სკოლაზე, მხედველობაში გვყავს ამ სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მგელაძე, რომელიც ერთი თვალსაჩინო მუშაკთაგანი იყო მუშათა მოძრაობაში. რა ერთი და ორი საპასუხისმგებლო და იმავე დროს საშიში მინდობილობა აუღია მას თავზე მაშინ, და მთავრობის შეუმჩნეველათ ბრწყინვალეთ დაუგვირგვინებია. 26 წელია, რაც ალექსანდრე მგელაძე აჭარისტანში მასწავლებლობს. აქედან 22 წელი ის ამ სკოლაშია; დღესაც იქ განაგრძობს ეს მუშაკი ამ წმინდა საქმეს. დღეს ის გამგეა ამ სკოლის. თუმცა მოხუცებამ მაგრად შეიჭრა მასში, მაგრამ სიყვარული და გული ამ საქმისადმი დღესაც ახალგაზრდული აქვს. ალექსანდრე მგელაძე ყველა ამასთან ერთად ერთი ლიტერატორთაგანიც არის და მის კალმოსნობასაც საკმაო სტაჟი აქვს. მუდმივი თანამშრომელი გახეთ „ცნობის ფურცლისა“, „ივერიის“, „ბათუმის გაზეთის“ და დღიდან დაარსებისა „ემშაკის მათრახის“, სადაც მან სახელი მოიხვეჭა როგორც მახვილმა და მოსწრებულმა იუმორისტმა აღ. ბლიკვადის ფსევდონიმით. წელს 40 წელი – შესრულდა, რაც ის პედაგოგიურ-ასპარეზზე მოღვაწეობს. ქედან უმეტესი დრო აჭარისტანში მუშაობას ეკუთვნის. დღეს ის უკვე ჭადართაა მოსილი, ძალზე მოქანცული, ნივთიერადაც ხელმოკლე, წლებიც აღარ უჯერებს და მადლიერი მშრომელი აჭარისტანი ნიშნათ მადლობისა და ღრმა პატივისცემისა მას 40 წლის მოღვაწეობის იუბილეს უმართავს. მასწავლებლის იუბილე აჭარისტანში პირველია და ეს ბედნიერება ალექსანდრე მგელაძეს ხვდა წილათ, რაც მან ღირსეულადაც დაიმსახურა და ვფიქრობთ თქვენც გამოემსახურებით ძვირფასო ამხანაგებო ამ – დღის აღნიშვნას და მით ნივთიერათ თუ მორალურათ თავის წვლილს შეიტანთ ნივთიერათ ღარიბ, მაგრამ ზნეობით მაღალ ჭადარა მასწავლებლის სახალხო ზეიმში. იუბილე გაიმართება ქალაქ ბათუმში (აკადემიური თეატრი) ამა 1925 წლის ივნისის 7-ს, დღითი კვირას. ყოველ გვარ მიძღვნას და მილოცვას მიიღებს საიუბილეო კომიტეტი.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე აჭარისტანის განათლების
სახალხო კომისარი

სულეიმან ვარშანიძე.

თავმჯდომარის ამხანაგი განათლების მუშაკთა კავშირის
პას. მგ. მდივანი

ვ. ტორჩინავა

კომიტეტის წევრნი:


- ვ. იმედაძე
- ს. ხვედელიძე
- დ. ქუთათელაძე
- ბ. სულუხია
- გრ. გორგაძე
- დ. დიასამიძე
- ვ. პავშინსკი
- თ. სინარულიძე
- სელ. ლორთქიფანიძე
- ნ. ჯაყელი
- დ. კეჟერაძე
- ე. გომანი
- ილ. ჟღენტი
- ირ. დლონტი
- მ. ფრიდმანი
- ლ. შენგელია
- ს. ბუღკა
- ხ. ჯევედექ-ზადე
- ი. კანონიდი
- ა. ბჟიკიანი

კომიტეტის მდივანი: რ. ჭანტურია”

ასს ცსა, ფონდი რ-5, აღწერა 1, საქმე 31. ფურც. 4-5.

გთავაზობთ რამოდენიმე გვერდს ალექსანდრე მგელაძის მიერ შედგა-
ნილი წიგნიდან

„სხივი“
ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი



John O'K
85

ci n. n-h.
 un n. un n.

X X

o un n. un n.
~~un n.~~ un n. un n. un n.

X X

l un n. un n.
~~un n.~~ un n. un n. un n.

X X

b un n. un n.
~~un n.~~ un n. un n. un n.

X X

m un n. un n.
~~un n.~~ un n. un n. un n.

89
88
87

X
3 զոհո
- զո-հո.

X
ոճո
ն-ճո.

ուզո, արո, շուշո, զոհո, օջո, անջո, արժո.
 930 ~~արժո~~ արժեց. անան զոհո անանոյս. զոն յղեց անան
 զանո? զոհո, ~~անան~~.
 անն թե ինչեց, զոհո չո ան.

X
յ յոս
- յոս

յ. ոյոս. չոյոն, չոյոն. անոյո. անան.

չո անան, անո անան. անն ան չո ան, ան
 անան. ան անն անոյո չոյո, ան ան.
 անան անն անան, անան չե անան.

X
անան
 ան-ան-ան.

անան. անան. անոյո, անան. անան.
 անո անո. չե անան անան. անոյո, անան
 անան. անան անան. անն ան անան. անան?
 անան, անոյո չոն անան անան.

ասեցա, օրնդ Թ-5, ԳՄԳԵՐԱ 1, ՆԱԺԵ 57. ԳՄՐԸ. 84, 85, 87

მეხუთე აბაზიძე

(დოკუმენტი მოგვაწოდა ელგუჯა ჩაგანავამ)

სამუსლიმანო საქართველოს საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანია მთელი საქართველოსათვის. ჩვენ ხშირად ვწერთ, ბევრს ვლაპარაკობთ და თეორიულად კარგად ვაფასებთ სამუსლიმანო საქართველოს მნიშვნელობას, საქართველოს როგორც ქველს, ისე მომდევნო ისტორიაში; უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეს იმდენი ზიანი, იმდენი გაჭირვება, უბედურება არ განუცდია, რამდენიც სამუსლიმანო საქართველოს.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ ხოლმე: - მთელი საქართველო რა არის, თუ იმის სხეულს ჩამოსჭრით ჩვენი ისტორიისა და კულტურის ისეთ აკვანს, როგორც სამუსლიმანო საქართველოა, მაგრამ განა კიდევ უფრო მეტი უფლებით, კიდევ მეტი სიმართლით არ შეუძლიან სთქვან თვით სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწეებმა: - რაა სამუსლიმანო საქართველო, თუ მას ჩამოსჭრით და ჩამოაცლით არტაანს, ოლთისს და მთელს ართვინის ოლქს?

ჩვენს ხელში სამუსლიმანო საქართველო დაქუცმაცდა, დაღარობდა, დაკინდა. ჩვენი დამოკიდებულება სამუსლიმანო საქართველოსადმი მუდამ სიტყვიერი იყო, ზერედე, არაპრაქტიკული და ფიქტიური. ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ნაკლი, ჩვენი შეცდომანი და შევეცადოთ მის გამოსწორებას.

სამუსლიმანო საქართველოს ხალხის პოლიტიკურს გამოფხიზლებაშიაც ჩვენ სრული უნიჭობა გამოვიჩინეთ. ჩვენ თავის დროზე ვერ მოვახერხეთ მუსლიმანი ქართველობის გულის გახსნა და სარეკოლუციო ბრძოლების ბრწყინვალე სხივებით იმ გულის გათბობა და განათება. ჩვენ ვერ ჩავიბით მუსლიმანთა მასსა ჩვენს საერთო საქმეებში და გზა მივეციო ყველა ვიგინდარას თავისუფალი მუშაობისათვის ყოველ ავანტიურის სასარგებლოდ.

მხოლოდ ჩვენს პოლიტიკურს სიბეცეს, ჩვენს ორჭოფულს და შეიძლება არაგულწრფელ მუშაობის შედეგს მიეწერება ის ფაქტი, რომ სამუსლიმანო საქართველო და მისი მოღვაწეები ჩვენ მუდამ გვესახებოდნენ რაღაც იდუმალების ქვეშე, ეჭვებით, შეჭმუნულნი შუბლით. . .

ჩვენ გვჭირდებოდა მტკიცე მეზობლები, როგორც სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობისა, ისე მტკიცე სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობისა, ისე მტკიცე მეზობლი მისი დასაკავშირებლად დედა საქართველოსთან. ჩვენ გვინდოდა გულწრფელი, უანგარო, პირდაპირი ცხოვრებით აღზრდილი და ცოდნით გამსჭვალული მოღვაწეები, მაგრამ ჩვენს წინაშე ცხადდებოდნენ ორგულნი, გარეწარნი, ერთ ჯიბეში სამი სახის თამასუქების მატარებელნი.

ჩვენ ამას დღესაც იმიტომ ვიგონებთ, რომ დღესაც სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობა ჩვენგან მოითხოვს არაჩვეულებრივ ენერგიას, საქმიანობას, დაკვირვებას და იმ ძალების დაგროვებას, რომელნიც გამობრძმედილან საქართველოსათვის, სამუსლიმანო ქვეყნის აღდგენის საქმეში.

დღეს ჩვენ გვმართებს ბევრი მუშაობა ამ ასპარეზზე. ძალები, რომელნიც დაეჩვივნენ სამუსლიმანო საქართველო ტკივილს, საჭრებით დატკობას, კიდევ არ ისვენებენ, ცდილობენ სჭრან და სჩეხონ სამუსლიმანო საქართველო.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამიერიდან ამ მიზანს ვეღარ შესძლებენ ჩვენი ქვეყნის მოძულენი, ვერ შესძლებენ იმიტომ, რომ ჩვენს სამუსლიმანო საქართველოს ხალხში გაღვივებულია ღრმა სიყვარული ახალი ცხოვრებისადმი; იმიტომ, რომ თუ ჩვენი მოძმეებისათვის წყვედიადით ჩაიარა 1905 წლის მოძრაობა, აგრეთვე, 1917 წლის რევოლუცია, ჩვენ თამამად შეგვიძლიან აღვუხსნოთ, რომ საგრძნობლად რევოლუციონური მოძრაობის შინაარსი და მნიშვნელობა გამოისახა მხოლოდ ფუხარა მეჯლისის დაარსების შემდეგ; მას შემდეგ, რაც სამუსლიმანო საქართველოს სცენაზე გამოგვეცხადნენ სრულიად ახალი მუშაკნი, ახალი ძალები, მუდამ დაბეჩავებული და სიბნელეში მყოფი მასსიდან.

თუ ჩვენ წმინდა ეროვნული გზით მივდიოდით სამუსლიმანო საქართველოში და იგი გზა განვასახიერეთ ჩხიკვის შვილის პოლიტიკაში, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა სამშობლოს საკითხს, საბჭოთა საქართველოში, როცა იგი კუთხე აივსო საეჭვო პირებით, როცა სისტემატიური არასასურველი ექსცესები გახშირდნენ და გამრავლდნენ; დღეს ჩვენ უნდა მივიდეთ აგრეთვე რევოლუციონური პოლიტიკის წარმოებითაც, სრული სოციალური ტეხის ხაზი აღუსახოთ, როგორც დემარკაცია სამუსლიმანო საქართველოს და ანგორას შორის.

ნიშნებია, რომ არ გზით ბევრის გაკეთება შეიძლება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალი პოლიტიკით არათუ გავსწმენდით დაქუცმაცებულ სამუსლიმანო საქართველოს ატმოსფეროს, არამედ, რაც უმათავრესია, ჩვენ საძირკველს ჩაუყვრით სამუსლიმანო საქართველოს გამთელებას, აღდგენას და მის მტკიცე კავშირს დედა საქართველოსთან,

აი, რა არის ჩვენი გულის საგანძური სამუსლიმანო საქართველოს საკითხში. ჩვენს დედაქალაქში დღეს ცხოვრობს მუსლუმანი ქართველი, როგორც ჯიდა. იგი სრული გამოკვეთაა საქართველოს მთელი კულტურის. ვინ არ იცნობს ამ დიდ ქართველს?:

- როგორც მწერალს!
- როგორც ორატორს!
- როგორც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარეს!
- როგორც ქმალისტების ტუსადს საქართველოს ერთგულებისათვის!
- როგორც, ყველაზე უანგარო და უმწიკვლო ადამიანს მთელს საქართველოს!

მემედ აბაშიძე!

ჩვენ არ გვყავს არც ერთი პიროვნება ესოდენ მტკიცე და ურყევი მებრძოლი სამუსლიმანო საქართველოს აღდგენისა, მთლიანობისა, საქართველოსთან დაკავშირებისა.

ჩვენი მელანი ამოიწურა საქართველოს მეგობართა და საქართველოს ჭეშმარიტ შვილთა ძიებაში და სამუსლიმანო საქართველოს წიაღში პირველი მოქალაქე მემედ აბაშიძეა.

მემედ აბაშიძე ფუძეა, სიმბოლოა სამუსლიმანო საქართველოს საქმეებისა. ჩვენ გვინდა „მემედები“ გვყავდნენ სამუსლიმანო საქართველოში. ჩვენ მას ვენდობით, მას ყველა ენდობა, ვისაც სწამს და უყვარს საქართველო.

სამუსლიმანო საქართველოს საქმეები საიმედო ძალთა ხელში იქნება, თუ იქ „მემედია“ მომუშავედ.

იგი არც ფედერალისტია, არც მენშევიკი, არც ბოლშევიკი: - იგი ქართველია მხოლოდ, რომელიც საქართველოს გამაგრებისათვის საოცარის ნიჭით და დაკვირვებით განზე სტოვებს სოციალ მომენტს.

თუ სოციალი მომენტი არის მომენტი სიღარიბის, ფუხარობის, უძლურთა და ბოგანთა დახმარების, თუ სოციალ მომენტში პატიოსან სიტყვას მივიჩნევთ, ამხანაგის ნდობას, ბრძოლას, საერთო საქმეების გაკეთებას, - მაშინ მემედ აბაშიძე არა მარტო პირველი მოქალაქეა სამუსლიმანო საქართველოსი, არამედ იგი პირველი სოციალისტიც არის აღნუსხული საქართველოსი.

მემედი დღეს თბილისის სტუმარია, საჭიროა იგი ბათუმის მასპინძელი იყოს; დღეს მემედი ისვენებს დედაქალაქში, საჭიროა იგი არ ისვენებდეს ქობულეთ-ხულოს მიდამოებში და იბრძოდეს იმ სამარადისო საქმისათვის, რისთვისაც ოცნებობს და იბრძვის ყოველი ქართველი.

თედო ღლონტი

გაზეთი „ტრიბუნა“, 1922 წ. №127, გვ.1-2

ს.რ.კ. მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

(საარქივო დოკუმენტები მოგვაწოდა მაია რურუამ)

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი. –

გადასახადებზე, რომლებიც იკრიბება შინსახკომისარიატის ორგანოების მიერ, საერთო მოქალაქობრივი საზღვარგარეთელ პასპორტების გაცემისათვის ს.ს.რ. კავშირში შემოსვლისა და ს.ს.რ. კავშირიდან გასვლისა და უცხოელებისათვის საცხოვრებელ საბუთების გაცემისათვის.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა მოქალაქეებს ს.ს.რ.კ. და მათ მზრუნველობის ქვეშ მყოფ მათ ოჯახის წევრებსა, საერთო მოქალაქობრივი საზღვარგარეთელ პასპორტების გაცემისათვის გადახდებთ 200 მანეთი, გარდა მოქალაქეებისა მე-2 მუხლში ნახსენებისა.

2. იმ მოქალაქეებს ს.ს.რ.კ. რომლებიც ცხოვრობენ არა შრომის შემოსავლით და აგრეთვე მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფ მისი ოჯახის წევრები, საერთო მოქალაქობრივი საზღვარგარეთელ პასპორტების გაცემისათვის გადაეხდებთ 300 მანეთი.

3. გაცემულ მოქალაქობრივ საზღვარგარეთელ პასპორტში რაიმე ცვლილებების შეტანისათვის გადაეხდებთ: 1 მუხლში ნახსენები პირებს 10 მანეთი, მე-2 მუხლში ნახსენებ პირებს 30 მანეთი.

4. მცხოვრებლები სანაპირო ზოლში საზღვარზე ერთხელ გადასვლის ან გადამგზავრების ნებართვის მიცემისათვის გადაეხდებთ: ა/1 მუხლში ნახსენებ მოქალაქეს 50 კაპიკი; ბ/ მე-2 მუხლში ნახსენებ მოქ. 2 მანეთი.

5. მცხოვრებლებს სანაპირო ზოლში საზღვარზე მრავალჯერ გადასვლის ან გადამგზავრების ნებართვის 3 თვის ვადით მიცემისათვის გადაეხდებთ: ა/ 1 მუხლში ნახსენებ მოქ. 50 კაპ. ბ/ მე-2 მუხლში ნახსენებ მოქ. 15 მანეთი.

6. უცხოელ პასპირტს ს.ს.რ. კავშირიდან გასვლის ვიზისათვის გადაიხდება 5 მანეთი.

7. უცხოელ პასპორტს ერთი და იმავე დროს ს.ს.რ. კავშირიდან გასვლის და უკან შემოსვლის ვიზისათვის გადაეხდება 10 მანეთი.

8. უცხოელ პასპორტი მრავალჯერ ვადა გასვლისათვის საზღვარზე ვიზის გასაკეთებლად გადაეხდება 30 მანეთი.

9. უცხოელებს ს.ს.რ.კ. ფარგლებში, საცხოვრებელ საბუთად გაცემის ვადის გაგრძელებისათვის, მიუხედავად ვადისა, აგრეთ უცხოელ პასპორტების რეგისტრაციისათვის გადაეხდებათ 5 მანეთი.

10. საერთო მოქალაქობრივი საზღვარგარეთელ პასპორტის გაცემის გადასახადი იხდევინება განაცხადების პასპორტის მიცემაზე, შემოტანის დროს და უარის შემთხვევაში უბრუნდება გადასახადიდან 10% დაკავებით.

11. საზღვარგარეთ პასპორტით ან ვიზით უსარგებლობის გამო საპასპორტო გადასახადი ან ვიზის მისაღებათ თანხა დაბრუნებული იქნება.

12. ამ დადგენილებაში გათვალისწინებულ გადასახადები იკრიბება კავშირის რესპუბლიკების შინსახკომისარიატების მიერ და ამავე შინსახკომისარიატის დაგალებით ადგილობრივი ორგანოების მიერ.

13. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ გადასახადებიდან ღარიბ მოქალაქეების განთავისუფლება ხდება ს.ს.რ. კავშირის ფინსახკომისარიატის მიერ შემოღებული წესით.

14. უცხოელთა საქმეების სახკომისარიატს ს.ს.რ. კავშირის ფინსახკომისარიატთან შეთანხმებით ნება ეძლევა უცხოელ პასპორტზე ვიზის დადების უცხოელებზე საცხოვრებელ საბუთების გაცემის – გადასახადის რაოდენობის შეცვლა.

15. თანახმად ამ დადგენილების გადახდევინებული ფულები შეტანილი უნდა იქნეს საღაროში და ჩარიცხული შინსახკომისარიატის შემოსავალში.

16. საერთო მოქალაქეობრივი საზღვარგარეთელ პასპორტების, ნებართვების, ვიზების ანუ უცხოელებისათვის საცხოვრებელ საბუთების გაცემის დროს სათანადო გადასახადების ჯამზე დაერიცხება 10%, რომელი ფული გადაეცემა სათანადო კავშირის რესპუბლიკის წითელ ჯვრის ან საზოგადოების შემოსავალში.

17. ინსტრუქციას ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად იძლევა ს.ს.რ. კავშირის ფინსახკომისარიატის მიერ კავშირი რესპუბლიკების წარმომადგენელთან შეთანხმებით.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე – მ. კალინინი

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე –
ა. რიკოვი

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალმასკომის მდივანი – ა. ენუქიძე

სწორია / შინსახკომისარიატის საგ. ნაწილის გამგე – ნ. მახარაძე

ასს ცსა, ფონდი რ-75, აღწერა 1, საქმე 22

ასევე, გაზ. „იზვესტია“ 7 აპრილიდან, 1926 წელს №79

ცირკულიარი №4
ა.ა.ს.ს.რ. შინაგან საქმეთა სახკომისარიატის
„25“ მაისი 1926 წ. ქ. ბათუმი

ა.ა.ს.ს.რ. ყველა სამაზრო და სათემო აღმასკომის თავმჯდომარეებს, ქალაქ ბათუმის და მისი მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს და ქალაქ ბათუმის და სამაზრო მილიციის ყველა უფროსებს. –

ნარკვევების (მოწმობების) გაცემის შესახებ იმ პირთათვის, რომლებიც აჭარისტანში სცხოვრობენ და თავის თავს უცხოეთის მოქალაქეს უწოდებენ.

ვინაიდან უცხოეთის მოქალაქეთა მიერ შინსახკომისარიატისადმი წარმოდგენილი ნარკვევები და მოწმობები, რომლებით ადმინისტრაციული ორგანოები ადასტურებენ დაინტერესებულ პირთა უცხოეთის ქვეშევრდომობას, უმეტეს შემთხვევებში არ არიან წესიერათ შეყენებული და არ ამართლებენ დანიშნულების, - შინაგან საქმეთა სახკომისარიატს საჭიროთ მიანიჭა გაგიმარტოთ, რომ უცხოეთის ქვეშევრდომების გამორკვევა ამა თუ იმ მოქალაქესი და იმ საგანზედ მოწმობების გაცემა შინსახკომისარიატის მოვალეობაშია. ამიტომ გეძლევათ წინადადება მიიღოთ სახელმძღვანელოთ და სისწორით შესასრულებლად შემდეგი:

1. არავითარი პირადობის მოწმობები იმ პირთათვის, რომელნიც თავის თავს უცხოეთის ქვეშევრდომს უწოდებენ არ უნდა იყოს გაცემული საცხოვრებლად თქვენ მიერ;
2. იმ შემთხვევაში, თუ ის პირნი, რომელნიც თავის უცხოელად ამცხადებენ, მიმართავენ ადმინისტრაციულ ორგანოებს თხოვნით მათთვის მოწმობების გაცემის შესახებ, - ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სისწორით უნდა შეაყენონ მათზე ცნობები მათ ნაცნობ პირთა დაკითხვით და დაკითხვის ოქმის შედგენით, რის შემდეგ გასცენ ნარკვევები და არა მოწმობა უკანასკნელებს ქვემო აღნიშნული ფორმით;

პირადობის მოწმობათ არ ჩაითვლება

ნარკვევი:

გაცემულია ესე / აღმასკომის ან მილიციის სამმართველოს დასახულება / მოქ.

რომელმაც განაცხადა, რომ ის არის ქვეშევრდომი

/უცხოეთის სახელმწიფოს დასახელება/ მას შინა, რომ აღნიშნული მოქ. სცხოვრობს / სწორი მისამართი: სოფლის / ქალაქის დასახელება / 19 წთ თვით რიცხვიდან და ეწევა / უნდა აღინიშნოს მისი საქმიანობა/.

ნარკვევი ესე გაცემულია აჭარისტანის შინსახკომისარიათში წარსადგენათ, რაც დასტურდება ხელის მოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით. –

ხელწერები და ბეჭედი

3. ზემოაღნიშნულ პარაგრაფში მოყვანილი ნარკვევების გაცემა დაიშვება ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მთხოვნელს, რომელიც თავის თავს უცხოელად აცხადებს, სურს საბჭოთა მოქალაქეობის მიღება, შინსახკომისარიატში აღრიცხვაში გატარებას, როგორც უცხოელს ან განცხადების მიცემა საზღვარგარეთ წასასვლელ ვიზის / ნებართვა / მისაღებათ.

შენიშვნა: ქალაქ ბათომში უცხოელთათვის, რომლებმაც განცხადება შეიტანა ვიზის მისაღებად ნარკვევი შეიძლება გაცემულ იქნეს სახლების მმართველობიდან, საბინაო ამხანაგობიდან ხოლო ეს ნარკვევი შემოწმებულ უნდა იქნეს სათანადო სარაინდო მილიციის სამმართველოს მიერ.

4. თანამდებობის პირნი, რომელნიც ამ ცირკულიარით განკარგულებას დაარღვევენ მიეცემიან პასუხისგებაში სასამართლოს წესით. –

დედანს ხელს აწერენ – შინაგან საქმეთა სახკომისარი – ბრეგვაძე საქმეთა მმართველი – ასათიანი – და საგარეო

ნაწ. გამგე

– ისაღჩენკო.

დედანთან სწორია / საგარეო ნაწ. გამგე . . .

ცირკულიარი № 7
23 სექტემბერი, 1926 წელი. ქ. ბათომი. –

ა.ა.ს.ს.რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა. –

აჭარისტანის ყველა მაზრალმასკომებს, თემალმასკომების თავმჯდომარეებთ, მაზრების მილუფროსებთ და მისი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციულ განყოფილების უფროსს. –

იმ პირთათვის, რომელნიც თავის თავს უცხოელის სახელმწიფოების ქვეშევრდომებს უწოდებენ ნარკვევების გაცემის წესის შესახებ.

დამატებით თავის ცირკულიარისა №4-ისა ა/წ. 25 მაისის თარიღით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას სახელმწიფოებრივად შემდეგი:

1. ყოველივე ნარკვევები და მოწმობები უცხოეთის სახელმწიფოთა ქვეშევრდომთათვის გაიცემა მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვით. –
2. იმ შემთხვევაში თუ უცხოეთის მოქალაქენი მიმართავენ ადმინისტრაციულ ორგანოებს თხოვნით ამ საგანზედ, უნდა მოხდეს გამოკვლევა და ოქმი სათანადო მასალებით განცხადებითურთ უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განკარგულებისათვის და მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ უნდა გაიცეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სათანადო ნარკვევები. –
3. იმ შემთხვევაში, თუ უცხოელები მიმართავენ თხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოებს საბჭოთა ქვეშევრდომობის მიღების შესახებ – უკანასკნელნი ვალდებული არიან განუმარტონ უცხოელებს, რომ განცხადებები საბჭოთა მოქალაქეობის მიღების შესახებ მიიღება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და სათანადო ნარკვევები ამის შესახებ საჭირო არ არის. –
4. იმ შემთხვევაში თუ უცხოელები, რომელთაც არავითარი დოკუმენტები, თავის პირადობის დასამტკიცებლად არ გააჩნიათ, მიმართავენ ადმინისტრაციულ ორგანოებს ამ საგნისათვის, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამ უცხოელებს უნდა განუმარტონ, რომ ისინი ვალდებული არიან ამისათვის მიმართონ სათანადო საკონსულტოს, ოსმალეებმა – ოსმალეთის საკონსულტოს, ბათომში და სპარსელებმა – სპარსეთის საკონსულტოს ბათომში. –
5. ამ ცირკულიარში აღნიშნულ წესების დარღვევის პასუხისმგებელნი არიან თავმჯდომარეები სამაზრო და სათემო აღმასკომებისა და ქალაქის რაიონების და მაზრის მილუფროსები. –

ედანს ხელს აწერენ – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი – ბრეგაძე
რესპუბლიკის მილიციის უფროსი – გოგიტიძე და

საგარეო

განყ. გამგე – ისაღჩენკო

დედანთან სწორია

ასს ცსა, ფონდი რ-75, აღწ. 1, საქმე 22. ფურც. 11-13

ჩვენი ავტორები:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი;
2. **ნინო გოგიტიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
3. **ნატო ქიქავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
4. **ნინო ოქროსცვარიძე** – ილიას უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი;
5. **მზია სურმანიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **მაია რურუა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი;
7. **ეთერ მიქელაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
8. **ნაზი ნაგერვაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
9. **ფრიდონ ქარდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
10. **მაკა აღბაგაჩიევა** – პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;
11. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ქეთევან ფუტყარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
13. **რამაზ სურმანიძე** – პროფესორი; მედიცინის დოქტორი;
14. **ოთარ გოგოლიშვილი** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

OUR AUTHORS:

1. **Elguja Chaganava** – head of office of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
2. **Nino Gogitidze** - main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
3. **Nato Kikava** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
4. **Nino Okrostsvaridze** – PhD in history of Ilia University;
5. **Mzia Surmanidze** - main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
6. **Maia Rurua** - Head of department of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
7. **Eter Mikeladze** - main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
8. **Nazi Nagervadze** - main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
9. **Fridon Kardava** - main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
10. **Makka Albagachieva** – Museum of Anthropology and Ethnography, deputy manager of department of ethnographies of the Caucasus, candidate of historical science;
11. **Tamaz Phutkaradze** – Head of department of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration; professor of Shota Rustaveli State University;
12. **Ketevan Phutkaradze** – PhD student of Shota Rustaveli State University;
13. **Ramaz Surmanidze** – professor; MD;
14. **Otar Gogolishvili** – director of Khariton Akhvlediani Museum; professor of Shota Rustaveli State University.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ელგუჯა ჩაგანავა/ნატო ქიქავა/ეთერ მიქელაძე - აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს და ტერიტორიული ორგანო არქივების მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში 3

ნინო გოგიტიძე - ბათუმის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორა (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით, ფონდი ი-37-ის მიმოხილვა) 15

ნინო ოქროსცვარიძე - ეთნიკური იდენტობის გამომხატველი ტერმინები არტანუჯის ცნობიერებაში 21

მზია სურმანიძე - ბათუმის პუშკინის ვაჟთა სასწავლებელი (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით) 30

ფრიდონ ქარდავა - კრწანისის ველი და თებერვალი 34

თამაზ ფუტაკრაძე/ქეთევან ფუტაკრაძე - თონე//თანდური და კერა არტანის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით 40

რამაზ სურამნიძე - გვარი შვილი და დადგენილიანი 51

ოთარ გოგოლიშვილი - დიდი სახელმწიფოების ბათუმის ოლქით დაინტერესება პირველი მოსფლიო ომის წინ..... 57

რეცენზია:
 თამაზ ფუტაკრაძე - საქართველოს ოკუპაცია, ბოლსევიკური ინტერპრეტაციები (1921)..... 60

Макка Албогачиева – Грузины..... 62

ფოლიანტები..... 68

ბველი აფიშა..... 72

ქორონიკონი 74

საარქივო დოკუმენტები 77

ჩვენი ავტორები..... 96



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
 E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



ՏՔՏԵՈՆ ԵՏՏԵՂՈՅԵՆ
ԵՏՄՏԵՈՅՂՄԵՆ